საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

თბილისი 2012

ავტორები: მაია მელიქიძე
ნინო გორდელაძე

რედაქტორები: ირმა ტაველიძე
თინათინ ცერაძე

მხატვრები: ულიანა გონობოლინა
ეკა სოლოღაშვილი

ფოტოგრაფი: გელა ზედიანაშვილი

დიზაინერ - დამკაბადონებლები: თამარ დევდარიანი
ნანა კალანდარიშვილი

დაიბეჭდა შპს „მვპ"- ში.

© საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2012
© მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2012

ამ მასალის დაბეჭდვა შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის კეთილი ნებითა და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით. მასალის შინაარსზე პასუხისმგებელია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი და იგი არ წარმოადგენს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა ან აშშ მთავრობის აზრს.

სარჩევი

პირველი ნაბიჯები .....5-33 გვ.

თემა 1
დრო და დღესასწაულები ..... 34-64 გვ.

თემა 2
ჩემი საუკეთესო მეგობარი ..... 65-94 გვ.

თემა 3
ეს ჩვენი სახლია! ..... 95-123 გვ.

თემა 4
ლაბირინთში ..... 124-147 გვ.

თემა 5
იყო და არა იყო რა ... . 148-171 გვ.

პირველი ნაბიჯები

1. წაიკითხე და დააკავშირე.

1. სახელი	ა) თბილისი
2. გვარი	ბ) მოსწავლე
3. ასაკი	გ) სპორტი
4. საცხოვრებელი ადგილი	დ) ნიკა
5. მისამართი	ე) 2 93 60 57
6. საქმიანობა	ვ) 10 წლის
7. გატაცება	ზ) ბერიძე
8. ტელეფონი	თ) ლაღიძის ქ. №3

1. ---- 2. ---- 3. ---- 4. ---- 5. ---- 6. ---- 7. ---- 8. ----

2. დააკავშირე შეკითხვა პასუხთან.

1. რა არის შენი მისამართი?	ა. კერესელიძე.
2. რას საქმიანობ?	ბ. 28 დეკემბერს.
3. რა გვარი ხარ?	გ. თბილისი, ბესიკის ქ. №7
4. როდის დაიბადე?	დ. თბილისში.
5. სად ცხოვრობ?	ე. მოსწავლე ვარ.

1. ---- 2. ---- 3. ---- 4. ---- 5. ----

3. მოისმინე დიალოგი და შეავსე გამოტოვებული ადგილები.
☺ მოისმინე თავიდან და შეამოწმე შენი ნაწერი.

- შენი სახელი და გვარი მითხარი.
- ---------- ----------.
- რამდენი წლის ხარ, ნინო?
- ----------.
- სად ცხოვრობ?
- ----------.
- არა, შენი სახლის მისამართი მინდა.
- ---------- ქუჩა, №----------
- რომელ კლასში ხარ?
- ----------.
- ტელეფონის ნომერიც მითხარი.
- მობილურის შეიძლება?
- რა თქმა უნდა.
- ----------

1. **შეავსე დიალოგის მიხედვით. დაუსვით ერთმანეთს შეკითხვები და უპასუხეთ.**

სახელი: ----------
გვარი: ----------
ასაკი: ----------
საცხოვრებელი
ადგილი: ----------
მისამართი: ----------
საქმიანობა: ----------
ტელეფონი: ----------

2. **გამოიყენე ანკეტა და ისაუბრე ნინოს შესახებ. ანკეტის მიხედვით დაწერე მოკლე ტექსტი და წაიკითხე.**

---

3. **შეავსე ანკეტა მეწყვილის მონაცემებით და შემდეგ ისაუბრე მის შესახებ.**

სახელი: ----------
გვარი: ----------
ასაკი: ----------
საცხოვრებელი
ადგილი: ----------
მისამართი: ----------
საქმიანობა: ----------
ტელეფონი: ----------

4. გაიხსენე ნიკას პირადი მონაცემები, მოუსმინე მას და შეავსე ცხრილი.

სახელი	ასაკი	საცხოვრებელი ადგილი	მისამართი	ტელეფონი	გატაცება
ბექა					
ლუკა					
მაკა					
ნათია					

5. უპასუხე შეკითხვებს ცხრილის მიხედვით.

1. ვისი ტელეფონის ნომრები არ დაასახელა ნიკამ?
2. ვის მისამართს არ ასახელებს ნიკა სრულად?
3. ვის მისამართს არ ასახელებს ნიკა საერთოდ?
4. ვისი გატაცებების შესახებ არ საუბრობს ის?

6. დაუსვით ერთმანეთს შეკითხვები ცხრილის მიხედვით და უპასუხეთ.

- ვინ ცხოვრობს ზანდუკელის ქუჩაზე?
- ვინ არის ლაგოდეხელი?
- სადაურია ბექა?
- ვის უყვარს ცეკვა და სიმღერა?
- ვისი მობილურის ნომერია: 577 67 39 41?.

7. მოიფიქრე და შეავსე წინა დავალებაში მოცემული ცხრილის (დავალება №4) ცარიელი უჯრები დამოუკიდებლად. დაუსვი შეკითხვები მეწყვილეს და ქვემოთ მოცემული ცხრილი შეავსე მისი პასუხების მიხედვით.

რა არის ბექას/მაკას მობილურის ნომერი?

რა მისამართზე ცხოვრობს ნათია?

რა აინტერესებს ლუკას?

ბექა	ტელეფონი:
ლუკა	გატაცება:
მაკა	ტელეფონი:
ნათია	მისამართი:

1. წაიკითხე ცხრილი და შეამოწმე დავალება.

ნიმუში: *ბექას ტელეფონის ნომერია ...*

2. დააკავშირე შეკითხვა პასუხთან.

1. რამდენსართულიანია შენი სახლი?	ა. ხუთოთახიანი.
2. რომელ სართულზე ცხოვრობ?	ბ. მშობლებთან ერთად.
3. სად ცხოვრობ?	გ. ოთხსართულიანი.
4. რამდენოთახიანია შენი ბინა?	დ. მეორე სართულზე.
5. ვისთან ერთად ცხოვრობ?	ე. რუსთავში.

1. ---- 2. ---- 3. ---- 4. ---- 5. ----

3. შეავსე ცხრილი შენი და შენი მეწყვილის მონაცემებით და წარადგინე კლასში. ისაუბრე საკუთარი თავისა და შენი მეწყვილის შესახებ.

	მე	ჩემი მეწყვილე
1. სად ცხოვრობ? (მიუთითე მისამართი)		
2. ვისთან ერთად ცხოვრობ?		
3. რამდენსართულიანია შენი სახლი?		
4. რომელ სართულზე ცხოვრობ?		
5. რამდენოთახიანია შენი ბინა?		

4. დააჯგუფე სიტყვები დედისა და მამის ნათესავების მიხედვით.

დეიდა მამიდა მამიდაშვილი დეიდაშვილი

1. დედის ნათესავები არიან: ----------
2. მამის ნათესავები არიან: ----------

5. დააჯგუფე ქალები და მამაკაცები.

ბებია, ბაბუა, ბიძა, ბიცოლა, მამიდა, დეიდა, მამა, დედა, ძმა, და

1. ქალები არიან: ----------
2. მამაკაცები არიან: ----------

6. წაიკითხე და ჩაწერე, ვინ არიან ისინი ერთმანეთის.

ცოლ-ქმარი, დედმამიშვილი

დედა და მამა ----------

და და ძმა ----------

დედა და დეიდა ----------

ბებია და ბაბუა ----------

ბიძია და ბიცოლა ----------

მამა და მამიდა ----------

7. წაიკითხე ტექსტი, იპოვე სწორი პასუხი და შემოხაზე.

1. **<u>ვინ არიან კლასელები?</u>**
   ა. კახა და მისი ბიძაშვილი
   ბ. კახას მამა და ბიძა
   გ. კახას დედა და ბიცოლა

2. **<u>ვისი ძმაა გიორგი?</u>**
   ა. კახას დედის
   ბ. კახას მამის
   გ. არ ჩანს ტექსტში

3. **<u>ვინ არის კახას ბიძა პროფესიით?</u>**
   ა. ექიმი
   ბ. მასწავლებელი
   გ. არ ჩანს ტექსტში

მე კახა მქვია. ვცხოვრობ ბოლნისში, ერთსართულიან სახლში ჩემს პატარა დასთან და მშობლებთან ერთად. ჩემი და 6 წლისაა. მას დიდი ცისფერი თვალები აქვს. ბებია და ბაბუა ჩვენთან ახლოს ცხოვრობენ, ბიძაჩემთან. მე და ჩემი და ხშირად მივდივართ მათთან. გიორგი ბიძიას სამი შვილი ჰყავს — დათო, ია და ელენე. ია და ელენე ტყუპები არიან. მე და დათო ტოლები ვართ და გარეგნობით ერთმანეთს ვგავართ. დათოც მაღალი და გამხდარია, მასაც შავი ფერის თმა აქვს. ტყუპები და ჩემი და ხასიათით ჰგვანან ერთმანეთს. სამივე ძალიან მხიარული და სასაცილო გოგოა. ია და ელენე ჩემს დაზე ერთი წლით უფროსები არიან.

მე და დათო — ორივე მეხუთეკლასელები ვართ. ჩვენ სხვადასხვა სკოლაში ვსწავლობთ. ის პირველ საჯარო სკოლაშია, მე — მეორეში. ორივეს ძალიან გვიყვარს სპორტი. მე ხატვაც მიყვარს.

მამაჩემი ექიმია. ის ბიძაჩემთან ერთად მუშაობს. ისინი კლასელები იყვნენ და ერთ მერხთან ისხდნენ. დედაჩემი და ბიცოლაჩემი კი დიასახლისები არიან.

8. შემოხაზე არასწორი წინადადებები და გაასწორე.

1. კახა პატარა დასთან და მშობლებთან ერთად ცხოვრობს.
2. კახას ბიძაშვილები ბოლნისელები არიან.
3. კახას მშობლები ექიმები არიან.
4. კახას ბიძაშვილებში ყველაზე უფროსი დათოა.
5. კახა და დათო ერთ სკოლაში დადიან.
6. დათოს დედა არ მუშაობს.

1. უპასუხე შეკითხვებს.

1. ვისთან ცხოვრობენ კახას ბებია და ბაბუა? ----------
2. ვისთან მიდიან ხშირად კახა და მისი და? ----------
3. ვისი დები არიან ია და ელენე? ----------
4. ვის ჰგავს გარეგნობით კახა? ----------
5. ვის ჰგავს ხასიათით კახას და? ----------
6. ვისი კლასელია კახას მამა? ----------
7. როგორია კახა გარეგნობით? აღწერე ----------
   ---

2. წაიკითხე განმარტება, აირჩიე და ჩაწერე.

ტყუპისცალები თანატოლები

1. ასე ამბობენ ერთი ასაკის ადამიანებზე. ----------
2. ასე უწოდებენ ერთდროულად დაბადებულ დედმამიშვილებს. ----------

3. წაიკითხე და უპასუხე.

1. ვისი თანატოლია კახა? ----------
2. ვისი ტყუპისცალია ია? ----------
3. გაიგე, არის თუ არა შენს კლასში ტყუპისცალი და დაასახელე.

4. წაიკითხე, გამოიცანი, ვინ არიან და ჩაწერე.

ა. ისინი ექიმები არიან. ----------
ბ. ისინი დიასახლისები არიან. ----------
გ. ისინი ტყუპები არიან. ----------
დ. ისინი ტოლები არიან. ----------
ე. ისინი გარეგნობით ჰგვანან ერთმანეთს. ----------
ვ. მათ ერთნაირი ხასიათი აქვთ. ----------
ზ. ისინი კლასელები იყვნენ. ----------
თ. ისინი ერთ მერხთან ისხდნენ. ----------
ი. მათ სპორტი უყვართ. ----------

5. შეავსე მოცემული გენეალოგიური ხე ტექსტის მიხედვით (დავალება №7, გვ. 9). იმუშავე მეწყვილესთან ერთად.



6. უპასუხე შეკითხვებს გენეალოგიური ხის მიხედვით.

1. <u>ვინ არის ცოლ-ქმარი?</u>
   ა. ----------
   ბ. ----------
   გ. ----------

2. <u>ვინ არიან დედმამიშვილები?</u>
   ა. ----------
   ბ. ----------
   გ. ----------

3. **ვისი მშობლები არიან თამარი და დავითი?** ----------
4. **რა ჰქვია კახას და სოფოს ბიცოლას?** ----------
5. **რამდენი შვილიშვილი ჰყავთ თამარსა და დავითს?** ----------

7. შემოხაზე სწორი პასუხი.

<u>ლალი არის იას, ელენესა და დათოს</u>
ა. დეიდა
ბ. მამიდა
გ. ბიცოლა

<u>კახა და სოფო არიან დათოს</u>
ა. დეიდაშვილები
ბ. მამიდაშვილები
გ. ბიძაშვილები

1. რა გაიგე ახალი კახას ოჯახისა და ნათესავების შესახებ? შეავსე ცხრილი მეწყვილესთან ერთად და თქვენი ინფორმაცია გააცანით კლასს.

ვიცოდი, რომ	გავიგე, რომ
1. *კახას ბიძას ერქვა გიორგი.*	1. *გიორგი კახას დედის ძმაა.*
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---

2. გამოიყენე ტექსტი კახას შესახებ, წინა დავალებები და მეწყვილესთან ერთად შეავსე ცხრილი. წაიკითხე და შეამოწმე.

	ვინ არის/არიან?	რას საქმიანობს/ საქმიანობენ?	როგორია/ არიან გარეგნულად?	როგორი ხასიათი აქვს/აქვთ?	დამატებითი ინფორმაცია
კახა					
დათო					
სოფო					
ია/ ელენე					

3. ცხრილის მიხედვით დაუსვით ერთმანეთს შეკითხვები და უპასუხეთ.

4. დააკავშირე ერთმანეთთან.

მე	მისი
შენ	ჩემი
ის	შენი

5. აირჩიე და ჩაწერე შესაბამისი ნაცვალსახელი.

ჩემი შენი მისი

ა. მე მაკა ვარ. ბექა ---------- ძმაა.
ბ. ეს ეკაა. მე ---------- დეიდაშვილი ვარ.
გ. ნიკა, ეს ბიჭი ---------- ბიძაშვილია?

6. გამოიყენე მოსწავლის წიგნში მოცემული ინფორმაცია (გვ. 5, №4) და მონიშნე ცხრილში შესაბამისი უჯრა.

	სწორია	არ არის სწორი	არ ჩანს
1. ნიკას ერთი მამიდაშვილი ჰყავს.			
2. მაკა თავის ძმაზე უმცროსია.			
3. ნიკას მამიდაშვილები ქუთაისელები არიან.			
4. ნიკას ბიძაშვილი ცხრა წლისაა.			
5. სანდროს უყვარს სპორტი.			
6. სანდროს მამა და ნიკას დედა და-ძმანი არიან.			
7. ნიკას დეიდაშვილი შვიდი წლისაა.			
8. სოფოს ცისფერი თვალები აქვს.			
9. სოფოს უყვარს მუსიკა და უკრავს ფორტეპიანოზე.			

7. გაასწორე არასწორი მონაცემები წიგნის მიხედვით და წაიკითხე.

1. ----------
2. ----------
3. ----------

1. წაიკითხე, დაასახელე და ჩაწერე, ვინ არის.

1. ის ნიკაზე სამი წლით უმცროსია. ----------
2. ის ნიკას ბიძაშვილია. ----------
3. ის ძმასთან ერთად ქუთაისში ცხოვრობს. ----------
4. მას ბებიის სახელი ჰქვია. ----------
5. მას ფეხბურთი უყვარს. ----------
6. მას ნიკასნაირი ხასიათი აქვს. ----------
7. მისი საყვარელი გუნდია "მანჩესტერ იუნაიტედი". ----------
8. მისი ძმა ნიკაზე უფროსია. ----------
9. მისი და ფორტეპიანოზე უკრავს. ----------

2. გაანაწილე სწორად და წაიკითხე: <u>ის, მას</u> თუ <u>მისი</u>?

ა. ---------- ბიძაშვილი პირველ კლასში სწავლობს.

ბ. ---------- დედმამიშვილებში ყველაზე პატარაა.

გ. ---------- პატარა ცხვირი აქვს.

3. მოიფიქრე ექვსი წინადადება შენი ნათესავების შესახებ, დაწერე და წაიკითხე. გამოიყენე: <u>ის, მას, მისი.</u>

ნიმუში: *ნიკა ჩემი ბიძაშვილია. ის არის ..., მას ჰყავს ..., მისი და არის ...*

1. ----------
2. ----------
3. ----------
4. ----------
5. ----------
6. ----------

4. შეცვალე ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში:

ჩემი ძმა → ჩემს ძმას
შენი ძმა → შენს ძმას
მისი ძმა → მის ძმას

ჩემი ბებია ----------
შენი ბებია ----------
მისი ბებია ----------

ჩემი ბიძაშვილი ----------
შენი ბიძაშვილი ----------
მისი ბიძაშვილი ----------

ჩემი მეწყვილე ----------
შენი მეწყვილე ----------
მისი მეწყვილე ----------

5. შეავსე წინადადებები შენ შესახებ და წაიკითხე. ციფრი ჩაწერე სიტყვიერად.

1. ა. ჩემი ბებია ---------- წლისაა.
   ბ. ჩემს ბებიას ---------- ჰქვია.
2. ა. ჩემი მეწყვილე ---------- ცხოვრობს.
   ბ. ჩემს მეწყვილეს ---------- თვალები აქვს.
3. ა. ჩემი ბიძაშვილი ---------- სწავლობს.
   ბ. ჩემს ბიძაშვილს ---------- აინტერესებს.

6. ჰკითხე მეწყვილეს და ჩაწერე მოკლე პასუხი. ციფრი ჩაწერე სიტყვიერად.

1. ა. რა ჰქვია შენს მეგობარს? ----------
   ბ. რამდენი წლისაა შენი მეგობარი? ----------
2. ა. სად ცხოვრობს შენი ბიძაშვილი? ----------
   ბ. რა ფერის თვალები აქვს შენს ბიძაშვილს? ----------
3. ა. რა უყვარს შენს ძმას/დას? ----------
   ბ. რომელ კლასში სწავლობს შენი ძმა/და? ----------

7. გააცანი შენი მეწყვილის პასუხები კლასს.

გამოიყენე:

მისი მეგობარი, ბიძაშვილი, ძმა/და ...
მის მეგობარს, ბიძაშვილს, ძმას/დას ...

1. შეავსე წერილში გამოტოვებული ადგილები და წაიკითხე.

გამარჯობა,

მე მქვია ელენე. ვცხოვრობ თელავში (1) ----------. ჩვენ გვაქვს პატარა (2) ---------- ქალაქის ცენტრში.

ჩემი ძმა (3)----------. მას სანდრო ჰქვია და მესამე კლასში სწავლობს. დედაჩემი (4)----------, მამაჩემი კი მხატვარია. (5) ----------.

ხატვა (6) ----------. კიდევ კითხვა მიყვარს. ჩემი საყვარელი (7) ----------.

(8) ----------. მომწერე შენ შესახებ.

დროებით.

ელენე

ა. ის თელავის თეატრში მუშაობს

ბ. მეც ძალიან მიყვარს

გ. ველი პასუხს

დ. მწერალია რევაზ ინანიშვილი

ე. ჩემს მშობლებთან და ძმასთან ერთად

ვ. ორსართულიანი სახლი

ზ. ჩემზე ორი წლით პატარაა

თ. დიასახლისია

2. უპასუხე შეკითხვებს.

1. სადაურია ელენე? ----------
2. რამდენი წლით უფროსია ელენე თავის ძმაზე? ----------
3. როგორი სახლი აქვს ელენეს? ----------
4. რა ადგილას ცხოვრობს ელენე თელავში? ----------
5. ვინ არის პროფესიით ელენეს მამა? ----------
6. სად მუშაობს დედამისი? ----------
7. რა არის ელენეს გატაცება? ----------
8. ვინ არის მისი საყვარელი მწერალი? ----------

3. წაიკითხე და ჩაწერე, ვინ რა პროფესიისაა.

მასწავლებელი	მძღოლი	მწერალი	მკერავი	ექიმი	გამყიდველი
პილოტი	მხატვარი	ვეტერინარი	მზარეული	პოლიციელი	

1. ის ცხოველებისა და ფრინველების ექიმია. ----------
2. ის ამზადებს გემრიელ საჭმელებს. ----------
3. ის ასწავლის ბავშვებს. ----------
4. ის ადამიანებს მკურნალობს. ----------
5. ის კერავს ტანსაცმელს. ----------
6. ის ატარებს მანქანას. ----------
7. ის იცავს წესრიგს. ----------
8. ის ყიდის სხვადასხვა საქონელს. ----------
9. ის თვითმფრინავის მძღოლია. ----------
10. ის ხატავს სურათებს. ----------
11. ის წერს მოთხრობებს. ----------

4. სწორად შეარჩიე სიტყვები, დაასრულე წინადადებები ნიმუშის მიხედვით და წაიკითხე.

~~პურს~~	~~ყიდის~~
მოსწავლეს	თამაშობს
საჭმელს	ამზადებს
ფეხბურთს	ხატავს
სურათს	მკურნალობს
ავადმყოფს	წერს
მოთხრობას	ასწავლის
ტანსაცმელს	კერავს

ნიმუში: გამყიდველი პურს ყიდის.

1. ექიმი ----------.
2. მკერავი ----------.
3. მასწავლებელი ----------.
4. მზარეული ----------.
5. ფეხბურთელი ----------.
6. მხატვარი ----------.
7. მწერალი ----------.

1. დააკავშირე შეკითხვა პასუხთან და წაიკითხე.

1. - რა პროფესია აქვს?	ა. - თეატრში.
2. - სად მუშაობს?	ბ. - თბილისელი.
3. - სადაურია?	გ. - მხატვარია.

1. ---- 2. ---- 3. ----

2. მისწერე ელენეს პასუხი. ყურადღება მიაქციე წერილის ფორმალურ მხარეს (მისალმება, მოკითხვა, დამშვიდობება, ხელმოწერა).

---

3. წაიკითხე და შემოხაზე სწორი პასუხი.

1. **<u>რამდენი ძმა გყავს?</u>**

ა. მხოლოდ ერთი.
ბ. ის ერთია.

2. **<u>როგორია შენი ძმა გარეგნობით?</u>**

ა. ძალიან მხიარულია.
ბ. პატარა და სასაცილოა.

3. **<u>სადაური ხარ?</u>**

ა. ვცხოვრობ თბილისში.
ბ. თბილისელი.

4. **<u>რამდენსართულიანია შენი სახლი?</u>**

ა. ორსართულიანი.
ბ. ჩემს სახლს აქვს ორი სართული.

5. **<u>ვის ჰგავხარ ყველაზე მეტად?</u>**

ა. მე და ჩემს ძმას ერთნაირი ხასიათი გვაქვს.
ბ. უფრო ბებიას.

6. **<u>მამაშენი ექიმია?</u>**

ა. ის საავადმყოფოში მუშაობს.
ბ. კი. შენ საიდან იცი?

4. ჩასვი მოცემული რეპლიკები დიალოგში სწორად. წაიკითხე დიალოგი მეწყვილესთან ერთად შესაბამისი ინტონაციით.

ა. კი, ჩვენ ძალიან ვგავართ ერთმანეთს.
ბ. არა, მე აქ არ ვცხოვრობ.
გ. ალბათ, უფრო დედას ვგავარ.
დ. კი, ჩვენ ერთ კლასში ვსწავლობთ.

- გაიცანი, ეს ჩემი დეიდაშვილია, თამთა.
- გამარჯობა, თამთა. მე ანა ვარ. ჩვენს სკოლაში სწავლობ?
- ----------.

მე ქუთაისელი ვარ. შენ ნინოს კლასელი ხარ?

- ----------.

მე და ნინო მეგობრები ვართ.

- შენც ნინოსავით მხიარული ხარ?
- ----------.
- გარეგნობით ვის ჰგავხარ?
- ----------.

1. სწორად გაანაწილე ნაცვალსახელები.

ის ჩვენ თქვენ მე ისინი შენ

1. ---------- ვგავარ მამიდას.
2. ---------- ჰგავხარ ბაბუას.
3. ---------- ჰგავს თავის ბიძაშვილს.
4. ---------- ვგავართ ერთმანეთს.
5. ---------- არ ჰგავხართ ერთმანეთს.
6. ---------- ჰგვანან ბებიას.

2. დაუსვით ერთმანეთს შეკითხვები და უპასუხეთ.

ნიმუში:

ვის ჰგავხარ შენ? ვის ჰგავს შენი ძმა?...
შენ და შენი და ჰგავხართ ერთმანეთს?
ვის ჰგვანან შენი მამიდაშვილები? ...

3. გაიხსენე დიალოგები და შეავსე გამოტოვებული ადგილები.

I. - გუშინ აქ ძალიან გემრიელი ხაჭაპური ----------. დღესაც ---------- შევჭამ. შენ რას ----------?
- მე ნამცხვარი ----------.
- შენ?
- მეც ხაჭაპურს ----------.

II. - გუშინ შენი ბიძაშვილი ----------.
- სად?
- ჩემი ---------- დღეზე.
- კლასელები არიან?
- არა, ----------.

4. მოისმინე დიალოგი თავიდან. ყურადღება მიაქციე ინტონაციას და დასვი შესაბამისი სასვენი ნიშნები. წაიკითხე დიალოგი ხმამაღლა სათანადო ინტონაციით.

- ზურა_ სად ხარ_
- გზაში ვარ_ მალე მანდ ვიქნები_
- ამდენი ხანი სად ხარ_ ფეხით მოდიხარ_
- არა_ ავტობუსით_ მალე მოვალ_

5. გაანაწილე სწორად: <u>მოვიწვიეთ / მოვიყვანეთ</u>

ა. მე და ჩემმა ძმამ სახლში მეგობრები ----------.
ბ. ჩვენი ნახატების გამოფენაზე მხატვრები ----------.
გ. ზეიმზე ცნობილი ადამიანები ----------.
დ. სკოლაში მშობლები ----------.

6. გაიხსენე ნათიას სატელეფონო დიალოგების შინაარსი. წაიკითხე და შემოხაზე სწორი პასუხი.

<u>ნათიასთან სკოლაში იყვნენ:</u>
ა. მხატვრები
ბ. პოეტები
გ. მწერლები

<u>ნათიას ავად ჰყავს:</u>
ა. ძაღლი
ბ. კატა
გ. თუთიყუში

<u>ნათიამ ბაბუას დაურეკა:</u>
ა. სკოლიდან
ბ. სახლიდან
გ. ქუჩიდან

<u>ნათიას აინტერესებდა საგნები:</u>
ა. ქართული და ბუნება
ბ. მათემატიკა და ბუნება
გ. ქართული და მათემატიკა

7. უპასუხე შეკითხვებს.

1. ვის მიულოცა ნათიამ დაბადების დღე? ----------
2. ვის ელაპარაკებოდა ნათია მწერლების შესახებ? ----------
3. რა ერქვა ნათიას კლასელს? ----------
4. ვის ელაპარაკებოდა ნათია კატის შესახებ? ----------

8. დააკავშირე შეკითხვა პასუხთან.

1. - მამიდა როგორ არის?
2. - როდის მოვიდე?
3. - გუშინ იყავი?
4. - ჩვენთან არ მოხვალ?

ა. - აუცილებლად მოვალ.
ბ. - დღეს უკეთესად.
გ. - ხუთ საათამდე აქ ვარ.
დ. - კი, ვიყავი.

1. ----- 2. ---- 3. ---- 4. ----

1. გადაიყვანე მრავლობით რიცხვში.

მასწავლებ**ე**ლი ⟶ მასწავლებლები
მშობ**ე**ლი ----------
მწერ**ა**ლი ----------
მომღერ**ა**ლი ----------
მეგობ**ა**რი ----------
მხატვ**ა**რი ----------
სტუმ**ა**რი ----------

2. წაიკითხე და დააკავშირე ერთმანეთთან.

1. სად მიდიხარ?	ა. ძმასთან ერთად.
2. რითი მიდიხარ?	ბ. დაბადების დღეზე.
3. ვისთან ერთად მიდიხარ?	გ. ავტობუსით.

1. ---- 2. ---- 3. -----

3. წაიკითხე, გადახაზე ყველა არასწორი პასუხი და გაასწორე შეცდომები.

<u>**სად ცხოვრობ?**</u>
ა. სკოლის გვერდით
ბ. გაჩერებასთან
გ. დოლიძის ქუჩაში
დ. აქვე ახლოში
ე. დოლიძის ქუჩის კუთხეზე

<u>**აქ რას ელოდები?**</u>
ა. ჩემს დას
ბ. ავტობუსს
გ. მანქანას
დ. გაჩერებას
ე. არაფერს არ ველოდები

<u>**ვისთან მიდიხარ?**</u>
ა. ბებიასთან
ბ. დედასთან ერთად
გ. სახლში
დ. ჩემს კლასელთან
ე. მაიმუნის გალიასთან

4. გაასწორე შეცდომები და ისე გადაწერე წინადადება.

1. მე სკოლის გვერდში ვცხოვრობ. ----------
2. ქუჩის კუთხეზე დიდი ძაღლი წევს. ----------
3. ჩემს ქუჩაში ავტობუსი არ დადის. ----------
4. მაღაზია აქვე ახლოშია. ----------
5. მე ბებიასთან მივდივარ. ბებია სკოლასთან გვერდით ცხოვრობს. ----------
   ---
6. ბიჭები მაიმუნის გალიაში მიდიან. ----------

5. დაასრულე სიტყვები და წაიკითხე დიალოგი მეწყვილესთან ერთად.

- სად მიდიხარ?
- სახლ ___, შენ?
- მეც სახლ ___ მივდივარ. სად ცხოვრობ?
- დოლიძის ქუჩა___. შენ სად ცხოვრობ?
- მე აქვე ახლო ___ ვცხოვრობ, თეატრის გვერდ ___, გაჩერება___
- ავტობუსს ელოდები?
- არა, ჩემს დას. შენ ავტობუსს ელოდები?
- კი, ავტობუსით მივდივარ.

6. ჰკითხეთ ერთმანეთს და უპასუხეთ.

სად / რომელ ქუჩაზე / ვისთან ერთად ცხოვრობ?
რა არის შენი სახლის გვერდით / წინ / შენს სახლთან ახლოს?
რითი მიდიხარ სკოლაში / მაღაზიაში / შენს სოფელში ...?

7. მოცემული ფრაზებით შეავსე დიალოგი და წაიკითხე მეწყვილესთან ერთად.

ა. ბებიაჩემის მეზობელი
ბ. ის არ არის
გ. რა სასაცილო ხარ
დ. ის სურათებია
ე. ის ზურაა, გრძელცხვირა
ვ. როგორ არა

- ნახე, აქ (1) ----------!
- გიო, შენს სოფელში რომ ვიყავით, (2) ----------?
- კი. აი, ჩემი ძმა. ეს კი დათოა, (3) ----------, ხომ გახსოვს?
- (4) ----------, ნამდვილი ფეხბურთის ბურთი რომ ჰქონდა, ----------?
- არა, (5) ----------. დიდი ახალი ველოსიპედი რომ ჰქონდა, დათო ისაა.

1. უპასუხე შეკითხვებს.

1. ვინ არის დათო? ----------
2. ვის ჰქონდა ფეხბურთის ბურთი? ----------
3. ვის აქვს გრძელი ცხვირი? ----------
4. რა ჰქონდა დათოს? ----------

2. დაუსვი შეკითხვები ხაზგასმულ სიტყვებს.

რისი? ვისი? როგორი?

1. დათო *ბებიაჩემის* მეზობელია.----------?
2. ეს *ფეხბურთის* ბურთია. ----------?
3. ზურა *გრძელცხვირაა*. ----------?
4. დათოს ველოსიპედი *დიდი* და *ახალია.* ----------
   ----------?

3. გაანაწილე სწორად ცხრილში.

ექიმის, სკოლის, მასწავლებლის, ფეხბურთის, მხატვრის, ჩანთის, მეზობლის, ველოსიპედის, წიგნის, მეგობრის, მწერლის

ვისი?	რისი?
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---

4. დააკავშირე ერთმანეთთან, გადაწერე და წაიკითხე.

1. ბიჭი მდინარეში	ა. ირუჯება.
2. ის მზეზე	ბ. სეირნობს.
3. გოგონა ყვავილებს	გ. ბანაობს.
4. ია ტყეში	დ. კრეფს.

1. ----------.
2. ----------.
3. ----------.
4. ----------.

5. მოძებნე შესაბამისი ზმნა და მიუწერე.

~~ზის~~ ირუჯება სეირნობს ბანაობს კრეფს ადის

ქვაზე ----------*ზის*----------.
მდინარეში ----------.
მზეზე ----------.
მთაზე ----------.
სოკოს ----------.
ტყეში ----------.

6. გაანაწილე სწორად ბლოკში მოცემული სიტყვები.

~~ტყეში~~ სოკოს გემით მდინარეში მინდორში
ზღვაში ფეხით ყვავილების ველოსიპედით ხილის

1. სეირნობა: *ტყეში,* ----------
2. ბანაობა: ----------
3. კრეფა: ----------

7. მოძებნე წინადადებაში ზედმეტი სიტყვა და გადახაზე.

1. ლაშა ფეხით თევზაობს.
2. ეკა ზღვაში სოკოს კრეფს.
3. სოსო მდინარეში გემით სეირნობს.

8. გაანაწილე სწორად ბლოკში მოცემული სიტყვები.

სეირნობა ბანაობა კრეფა ასვლა გარუჯვა თამაში

ბურთის ----------
გემით ----------
ყვავილების ----------
ფეხით ----------
მთაზე ----------
ველოსიპედით ----------
ხილის ----------
მზეზე ----------
მდინარეში ----------
ეზოში ----------

1. წაიკითხე და მიუწერე, <u>ახლა ხდება</u> თუ <u>უკვე მოხდა.</u>

1. ის მდინარეზე მიდის. ----------
2. ის ტყეში წავიდა. ----------
3. ის ველოსიპედზე იჯდა. ----------
4. ის ქვაზე ზის. ----------
5. ის მთაზე ადის. ----------
6. ის ხეზე ავიდა. ----------
7. ის მზეზე ირუჯება. ----------
8. ის ზღვაზე გაირუჯა. ----------

2. გადაიყვანე ახლანდელ დროში და წაიკითხე.

1. ეკა ტყეში წავიდა. ----------
2. ნინო პატარა მთაზე ავიდა. ----------
3. მარინა თავის სოფელში იყო. ----------
4. მარინა მდინარეზე გაირუჯა. ----------

3. მოცემული ზმნები დააჯგუფე დროის მიხედვით: ახლა რას აკეთებს და რა გააკეთა უკვე.

ნახა/უყურებს, კრეფს/დაკრიფა, დაისვენა/ისვენებს, ბანაობს/იბანავა, გაიღვიძა/იღვიძებს, ითევზავა/თევზაობს, ცურაობს/იცურავა, სეირნობს/ისეირნა, დახატა/ხატავს, თამაშობს/ითამაშა, წაიკითხა/კითხულობს.

რას აკეთებს **ის**?	რა გააკეთა **მან**?
1. ----------	----------
2. ----------	----------
3. ----------	----------
4. ----------	----------
5. ----------	----------
6. ----------	----------
7. ----------	----------
8. ----------	----------
9. ----------	----------
10. ----------	----------
11. ----------	----------

4. გამოიყენე წინა დავალება და სწორად ჩაწერე შესაბამისი ნაცვალსახელები: ის **ან** მან.

1. ---------- სოკოები დაკრიფა.
2. ---------- ადრე იღვიძებს.
3. ---------- თევზაობს.
4. ---------- მდინარეში იბანავა.
5. ---------- ზღვაზე ისვენებს.
6. ---------- გემით ისეირნა.
7. ---------- ყვავილებს კრეფს.

5. უპასუხე შეკითხვებს.

1. ვინ დაკრიფა სოკოები? ----------
2. ვინ იღვიძებს ადრე? ----------
3. ვინ თევზაობს? ----------
4. ვინ იბანავა მდინარეში? ----------
5. ვინ ისვენებს ზღვაზე? ----------
6. ვინ ისეირნა გემით? ----------
7. ვინ კრეფს ყვავილებს? ----------

6. წინა დავალების მიხედვით, რომელ წინადადებებში ხდება მოქმედება ახლა და რომელ წინადადებებში მოხდა უკვე? ჩაწერე შესაბამისი წინადადებების ნომრები.

ახლა ხდება: ----------

უკვე მოხდა: ----------

7. გადაიყვანე ზმნები მხოლობით რიცხვში და წაიკითხე.

I. **მათ დაისვენ-ეს** ⟶ *მან დაისვენ-ა*

მათ ნახ-ეს - ----------

მათ დაკრიფ-ეს - ----------

მათ ისეირნ-ეს - ----------

მათ იბანავ-ეს - ----------

მათ გაიღვიძ-ეს - ----------

მათ ითევზავ-ეს - ----------

II. **ისინი წავიდ-ნენ** ⟶ *ის წავიდ-ა*

ისინი ავიდ-ნენ - ----------

ისინი გაირუჯ-ნენ - ----------

ისინი დაწვ-ნენ - ----------

ისინი ადგ-ნენ - ----------

1. წაიკითხე და გადახაზე არასწორი ფორმები.

ა. მე დავჯექი / დავსხედი
ბ. შენ დაჯექი / დასხედი
გ. ის დაჯდა / დასხდა
დ. ჩვენ დავჯექით / დავსხედით
ე. თქვენ დაჯექით / დასხედით
ვ. ისინი დაჯდნენ / დასხდნენ

2. დააკავშირე ერთმანეთთან.

მე	გავირუჯეთ	მე	დაისვენა
შენ	გაირუჯა	შენ	დაისვენეთ
ის	გაირუჯეთ	მან	დავისვენე
ჩვენ	გავირუჯე	ჩვენ	დაისვენეს
თქვენ	გაირუჯნენ	თქვენ	დავისვენეთ
ისინი	გაირუჯე	მათ	დაისვენე

3. შეავსე ცხრილი.

მე	**შენ**	**ის**	**ჩვენ**	**თქვენ**	**ისინი**
წავედი				წახვედით	
	დაწექი				დაწვნენ
ავდექი		ადგა			

4. გაასწორე ხაზგასმული სიტყვები.

1. ისინი ავტობუსში <u>დაჯდნენ</u> და წავიდნენ. ----------
2. ჩვენ გუშინ ადრე ავდექით და მდინარეზე <u>მივდივართ.</u> ----------
3. მე მთაში ვიყავი და იქ <u>ვირუჯები.</u> ----------
4. შენ გუშინ გვიან <u>დგები</u>? ----------

5. ჩასვი სათანადო პირსა და რიცხვში. *<u>ვინ რა გააკეთა უკვე?</u>*

1. ჩვენ გუშინ ათ საათზე ---------- (დაწოლა).
2. ჩემი ძმა დილით ადრე ---------- (ადგომა).
3. ისინი სოფელში ---------- (წასვლა).
4. მე მზეზე ---------- (გარუჯვა).
5. გუშინ თქვენ გვიან ---------- (ადგომა)?
6. ის რომელ საათზე ---------- (დაწოლა)?

6. შეავსე ცხრილი.

მე	შენ	მან	ჩვენ	თქვენ	მათ
ვნახე					
			დავკრიფეთ		
	ისეირნე				
				გაიღვიძეთ	
					იბანავეს
		ითევზავა			

7. ჩასვი სათანადო პირსა და რიცხვში. *ვინ რა გააკეთა?*

1. მე და ჩემმა ძმამ სოფელში ---------- (დასვენება).
2. სოსომ გემით ---------- (სეირნობა).
3. ბავშვებმა ---------- (თევზაობა).
4. თქვენ უკვე ---------- (ბანაობა)?
5. მე ლამაზი ყვავილები ---------- (დაკრეფა).
6. შენ პატარა ციყვები ---------- (ნახვა).
7. ჩვენ ფეხბურთი ---------- (თამაში).

8. გაასწორე ხაზგასმული სიტყვები.

1. ეკა ერთხელ ტყეში წავიდა და პატარა ბელები *უყურებს*. ----------
2. *ის* ზღვაზე დაისვენა. ----------
3. ლაშამ ჯერ *თევზაობს*, მერე მდინარეში *ბანაობს*. ----------
4. მე მინდორში წავედი და ყვავილები *ვკრეფ*. ----------
5. *კახა* დილით გვიან გაიღვიძა. ----------
6. *ბიჭები* ეზოში ბურთით ითამაშეს. ----------

9. გადაიყვანე მრავლობით რიცხვში.

ნიმუში:

ა. **ის** თამაშობს. ⟶ **ისინი** თამაშობენ.
ბ. **მან** ითამაშა. ⟶ **მათ** ითამაშეს.

1. ა. ის კრეფს. ----------
   ბ. მან დაკრიფა. ----------
2. ა. ის ბანაობს. ----------
   ბ. მან იბანავა. ----------
3. ა. ის ხატავს. ----------
   ბ. მან დახატა. ----------
4. ა. ის წერს. ----------
   ბ. მან დაწერა. ----------

1. ჩასვი შესაბამისი ნაცვალსახელი: <u>ის/ისინი — მან/მათ</u>

ნიმუში: → **ბიჭი** თამაშობს. → **ის** თამაშობს.

ა. ქალი კითხულობს. ----------
ბ. გოგოები ხატავენ. ----------
გ. მეგობრებმა ითამაშეს. ----------
დ. ჩემმა ძმამ დაისვენა. ----------
ე. გოგოებმა დაკრიფეს. ----------
ვ. ბიჭები თევზაობენ. ----------
ზ. მამამ გაიღვიძა. ----------
თ. ბებია უყურებს. ----------

დააკვირდი!

ბიჭი – ის
ბიჭები – ისინი

ბიჭმა – მან
ბიჭებმა – მათ

2. შეცვალე ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში: *გია ფეხბურთ**ს** თამაშობს.* → *გია**მ** ფეხბურთ**ი** ითამაშა.*

1. ლია ყვავილებს კრეფს. ----------
2. ბიჭი წიგნს კითხულობს. ----------
3. მხატვარი სურათს ხატავს. ----------
4. მწერალი მოთხრობას წერს. ----------
5. დედა პურს ყიდულობს. ----------

3. შეადგინე წინადადებები. ყურადღება მიაქციე დროს, პირსა და რიცხვს.

ა. **ნიმუში:** *ბიჭი / ფეხბურთი:* *<u>ბიჭები ფეხბურთს</u> თამაშობენ.*

1. *მხატვარი / სურათი*

   ---------- ხატავს.
2. *მწერალი / მოთხრობა*

   ---------- წერს.
3. *ბავშვი / ხილი*

   ---------- ჭამენ.
4. *მოსწავლე / წიგნი*

   ---------- კითხულობენ.

ბ. **ნიმუში:** *ბიჭი / ფეხბურთი:* *ბიჭებმა ფეხბურთი ითამაშეს.*

1. *მხატვარი / სურათი*

   ---------- დახატა.
2. *მწერალი / მოთხრობა*

   ---------- დაწერა.
3. *ბავშვი / ხილი*

   ---------- შეჭამეს.
4. *მოსწავლე / წიგნი*

   ---------- წაკითხეს.

4. გაასწორე ხაზგასმული სიტყვები.

1. სტადიონზე *ბურთი* ვთამაშობთ. ----------
2. მინდორში *ყვავილები* ვკრეფ. ----------
3. *ისინი* მდინარეში იბანავეს. ----------
4. *მან* ტყეში წავიდა. ----------
5. *ბიჭი* წიგნი წაიკითხა. ----------
6. დათომ *წერილს* დაწერა. ----------
7. შენ *სურათი* ხატავ. ----------
8. *ის* ცხენით ისეირნა. ----------

5. გახაზე შეცდომები და გადაწერე ტექსტი სწორად.

მე და ჩემი ძმა სოფელში დავისვენეთ. ჩემს სოფელს მთაშია. იქ ძალიან დიდი და მაღალი მთებია. ჩემი სოფლის გვერდში არის ტყე. ტყეს პირას პატარა მდინარეა. სოფელში ვიყავი ჩემს ბიძაჩემთან. ის იქ იცხოვრა. მე მყავს ერთი ბიძაშვილი. ის ნანა ჰქვია. ნანას ჩემზე პატარაა. ის ისწავლა მეორე კლასში.

ბიძაჩემი ერთსართულიანი სახლი აქვს. ჩვენს სახლს სოფლის ცენტრში არის. სახლს წინ დიდი ეზოა, სახლს უკან კი - ბაღი.

მე და ჩემმა ბიძაშვილებმა ტყეში წავედით და იქ სოკოები ვკრეფთ. სტადიონზე ჩვენ ბურთით ითამაშეთ, მერე ირბინეთ და მდინარეზე იბანავეთ.

იქ ძალიან ლამაზი და კარგი იყო.

---

1. გადაიყვანე მრავლობით რიცხვში.

მდინარე ----------
ტყე ----------
ეზო ----------
სოკო ----------

ძმა ----------
მთა ----------
ბიძა ----------
ზღვა ----------

ბიძაშვილი ----------
სტადიონი ----------
სახლი ----------
ბურთი ----------
ბაღი ----------

სოფელი ----------
მწერალი ----------
მხატვარი ----------
მეგობარი ----------

2. დაწერე, სად და როგორ გაატარე არდადეგები:

სად იყავი და ვისთან ერთად იყავი;
აღწერე ის ადგილი (*სად არის, როგორია, რა არის იქ...*);
იქ ვინ ცხოვრობს (*დაახასიათე და აღწერე ისინი — რა ჰქვიათ, რამდენი წლისანი არიან, ვინ არიან და სად მუშაობენ, როგორები არიან გარეგნობით...*);
როგორ გაატარე დრო და რა გააკეთე.

დრო და დღესასწაულები

1. დაწერე სიტყვიერად.

10 + 15 = *ოცდახუთი*
42 + 15 = ----------
50 + 40 = ----------
100 – 25 = ----------
3 X 10 = ----------

2. ჩაწერე სათანადო ადგილას და წაიკითხე.

ასი	ოთხასი	ორასი	ხუთასი	სამასი
100	200	300	400	500
---*ასი*---	----------	----------	----------	----------

3. დაასახელე და მიუწერე.

600	700	800	900	1000
----------	----------	----------	----------	---*ათასი*---

4. დააკავშირე ერთმანეთთან.

155	ექვსას ოცდაცამეტი
247	შვიდას სამოცდაჩვიდმეტი
365	ას ორმოცდათხუთმეტი
417	რვაას ოცდაერთი
520	ორას ორმოცდაშვიდი
633	ცხრაას ოთხმოცდაცხრამეტი
777	ოთხას ჩვიდმეტი
821	სამას სამოცდახუთი
999	ხუთას ოცი

5. ☺ მოისმინე და შემოხაზე.

ა. 1967 / 197 ბ. 1637 / 1627 გ. 1999 / 1989

დ. 2000 / 2010 ე. 2011 / 2111 ვ. 2300 / 2003

6. შემოხაზე სწორი პასუხი. ☺ მოისმინე და შეამოწმე შენი ვარიანტი.

1. <u>რამდენი დღეა წელიწადში?</u>

   ა. 300 ბ. 362 გ. 365 დ. 375

2. <u>რამდენი საათია დღე-ღამეში?</u>

   ა. 12 ბ. 24 გ. 32 დ. 72

3. <u>რამდენი საათია ერთ თვეში?</u>

   ა. 150 ბ. 370 გ. 700 დ. 744

7. ☺ მოისმინე და შეავსე გამოტოვებული ადგილები. ჩაწერე შესაბამისი რიცხვი და წაიკითხე.

---------- წელს ლონდონის ზოოპარკში ყველაზე დიდი ლომი აღწერეს. მისი სიგრძე ---------- სანტიმეტრი იყო, წონა კი ---------- კილოგრამს შეადგენდა. საშუალოდ კი ლომის სიგრძე ---------- სანტიმეტრია და ---------- ---------- კილოგრამს იწონის.

8. უპასუხე შეკითხვებს. რიცხვები ჩაწერე სიტყვიერად.

ა. რა სიგრძის იყო ლონდონის ზოოპარკის ყველაზე დიდი ლომი?

ბ. რამდენ კილოგრამს იწონიდა ის ლომი?

გ. საშუალოდ რამდენ კილოგრამს იწონის ლომი?

დ. რამდენი სანტიმეტრია საშუალოდ ლომის სიგრძე?

---

1. დააკავშირე შეკითხვა პასუხთან და წაიკითხე ისინი მეწყვილესთან ერთად. დაუსვით ერთმანეთს მსგავსი შეკითხვები და უპასუხეთ.

1. როდის წავიდა სკოლაში?	ა. პირველ აგვისტოს.
2. რომელ საათზე იწყება ზეიმი?	ბ. ცხრა საათიდან.
3. როდის ამოდის მზე გვიან?	გ. დეკემბრიდან.
4. როდის გაქვს დაბადების დღე?	დ. დილით.
5. რომელი საათია?	ე. სამს აკლია ხუთი წუთი.
6. რომელი საათიდან ხარ აქ?	ვ. სამ საათზე.
7. რომელი თვიდან იწყება ზამთარი?	ზ. ზამთარში.

1. –**დ**– 2. ––––– 3. ––––– 4. ––––– 5. ––––– 7. –––––

2. უპასუხე შეკითხვებს. აირჩიე და ჩაწერე სწორი ვარიანტი.

შვიდ საათზე / შვიდი საათიდან

ა. რომელი საათიდან იქნები სახლში? ----------

ზაფხულში / ზაფხულიდან

ბ. როდის წახვალ ზღვაზე? ----------

ცხრა საათიდან / ცხრა საათზე

გ. რომელ საათზე იძინებ? ----------

მარტიდან / მარტში

დ. რომელი თვიდან იწყება გაზაფხული? ----------

3. შეცვალე ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში: სექტემბერი ⟶ სექტემბრიდან

ოქტომბერი ----------
ნოემბერი ----------
დეკემბერი ----------
იანვარი ----------
თებერვალი ----------

4. გაასწორე შეცდომები და წაიკითხე.

ა. სექტემბერიდან იწყება შემოდგომის წვიმები. ----------
ბ. ოქტომბერიდან იწყება ოქროსფერი შემოდგომა. ----------
გ. ნოემბერიდან იწყება ფოთოლცვენა. ----------

5. გაიხსენე, შეავსე გამოტოვებული ადგილები და წაიკითხე.

1. ნამდვილი გაზაფხული არა პირველიდან, არამედ ---------- იწყება.
2. ნამდვილი შემოდგომის პირველი დღეა ----------.
3. ნამდვილი ზაფხული დგება ----------.
4. ნამდვილი ზამთარი არა პირველი დეკემბრიდან, არამედ ---------- ---------- იწყება.

6. დაუსვით ერთმანეთს შეკითხვები და უპასუხეთ.



7. დააკავშირე შეკითხვა პასუხთან და წაიკითხე.

1. ეს **რა** არის?	ა. ხისგან.
2. **რისი** მაგიდაა?	ბ. ეს ხეა.
3. **რისგან** დაამზადეს?	გ. ხის.

1. –––– 2. –––– 3. ––––

8. დაუსვი კითხვები ხაზგასმულ სიტყვებს და უპასუხე.

ნიმუში: *ეს <u>ხის</u> სკამია. ის <u>ხისგან</u> გააკეთეს.*

1. *რისი სკამია ეს? — ხის*
2. *რისგან გააკეთეს ის? — ხისგან*

ეს **<u>შოკოლადის</u>** ნაყინია. ის **<u>შოკოლადისგან</u>** და **<u>რძისგან</u>** მზადდება.

ეს **<u>ნაძვის ხის</u>** სათამაშოა. ის **<u>ქაღალდისგან</u>** გავაკეთე.

---

1. შეცვალე ნიმუშის მიხედვით.

დააკვირდი!

ხ**ე**	ხ-ის	ხ-ისგან
მთ**ა**	მთ-ის	მთ-ისგან
ბ**ა**ლი	ბლ-ის	ბლ-ისგან

ა. *ხე / ხის / ხისგან*

ბ. ტყე ----------

გ. მზე ----------

დ. ქვა ----------

ე. მიწა ----------

ვ. ქვიშა ----------

ზ. წყალი ----------

თ. მსხალი ----------

2. ჩაწერე ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში: ეს ხის კოვზია. ⟶ კოვზი ხისაა.

ა. ეს ქვის სახლია. ----------

ბ. ეს ქაღალდის სათამაშოა. ----------

გ. ეს ნაჭრის ჩანთაა. ----------

3. წაიკითხე და გადახაზე არასწორი შესიტყვება.

ა. მზის საათი / მზეს საათი

ბ. წყალის საათი / წყლის საათი

გ. სკოლას ჩანთა / სკოლის ჩანთა

დ. ჭურჭელის კარადა / ჭურჭლის კარადა

ე. ფეხსაცმლის თარო / ფეხსაცმელის თარო

ვ. ხეს ჯოხი / ხის ჯოხი

ზ. მეგობრის სახლი / მეგობარის სახლი

თ. მასწავლებელის მაგიდა / მასწავლებლის მაგიდა

4. შეავსე ნიმუშის მიხედვით და წაიკითხე.

1. **ვისი სურათია?**



1. ---------- მხატვრის სურათი----------
2. ----------
3. ----------
4. ----------
5. ----------
6. ----------

2. **რისი კარადაა?**



1. ----------
2. ----------
3. ----------
4. ----------
5. ----------

1. წაიკითხე და დააკავშირე სურათთან. ჩაწერე შესაბამისი სურათის ნომერი. უპასუხე შეკითხვებს.

1. 

2 

3. 

ეს ტანსაცმლის კარადაა. ის დათოსია. კარადა ხისაა. ---------

ა. ვისი კარადაა? ----------

ბ. რისგან არის გაკეთებული? ----------

გ. რა დანიშნულება აქვს, რისი კარადაა? ----------

2. შეადგინე მსგავსი წინადადებები დანარჩენი ორი სურათის მიხედვით. დასვი შეკითხვები და უპასუხე.

1. ----------

2. ----------

3. გამოიყენე ქვემოთ მოცემული ინფორმაცია, შეადგინე წინა დავალების მსგავსი წინადადებები და წაიკითხე. დაუსვით ერთმანეთს მსგავსი შეკითხვები და უპასუხეთ.



I. ა. კუთვნილება (ვისი?): **მეგობარი**
ბ. მასალა (რისი? რისგან?): **ნაჭერი**
გ. დანიშნულება (რისთვის?): **სპორტული**

II. ა. კუთვნილება (ვისი?): **ჩემი ძმა**
ბ. მასალა (რისი? რისგან?): **ტყავი**
გ. დანიშნულება (რისთვის?): **ფეხბურთი**

---

4. სწორად მიუწერე შესაბამის სურათს, რისი საათია?

მზე / საათი წყალი / საათი ქვიშა / საათი



--- --- ---

5. მოძებნე ტექსტში შეცდომები და გახაზე. სწორად გადაწერე ტექსტი და წაიკითხე.

მზის საათს სხვადასხვა მასალისგან ამზადებდნენ. ყველაზე მარტივი იყო მიწაში ჩარჭობილი ჯოხი. მოგვიანებით მზეს საათი დაამზადეს ქვასგან. უფრო გვიან კი გაჩნდა ძვირფასი ხესგან, რკინასგან და სპილოს ძვალისგან დამზადებული მზეს საათები.

მზეს საათის შემდეგ გაჩნდა წყალის საათი და უფრო მოგვიანებით — ქვიშას საათი. ქვიშას საათი წყალის საათს ჰგავდა, მხოლოდ ქვიშას საათში წყალის ნაცვლად ქვიშა იყო ჩაყრილი.

---

1. უპასუხე შეკითხვებს წერილობით.

1. რის საათს ამზადებდნენ სხვადასხვა მასალისაგან?

---

2. რისგან ამზადებდნენ მზის საათს?

---

3. რომელი საათი გაჩნდა მზის საათის შემდეგ?

---

4. რომელი საათები ჰგავდა ერთმანეთს?

---

5. რითი განსხვავდებოდა ქვიშის საათი წყლის საათისაგან?

---

2. გაიხსენე და შემოხაზე სწორი ვარიანტი. ☺ მოისმინე და შეამოწმე შენი პასუხები.

<u>წყლის საათი გამოიგონეს იმიტომ, რომ:</u>

1. მზის საათი გაფუჭდა.
2. მზის საათის ცნობა ყველამ ვერ ისწავლა.
3. ღამით მზის საათს ვერ იყენებდნენ.

<u>ქვიშის საათს იყენებდნენ:</u>

1. შეჯიბრის დროს.
2. გაკვეთილების დროს.
3. ღრუბლიან ამინდში.

3. გამოიყენე ქვემოთ მოცემული კითხვები და ისაუბრე ამ საათების შესახებ.

- რისი საათი გამოიგონეს ადამიანებმა პირველად?
- რისგან ამზადებდნენ მზის საათებს?
- რომელი მზის საათი იყო ყველაზე მარტივი?
- რატომ გაჩნდა წყლის საათი?
- როდის და როგორ იყენებდნენ ქვიშის საათს?
- რითი განსხვავდებოდა წყლის საათი ქვიშის საათისაგან?

4. ჩაწერე შესაბამისი ნაცვალსახელი და წაიკითხე.

მე	ჩვენ	შენ	თქვენ	მან	მათ

1. ---------- საათის ცნობა ვიცი.
2. ---------- საათის ცნობა იცი.
3. ---------- საათის ცნობა იცის.
4. ---------- საათის ცნობა ვიცით.
5. ---------- საათის ცნობა იცით.
6. ---------- საათის ცნობა იციან.

5. დააკავშირე საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები.

ძველი	რთული
მარტივი	განსხვავებული
მსგავსი	თანამედროვე

6. წაიკითხე განმარტებები და დააკავშირე სურათებთან. მიუწერე განმარტებას, რა არის.



ტივი

ნიღაბი

ჩოხა

მოსასხამი

არღანი

ჯამბაზი

1. ქართველი მამაკაცის ტანსაცმელი ძველ საქართველოში. ძირითადად, არის შავი, თეთრი და მუქი წითელი ფერის. დღეს იცვამენ დღესასწაულებსა და ზეიმებზე. აცვიათ მოცეკვავეებსაც. ----------
2. მას იკეთებენ სახეზე. არსებობს სხვადასხვა ფერის, ფორმისა და ზომის. იყენებენ თეატრში და კარნავალზე. ----------
3. მუსიკალური ინსტრუმენტია. გავრცელებული იყო ძველ საქართველოში. ----------
4. წყლის ტრანსპორტი ძველ საქართველოში. ----------
5. ასე ჰქვია ადამიანს, რომელიც ართობს ხალხს. მუშაობს ცირკში. ძალიან უყვართ ბავშვებს. ----------
6. ქალისა და მამაკაცის ტანსაცმელი. არის გრძელი. იყენებენ კარნავალზე ნიღაბთან ერთად. ----------

1. დააკავშირე ერთმანეთთან.

რა?	**ვინ?**
1. არღანი	ა. მოცეკვავე
2. ნახატი	ბ. ჯამბაზი
3. მუსიკა	გ. მეარღნე
4. ცეკვა	დ. მხატვარი
5. ჯამბაზობა	ე. მუსიკოსი

1. –––– 2. –––– 3. –––– 4. –––– 5. ––––

2. წაიკითხე და გადახაზე ზედმეტი სიტყვა.

ა.	მოცეკვავე	ცეკვა	ცეკვავს	მხატვარი
ბ.	ჯამბაზი	მუსიკოსი	მუსიკა	უკრავს
გ.	მოცეკვავე	მეარღნე	მუსიკა	მხატვარი
დ.	მუსიკოსი	სურათი	მხატვარი	ჯამბაზი

3. შენი აზრით, რა აერთიანებს სიტყვებს: *მოცეკვავე, მეარღნე, მუსიკოსი, მხატვარი, ჯამბაზი?* წაიკითხე და მიუწერე, რა ჰქვია მას:

1. ვინც მუსიკას უკრავს? ----------
2. ვინც ხალხს ართობს? ----------
3. ვინც ცეკვავს? ----------
4. ვინც ხატავს? ----------
5. ვინც არღანს უკრავს? ----------

4. დააკავშირე შეკითხვა პასუხთან.

ვინ არის?	სურათ**ი**
რა არის?	ხე**ს**
ვის ხატავს?	მხატვარ**ი**
რას ხატავს?	ბიჭ**ს**

დააკვირდი!

ვინ? / რა? — ის (ბიჭი/ხე)
ვის? / რას? — მას (ბიჭს/ხეს)

5. დასვი შეკითხვები ნიმუშის მიხედვით და უპასუხე წერილობით.

ნიმუში: *მხატვარი სურათს ხატავს.*

1. **ვინ** ხატავს სურათს? — მხატვარ**ი**
2. **რას** ხატავს მხატვარი? — სურათ**ს**

ა. <u>მეარღნე უკრავს არღანს.</u>
1. ----------
2. ----------

ბ. <u>მუსიკოსი უკრავს მუსიკას.</u>
1. ----------
2. ----------

გ. <u>ჯამბაზი ართობს ხალხს.</u>
1. ----------
2. ----------

დ. <u>მასწავლებელი ასწავლის მოსწავლეს.</u>
1. ----------
2. ----------

6. ხაზგასმულ სიტყვებს დაუსვი შეკითხვები და უპასუხე.

1. **<u>ბიჭი</u>** ელაპარაკება კაცს. ----------
2. დათო წერს **<u>წერილს.</u>** ----------
3. **<u>კატა</u>** სვამს რძეს. ----------
4. ლია ხატავს **<u>მეგობარს</u>**. ----------

1. დააკვირდი სურათებს და აღწერე: რას აკეთებენ *მაიმუნი, ბიჭი, კაცი და ლია?* **დაწერე წინადადებები და წაიკითხე.**



1. ----------
2. ----------
3. ----------
4. ----------

2. დაუსვით ერთმანეთს შეკითხვები სურათების შესახებ და უპასუხეთ.

- რას აკეთებს ...?
- რას კითხულობს ...?
- ვინ კითხულობს ...? და ა.შ.

3. გაიხსენე და მონიშნე სათანადო უჯრა.

	თბილისობის დღესასწაული	ნიღბების კარნავალი	ფერების დღესასწაული
მას შემოდგომის დღესასწაულსაც უწოდებენ.			
ის ტარდება ვენეციაში და 10-12 დღეს გრძელდება.			
ინდოეთში ამ დღესასწაულს ჰოლი ჰქვია.			
მისი მთავარი ატრიბუტი ნიღაბი და მოსასხამია.			
მამაკაცები, ძირითადად, ჩოხებით დადიან.			
ყველა თეთრ ტანსაცმელშია გამოწყობილი.			
ერთმანეთს ფერად ფხვნილს აყრიან და შეღებილ წყალს ასხამენ.			
ტივებზე გაშლილია სუფრა და ისმის არღნის ხმა.			
ქუჩებში ისმის მუსიკის ხმა და დოლების ხმაური.			

4. იპოვე მსგავსი სიტყვა და შემოხაზე.

<u>ზეიმობენ</u>

ა. საუბრობენ ბ. დადიან გ. დღესასწაულობენ

5. შემოხაზე სწორი წინადადება და წაიკითხე.

ა. ეს დღესასწაული ჰოლი ჰქვია.
ბ. ამ დღესასწაულს ჰოლი ჰქვია.

ა. ისინი ერთმანეთს ფერად ფხვნილს აყრიან.
ბ. ისინი ერთმანეთი ფერად ფხვნილს აყრიან.

ა. ის შემოდგომის დღესასწაულს უწოდებენ.
ბ. მას შემოდგომის დღესასწაულს უწოდებენ.

1. შეავსე გამოტოვებული ადგილები. მოისმინე და შეამოწმე დავალება.

I. ორ დღეს არღნის ჩოხები შეჯიბრებები ოქტომბერში

თბილისობის დღესასწაული ---------- იმართება თბილისში და ---------- გრძელდება. მონაწილეებს აცვიათ ---------- ---------- და ქართული კაბები. იმართება სპორტული ---------- და კონცერტები. ისმის ---------- მუსიკის ხმა.

II. ნიღაბი 10-12 დღის დოლების ზამთრის მუსიკის ხმა კოსტიუმი

ნიღბების კარნავალი ---------- ბოლოს და ადრე გაზაფხულზე ტარდება ვენეციაში და ---------- განმავლობაში გრძელდება. ყველა მსურველს საკარნავალო ---------- აცვია. მისი მთავარი ატრიბუტი კი ---------- და მოსასხამია. ქუჩებში ისმის ---------- და ----------ხმაური.

III. თეთრ წყალს ქუჩებში ინდოეთში ფხვნილს

ფერების ფესტივალი ---------- ტარდება თებერვალ-მარტში და ორ დღეს გრძელდება. ---------- ტანსაცმელში გამოწყობილი ადამიანები ---------- სეირნობენ, ერთმანეთს ფერად ---------- აყრიან, ასხამენ შეღებილ ---------- და მხიარულობენ.

2. გამოიყენე წინა დავალება და შეავსე ცხრილი. ცხრილის დახმარებით ისაუბრე თითოეული დღესასწაულის შესახებ.

	თბილისობის დღესასწაული	**ნიღბების კარნავალი**	**ფერების დღესასწაული**
სად იმართება?			
როდის იმართება?			
რამდენ ხანს გრძელდება?			
რა აცვიათ მონაწილეებს?			
რითი ერთობიან?			

3. დააკავშირე ერთმანეთთან.

ნახატების	პარკი
ზღაპრის	ბუშტები
მზიურის	გმირები
საპნის	გამოფენა

4. გამოიყენე წინა დავალება, დაწერე ნიმუშის მიხედვით და წაიკითხე.

ნიმუში: *საპნის ბუშტები*

1. ----------
2. ----------
3. ----------
4. ----------

5. გადახაზე არასწორი შესიტყვება.

ა. საპონის ბუშტები / საპნის ბუშტები
ბ. ზღაპრის გმირები / ზღაპარის გმირები
გ. მზეს თოჯინა / მზის თოჯინა

6. აირჩიე შესაბამისი სიტყვა და ჩაწერე სათანადო ბრუნვის ფორმით. ყურადღება მიაქციე ნიმუშს.

~~მზე~~ ნახატები ბავშვები საპონი მზიური ზღაპარი

ნიმუში: *ამ დღეს იმართება <u>მზის</u> ფესტივალი.*

1. ფესტივალი იმართება ---------- პარკში.
2. პარკში ისმის ---------- ხმა.
3. ბავშვებს ართობენ ---------- გმირები.
4. ეწყობა ---------- გამოფენა.
5. ბავშვები უშვებენ ---------- ბუშტებს.

7. გადაიყვანე მრავლობით რიცხვში.

ბავშვი - ----------
ქაღალდი - ----------
ბუშტი - ----------
თოჯინა - ----------
სათამაშო - ----------

1. გადახაზე არასწორი ფორმა.

ა. საპნები ბ. საპონები
ა. ზღაპარები ბ. ზღაპარები
ა. ნიღაბები ბ. ნიღბები

დაიმახსოვრე!

საპ**ო**ნი ---- საპნები
ზღაპ**ა**რი ---- ზღაპრები

2. დაასრულე წინადადებები. აირჩიე და ჩაწერე შესაბამისი სიტყვა მრავლობით რიცხვში.

ჯამბაზი ზღაპარი ბუშტი ნახატი

1. ბავშვებმა დახატეს ლამაზი ----------.
2. მათ მზისკენ გაუშვეს ფერადი ----------.
3. ბავშვებს ართობენ მხიარული ----------.
4. მათ ხმამაღლა წაიკითხეს საყვარელი ----------.

3. ჩაწერე სწორად და წაიკითხე: ზე / ში

1. საქართველო–– შემოდგომა–– თბილისობას ზეიმობენ.
2. ნიღბების კარნავალი ადრე გაზაფხულ–– ტარდება ვენეცია–– .
3. ფერების ფესტივალი ინდოეთ–– ტარდება თებერვალ-მარტ–– .

4. მოისმინე ტექსტი და შეავსე ქვემოთ მოცემული ცხრილი.

რა ჰქვია დღესასწაულს?	
სად იმართება?	
როდის იმართება?	
ვინ ართობენ ბავშვებს?	
რას აკეთებენ ბავშვები?	

5. გაიხსენე და შემოხაზე სწორი ვარიანტი.

1. **მზის ფესტივალი არის:**
   ა. გაზაფხულის დღესასწაული
   ბ. დიდების დღესასწაული
   გ. ბავშვების დღესასწაული

2. **მზის ფესტივალი იმართება:**
   ა. მზიურის პარკში
   ბ. ბომბორას პარკში
   გ. ვენეციაში

3. <u>ფესტივალის დასრულების შემდეგ:</u>

ა. უშვებენ ქაღალდებს
ბ. უშვებენ საპნის ბუშტებს
გ. უშვებენ ფერად ბუშტებს

6. გამოიყენე წინა დავალებები და ისაუბრე მზის ფესტივალის შესახებ.

7. შეავსე სიმღერის ტექსტში გამოტოვებული ადგილები.
მოისმინე მზის ფესტივალის სიმღერა და შეამოწმე.

ა. ნაცრისფერი
ბ. სად მივდივარ
გ. ყვავილებს
დ. ჩანთა
ე. ლურჯი ზღვა
ვ. სად არის
ზ. ღრუბლებში
თ. ბილეთს

I. ჩავალაგე ---------- (1), მატარებელს გაჰყვა,
ვერ ვპოულობ, ---------- (2).
სადგურთან დავჯდები, ვინმეს მოვუყვები,
ახალ ---------- (3) ვიპოვი.

<u>მისამღერი:</u>

ალბათ, ვერ მიხვდები, ---------- (4) დღეს,
მაგრამ დამთავრდება ---------- (5) დღე.

II. მზეო, შენთვის ვმღერი, ეს გზა გამინათე,
დამანახე ---------- (6),
---------- (7) გავცუროთ,
---------- (8) ვაჩუქოთ
შენი სითბო, არა — სხვა.

<u>მისამღერი:</u>

ვიცი, შენ გარეშე ვერ ვიცოცხლებთ ჩვენ,
მზეო, გაგვინათე და გვაჩუქე დღე, ნათელი დღე!

1. მონიშნე, რას აკეთებენ ადამიანები ახალ წელს და წაიკითხე. ყველა ზმნას გაუსვი ქვეშ ხაზი.

ქუჩაში გადიან და მხიარულობენ. ✓

უყურებენ საახალწლო გადაცემებს.

წვებიან საწოლში და იძინებენ.

უშვებენ საპნის ბუშტებს.

ჭამენ გოზინაყს.

თევზაობენ.

სხდებიან სუფრასთან.

მიდიან ზოოპარკში.

ჩუქნიან საჩუქრებს.

ჭრიან საახალწლო ნამცხვარს.

რთავენ ნაძვის ხეს.

კითხულობენ ზღაპრებს.

ფანჯრებიდან ყრიან ძველ ნივთებს.

თამაშობენ ფეხბურთს.

ფანჯრებიდან ასხამენ წყალს.

ტირიან.

წერენ მისალოც ბარათებს.

იცინიან.

ცეკვავენ და მღერიან ნაძვის ხის გარშემო.

ელოდებიან თოვლის პაპას.

აღებენ კარს.

სვამენ რძეს.

2. გადაახარისხე წინა დავალების ზმნები დაბოლოების მიხედვით.

-ენ	-იან
--*მხიარულობენ,* ----------	--*გადიან,* ----------
----------	----------
----------	----------
----------	----------
----------	----------
----------	----------
----------	----------
----------	----------
----------	----------

3. გადაიყვანე ზმნები მხოლობით რიცხვში და წაიკითხე.

I. ისინი მხიარულობ-ენ ⟶ *ის მხიარულობ-ს.*
ისინი უშვებ-ენ - ----------
ისინი რთავ-ენ - ----------
ისინი ასხამ-ენ - ----------
ისინი აღებ-ენ - ----------

II. ისინი გადი-ან ⟶ *ის გადი-ს*
ისინი ჩუქნი-ან - ----------
ისინი ჭრი-ან - ----------
ისინი ყრი-ან - ----------

III. ისინი დგები-ან ⟶ *ის დგებ-ა*
ისინი ელოდები-ან - ----------
ისინი წვები-ან - ----------

4. ჩასვი სათანადო ნაცვალსახელი: <u>ის / ისინი</u>

ა. ---------- უყურებენ საახალწლო გადაცემას.
ბ. ---------- ჭამს ნამცხვარს.
გ. ---------- სვამენ ლიმონათს.
დ. ---------- სხდებიან სუფრასთან.
ე. ---------- იძინებს ღამის ათ საათზე.
ვ. ---------- ცეკვავენ და მღერიან ნაძვის ხის გარშემო.

1. დააკავშირე ერთმანეთთან.

ყრიან	ნაძვის ხეს
ჩუქნიან	ნამცხვარს
უშვებენ	ძველ ნივთებს
ჭრიან	წყალს
რთავენ	კარს
ასხამენ	საჩუქრებს
აღებენ	ფერად ბუშტებს

2. წარმოიდგინე, რომ ახალ წელს ხვდები ჩინეთში შენს მეგობართან. წაიკითხე და შემოხაზე, რას აკეთებთ ჩინური ტრადიციის მიხედვით.

1. ჩვენ ახალ წელს ვხვდებით გარეთ.
2. წითელი სათამაშოებით ვრთავთ ნაძვის ხეს.
3. ვანთებთ წითელ ფარნებს.
4. ვჩუქნით საათებს.
5. ველოდებით თოვლის პაპას.
6. ვამზადებთ საახალწლო ტკბილეულს.

3. წინა დავალებაში მოცემული ზმნები გადაიყვანე მხოლობით რიცხვში და წაიკითხე.

1. ახალ წელს მე ---------- გარეთ.
2. წითელი სათამაშოებით ---------- ნაძვის ხეს.
3. ---------- წითელ ფარნებს.
4. ---------- საათს.
5. ---------- თოვლის პაპას.
6. ---------- საახალწლო ტკბილეულს.

4. **წაიკითხე ტექსტი და შეამოწმე შენი ვერსიები. მოკლედ უპასუხე შეკითხვებს.**

ჩინეთში ახალ წელს ყველა ოჯახთან ერთად ხვდება. სახლს წითელი ფერებით რთავენ. სახლებსა და ქუჩებში წითელ ფარნებს ანთებენ. აკეთებენ ქაღალდის დრაკონებს. ჩინელები ნაძვის ხეს იშვიათად რთავენ. იქ არც თოვლის პაპაა პოპულარული. ჩინეთში ახალ წელს ხმაურით ხვდებიან. მთელი ოჯახი ჩინურ დომინოს თამაშობს. შემდეგ ქუჩაში გადიან და მხიარულობენ. საახალწლო სუფრის აუცილებელი ატრიბუტია თევზი და ჩინური პელმენი. მიღებული არ არის საათების ჩუქება.

ა. სად ხვდებიან ჩინელები ახალ წელს? ----------

ბ. რა არის ჩინური ახალი წლის ატრიბუტები? ----------

გ. რას არ ჩუქნიან ჩინელები საახალწლოდ ერთმანეთს? ----------

დ. რისგან აკეთებენ დრაკონებს? ----------

ე. რითი რთავენ სახლებსა და ქუჩებს? ----------

5. დააკავშირე ერთმანეთთან.

მე	ველოდებით	მე	მხიარულობს
შენ	ელოდება	შენ	მხიარულობთ
ის	ელოდებით	ის	ვმხიარულობ
ჩვენ	ველოდები	ჩვენ	მხიარულობენ
თქვენ	ელოდებიან	თქვენ	ვმხიარულობთ
ისინი	ელოდები	ისინი	მხიარულობ

6. წაიკითხე და გადახაზე არასწორი ფორმები.

ა. მე ვჯდები / ვსხდები

ბ. შენ ჯდები / სხდები

გ. ის ჯდება / სხდება

დ. ჩვენ ვჯდებით / ვსხდებით

ე. თქვენ ჯდებით / სხდებით

ვ. ისინი ჯდებიან / სხდებიან

7. შეავსე ცხრილი.

მე	შენ	ის	ჩვენ	თქვენ	ისინი
ვუშვებ					
	რთავ				
		ჩუქნის			
			ვჭრით		
					ყრიან
				ხვდებით	

8. ჩასვი სათანადო პირსა და რიცხვში.

1. ჩინელები ნაძვის ხეს იშვიათად ---------- (მორთვა).
2. ჩვენ ახალ წელს ოჯახში ---------- (შეხვედრა).
3. ჩემი ძმა საპნის ბუშტებს ---------- (გაშვება).
4. დედა საახალწლო ნამცხვარს ---------- (დაჭრა).
5. ჩვენ ახალი წლის ღამეს ერთმანეთს საჩუქრებს ---------- (ჩუქება).

1. გამოიყენე წინა დავალებები და დაწერე, თქვენ როგორ ხვდებით ახალ წელს? რას აკეთებთ შენ და შენი ოჯახის წევრები? გააცანი შენი ნაწერი კლასს.

---

2. წაიკითხე და მონიშნე სწორი ვარიანტი. გააცანით ერთმანეთს თქვენი პასუხები. მოძებნე პასუხები წიგნის ბოლოს და შეამოწმე შენი ვარიანტები (გვ. 73-74 , დამატებითი საკითხავი).

ა. *ინგლისელები საახალწლო საჩუქარს ერთმანეთს ჩუქნიან:*
ა. ახალი წლის ღამეს ბ. 25 დეკემბერს გ. 28 დეკემბერს

ბ. *პირველი საახალწლო მისალოცი ბარათი დაწერეს:*
ა. ინგლისში ბ. ამერიკაში გ. გერმანიაში

გ. *ახალი წლის ღამეს ფანჯრებიდან ძველ ნივთებს ყრიან:*
ა. ინგლისელები ბ. იტალიელები გ. იაპონელები

დ. *საახალწლო დღესასწაულზე ნიღბებს იკეთებენ:*
ა. იტალიელები ბ. ჩინელები გ. იაპონელები

3. გაანაწილე ცხრილში სწორად და წაიკითხე. დაასახელე, რა ეროვნების ხარ და სად ცხოვრობ. კიდევ რომელი ეროვნების ხალხი ცხოვრობს საქართველოში?

ქართველი / საქართველო; სომხეთი / სომეხი; აზერბაიჯანელი / აზერბაიჯანი; ჩინეთი / ჩინელი; იაპონელი / იაპონია; იტალიელი / იტალია; შვედეთი / შვედი; ავსტრალია / ავსტრალიელი; ახალი ზელანდია / ახალზელანდიელი

ვინ? (ეროვნება)	**რა?** (ქვეყანა)
1. ---------- 2. ---------- 3. ---------- 4. ---------- 5. ---------- 6. ---------- 7. ---------- 8. ---------- 9. ----------	---------- ---------- ---------- ---------- ---------- ---------- ---------- ---------- ----------

4. წაიკითხე ტექსტი და შეავსე ქვემოთ მოცემული ცხრილი.

ახალი წლის ღამეს თოვლის პაპა და სანტა-კლაუსი უზარმაზარ მარხილებში სხდებიან და ბავშვებთან მოდიან. ისინი მეგობრები არიან. ორივე ძალიან კეთილი და მხიარულია.

თოვლის პაპა სვანეთის მაღალ კოშკში ცხოვრობს. მას აქვს დიდი წითელი ლოყები და გრძელი თეთრი წვერი. მხრებზე მოსხმული აქვს შავი ან თეთრი ფერის ნაბადი და მხარზე საჩუქრებით სავსე ხურჯინი ჰკიდია.

თეთრწვერა და ლოყებწითელა სანტა კი ლაპლანდიის მაღალ მთებში ცხოვრობს. მას თავზე წითელი პომპონიანი ქუდი ახურავს, წითელი ხალათი და შავი ჩექმები აცვია. სათვალე უკეთია და მხარზე საჩუქრებით სავსე ტომარა ჰკიდია.

	თოვლის პაპა	**სანტა-კლაუსი**
სად ცხოვრობს?		
როგორია გარეგნულად?		
რა აცვია?		
რაში აწყობს საჩუქრებს?		

5. შეცვალე ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში: *აქვს დიდი თვალები.* ⟶ *არის დიდთვალება.*

აქვს თეთრი წვერი. ----------

აქვს წითელი ლოყები. ----------

1. მოძებნე სურათზე და დააკავშირე ისრით.

მარხილი **კოშკი** **ნაბადი** **ხურჯინი** **პომპონი** **ტომარა**

2. შეადარე თოვლის პაპა და სანტა-კლაუსი ერთმანეთს. ამოწერე, რითი ჰგვანან ისინი ერთმანეთს და რითი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

მსგავსება	**განსხვავება**
1. ორივე ახალი წლის ღამეს მოდის.	*1. თოვლის პაპა სვანეთის მაღალ კოშკში ცხოვრობს.*
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---

3. აირჩიე და ჩაწერე.

ყრია **სხედან** **აწყვია**

თეფში დევს. თეფშები ----------.

ქაღალდი გდია. ქაღალდები ----------.

ბავშვი ზის. ბავშვები ----------.

4. შეავსე გამოტოვებული ადგილები და წაიკითხე.

ასხამენ აწყობს სხდებიან ყრიან რთავენ

ახალ წელს იტალიელები ფანჯრებიდან ძველ ნივთებს ----------. ჰოლანდიაში თოვლის პაპა საჩუქრებს ფეხსაცმელებში ----------. ტაილანდში ახალ წელს ერთმანეთს წყალს ----------. ჩინელები სახლებსა და ქუჩებს წითელი ფარნებით ----------. ახალი წლის ღამეს ოჯახის წევრები სუფრასთან ----------.

5. უპასუხე შეკითხვებს.

1. სად ყრიან ძველ ნივთებს ახალ წელს?
2. რას აკეთებს თოვლის პაპა ჰოლანდიაში?
3. როგორ ხვდებიან ახალ წელს ტაილანდში?
4. რას რთავენ ჩინელები წითელი ფარნებით?
5. როდის რთავენ წითელი ფარნებით სახლებს ჩინეთში?

6. დაუსვით მსგავსი შეკითხვები ერთმანეთს და უპასუხეთ.

7. მოცემული ზმნები გაანაწილე სწორად.

დებს / დევს; აწყობს / აწყვია; ყრია / ყრის; გდია / აგდებს; ანთებს / ანთია; ასხია / ასხამს

ის	ის მას
კალამ-ი დევს	*კალამ-ს დებს*
საჩუქრებ-ი ----------	საჩუქრებ-ს ----------
ნაგავ-ი ----------	ნაგავ-ს ----------
ქაღალდ-ი ----------	ქაღალდ-ს ----------
ნაძვის ხე ----------	ნაძვის ხე-ს ----------
წყალ-ი ----------	წყალ-ს ----------

8. შეცვალე ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში: *ის ოთახში ნაძვის ხეს ანთებს* → *ოთახში ნაძვის ხე ანთია.*

ა. ის სკამზე ქუდს აგდებს. → ----------

ბ. ის იატაკზე ქაღალდებს ყრის. → ----------

გ. ის ჭიქაში წყალს ასხამს. → ----------

დ. ის კალათაში საჩუქრებს აწყობს. → ----------

ე. ის თაროზე წიგნს დებს. → ----------

1. ჩასვი შესაბამისი ზმნა და წაიკითხე.

1. ქუჩებში წითელი **ფარნები** ---------- (ანთია / ანთებენ).
2. დედა მაგიდაზე **თეფშებს** ---------- (აწყობს / აწყვია).
3. კალათაში **ჯოხები** ---------- (აწყობს / აწყვია).
4. თოვლის პაპა ნაძვის ხის ქვეშ **საჩუქარს** ---------- (დევს / დებს).
5. იატაკზე **სათამაშოები** ---------- (ყრის / ყრია).
6. ბავშვი ფანჯრიდან **ბურთს** ---------- (აგდებს / გდია).
7. მამა ნაძვის ხეზე **სათამაშოებს** ---------- (კიდებს / კიდია).
8. კედელზე **საათი** ---------- (კიდებს / კიდია).

2. დაუსვი შეკითხვები წინა დავალებაში ხაზგასმულ სიტყვებს.

ა. *რა ანთია ქუჩებში?*
ბ. *რას აწყობს დედა მაგიდაზე?*
გ. ----------
დ. ----------
ე. ----------
ვ. ----------
ზ. ----------
თ. ----------

3. დაუსვით ერთმანეთს ეს შეკითხვები და უპასუხეთ.

4. იპოვე მსგავსი სიტყვა და შემოხაზე.

სამოსი:

ა. ხურჯინი ბ. გასაღები გ. ტანსაცმელი

5. დააკავშირე ერთმანეთთან.

ხახვისთავიანი	კარლსონი
პროპელერიანი	თოვლის პაპა
ხურჯინიანი	ჩიპოლინო

6. წაიკითხე და მიუწერე, ვინ ამბობს.



ა. — რა საშინელებაა, როგორ თბილა აქ! ----------

ბ. — მსოფლიოში საუკეთესო კულინარი ვარ! ----------

გ. — ვერ მიცანით? მე ხომ ხახვის ბიჭუნა ვარ! ----------

7. დააკავშირე ერთმანეთთან და წაიკითხე.

1. რა კარგია ჩემს ყინულის სასახლეში,	ა. თუ გინდა, გავფრინდები.
2. იმიტომ ვერ მიცანით, რომ	ბ. ახალი წელი მოვა!
3. ეს პროპელერი ნამდვილია,	გ. იქ ხომ ყველაფერი ყინულისაა!
4. მალე ახალი წელი მოვა და	დ. ყველა ერთად შევხვდებით.
5. რა კარგია, მალე	ე. წიგნებს არ კითხულობთ.

1. –––– 2. –––– 3.–––– 4. –––– 5. ––––

8. ფრჩხილებში მოცემული სიტყვები ჩასვი შესაბამისი ფორმით (<u>რის/რისი?</u>) და წაიკითხე.

1. ახალი წლის ღამეს გოგონას სახლში მისი საყვარელი *(წიგნები)* ---------- გმირები გაცოცხლდნენ.
2. - როგორ მიყვარს ახალი წელი! — მოისმა *(ტანსაცმელი)* ---------- კარადიდან.
3. - რა კარგია ჩემს *(ყინული)* ---------- სასახლეში!
4. ფუ, რა *(ხახვი)* ---------- სუნი დადგა!
5. ოთახში გრძელცხვირიანი *(ხე)* ---------- ბიჭუნა შემოვარდა.
6. ყველამ საათს შეხედა, *(საათი)* ---------- ისრები გაჩერებულიყო.
7. ბურატინომ ჯიბიდან *(ოქრო)* ---------- გასაღები ამოიღო.

1. ხაზგასმული სიტყვები შეცვალე ერთი სიტყვით.

ა. ნიმუში: აქვს გრძელი კისერი. ⟶ არის გრძელკისერა.

1. ბურატინოს აქვს <u>გრძელი ცხვირი</u>. ის არის ----------
2. დედოფალს აქვს <u>ცისფერი თვალები.</u> ის არის ----------

ბ. ნიმუში: აქვს ხურჯინი. ⟶ არის ხურჯინიანი.

1. ჩიპოლინოს აქვს <u>ხახვის თავი</u>. ის არის ----------
2. კარლსონს აქვს <u>დიდი თავი</u>. ის არის ----------
3. გოგონას აქვს <u>შავი თმა</u>. ის არის ----------

2. დააკავშირე ერთმანეთთან.

ვინ?	დედოფალს
ვის?	დედოფლის
ვისი?	დედოფალი

რა?	კარადაში
სად?	კარადიდან
საიდან?	კარადა

3. შემოხაზე, რისგან მზადდება გოზინაყი.

1. თაფლისგან 2. რძისგან 3. შოკოლადისგან
4. შაქრისაგან 5. მარილისაგან 6. ნიგვზისაგან

4. შეავსე გამოტოვებული ადგილები სათანადო ზმნებით.

ვადუღებთ ვყრით ვასწორებთ ვჭრით ვურევთ

1. წვრილად ---------- ნიგოზს.
2. თაფლში ---------- ნიგოზს.
3. ხის კოვზით ----------.
4. თაფლს ----------.
5. სველ დაფაზე ----------.

5. გაიხსენე მომზადების წესი და წინადადებები დაალაგე თანამიმდევრულად.

ა. ვჭრით ნიგოზს. (1)
ბ. ვურევთ ხის კოვზით. ( )
გ. ვამატებთ შაქარს. ( )
დ. ვჭრით თბილი დანით. ( )
ე. ვასწორებთ სველ დაფაზე. ( )
ვ. ვადუღებთ თაფლს. ( )
ზ. ვყრით დაჭრილ ნიგოზს. ( )

6. გამოიყენე წინა დავალება და დაწერე გოზინაყის მომზადების წესი.

თავიდან ----------. შემდეგ ----------. თანდათან ----------. ამის შემდეგ ----------. ბოლოს ----------.

7. შეადარე შენი ნაწერი წიგნში მოცემულ მომზადების წესს. წაიკითხე:

1. რა არის წიგნში და არ არის შენთან.
2. რა არის შენთან და რა არ არის წიგნში.

8. წაიკითხე ტექსტი და შეავსე გამოტოვებული ადგილები.

ხეს ხისგან ხე ხის ხესთან

პირველად ნაძვის ---------- (1) გერმანიაში მორთეს. ნაძვის ---------- (2) პირველ სათამაშოებს ფერადი ქაღალდებისგან ამზადებდნენ.

საქართველოში ნაძვის ---------- (3) ერთად ჩიჩილაკსაც დგამენ. ჩიჩილაკს ქართულ “ნაძვის ----------” (4) უწოდებენ. მას ამზადებენ თხილის ---------- (5) და ხილითა და კანფეტებით რთავენ.

1. უპასუხე შეკითხვებს.

ა. სად მორთეს ნაძვის ხე პირველად? ----------
ბ. რისგან ამზადებდნენ პირველ სათამაშოებს? ----------
გ. რას დგამენ საქართველოში ახალ წელს? ----------
დ. რას აკეთებენ თხილის ხისგან? ----------
ე. რითი რთავენ ჩიჩილაკს? ----------

2. გაასწორე ხაზგასმული სიტყვები და ისე გადაწერე ტექსტი.

მსოფლიოში **ახალი წელი** ყველა განსხვავებულად აღნიშნავს. ზოგი ძველ ნივთებს **აგდებს** ფანჯრიდან, ზოგი კი **წყალი** ასხამს. შოტლანდიელები ბუხარში **ცეცხლი** ანთებენ და მის წინ **ჯდებიან.** თოვლის პაპა მოდის და საჩუქრებს სხვადასხვა ადგილას **დებს.**

---

3. ჩაწერე სათანადო ფორმა.

მე სუფრასთან ვჯდები.
ჩვენ სუფრასთან ----------.

ის სუფრასთან ჯდება.
ისინი სუფრასთან ----------.

ჩემი საუკეთესო მეგობარი

1. წაიკითხე განმარტება და ჩაწერე სიტყვა.

მელოტი ხუჭუჭი ჭაღარა

1. არის თეთრი და შავი ერთად. ასეთი ფერის თმა აქვთ უფროსი ასაკის ადამიანებს. ----------
2. ასე უწოდებენ იმას, ვისაც არ აქვს თმა. ----------
3. ეს არის ძალიან ხვეული თმა. ----------

2. გადაახარისხე ქვემოთ მოცემული სიტყვები.

სწორი ხუჭუჭი მელოტი სქელი ტალღოვანი
წითური ჭაღარა ქერა თხელი მუქი
მაღალი ღია წაბლისფერი დაბალი ხშირი

ა. სიტყვები, რომლებიც აღნიშნავს ფერს: ----------

ბ. სიტყვები, რომლებიც მიანიშნებს ფორმაზე: ----------

გ. სიტყვები, რომლებიც მიუთითებს რაოდენობას: ----------

---

3. დააკვირდი და შეცვალე ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში: *ხუჭუჭი თმა* ⟶ *ხუჭუჭთმიანი*

ხუჭუჭ**ი** თმ**ა** ხუჭუჭ**თმ**იანი
ქერ**ა** თმ**ა** ქერ**ათმ**იანი

ჭაღარა თმა ----------
ქერა თმა ---------- ----------
მწვანე თვალები ----------
პატარა ცხვირი ----------

1. გამოიყენე წინა დავალება და დაასრულე წინადადებები.

ნიმუში: *ამ ბიჭს აქვს ხუჭუჭი თმა. ეს ბიჭი არის ხუჭუჭთმიანი.*

1. ბიძაჩემს აქვს ----------
2. მე მაქვს ----------
3. ამ გოგოს აქვს ----------
4. ამ ბიჭს აქვს ----------

2. ჩაწერე ერთი სიტყვით.

არის ხუჭუჭთმიანი ---------- ხუჭუჭთმიანია
არის გრძელთმიანი ----------
არის ქერათმიანი ----------
არის წითურთმიანი ----------

3. მოიფიქრე და დაწერე, როგორი შეიძლება იყოს *ბიჭი, გოგო, თმა, წარბები?* გამოიყენე ეს მასალა და შეადგინე 8 წინადადება ნიმუშის მიხედვით.

ბიჭი/გოგო	თმა	წარბები
დიდი, ----------	გრძელი, ----------	ხშირი, ----------
----------	----------	----------
----------	----------	----------
----------	----------	----------
----------	----------	----------
----------	----------	----------
----------	----------	----------
----------	----------	----------
----------	----------	----------

ნიმუში: *დიდი ბიჭი არის გრძელთმიანი. დიდ ბიჭს აქვს ხშირი წარბები.*

1. ----------
2. ----------
3. ----------
4. ----------
5. ----------
6. ----------
7. ----------
8. ----------

4. აღწერე შენი ოჯახის წევრები. დაუსვით ერთმანეთს შეკითხვები და უპასუხეთ.

როგორ გამოიყურება შენი ძმა / მამაშენი...?
როგორი / რა ფერის ... აქვს შენს დას / დედაშენს...?
შენი ... მაღალია / ხუჭუჭთმიანია ...?

5. დააკავშირე ხაზით. თქვი, რა განსხვავებაა პირველსა (ა) და მეორეს (ბ) შორის?

ა.

პატარა	თვალები
ქერა	ცხვირი
ლურჯი	თმა

ბ.

ხუჭუჭი	ღია
მუქი	სქელი
თხელი	სწორი

6. შეავსე ნიმუშის მიხედვით და წაიკითხე.

ოდნავ ↓ **ძალიან** ↓

მო-წითალ-**ო** ←	**წითელი** →	**უ**-წითლ-**ესი**
------თეთრ------	თეთრი	-----თეთრ--------
------ყვითალ----	ყვითელი	------ყვითლ-------
------ცისფრ------	ცისფერი	------ცისფრ------
------ყავისფრ-----	ყავისფერი	-----ყავისფრ-------
------დიდ---------	დიდი	-----დიდ--------
------მრგვალ-----	მრგვალი	------მრგვალ------
------მაღლ-----	მაღალი	------მაღლ-------
------თხელ-----	თხელი	------თხელ-------

1. ჩაწერე ერთი სიტყვით.

ოდნავ სქელი ----------
ოდნავ ტკბილი ----------
ოდნავ გრძელი ----------

ძალიან სქელი ----------
ძალიან ტკბილი ----------
ძალიან გრძელი ----------

დაიმახსოვრე!

სქელი — მოსქო — უსქესი

ტკბილი — მოტკბო — უტკბესი

გრძელი — მოგრძო - უგრძესი

2. სწორად გაანაწილე.

თმა	ტუჩები	თვალები

სქელი ან თხელი ----------
ხუჭუჭი ან სწორი ----------
დიდი ან წვრილი ----------

3. გახაზე, რომელს შეეფერება სიტყვა "ხშირი"?

ტუჩები,	თმა,	ყურები,	თვალები,	წარბები,	ლოყები,	წამწამები

4. წაიკითხე და ჩაწერე, როგორია.

მხიარული	ჩუმი	ხმაურიანი	ცნობისმოყვარე

ა. სულ რაღაც აინტერესებს. არის ----------
ბ. სულ იცინის. არის ----------
გ. სულ ჩუმად არის. ----------
დ. სულ ხმაურობს. არის ----------

5. წაიკითხე და დააკავშირე.

1. ზარმაცია ის,	ა. ვისაც ბევრი ძილი უყვარს.
2. მსუნაგია ის,	ბ. ვინც სულ ბრაზობს.
3. ძილისგუდაა ის,	გ. ვინც სულ კარგ ხასიათზეა.
4. ბრაზიანია ის,	დ. ვისაც ყველაფრის გაკეთება ეზარება.
5. ხალისიანია ის,	ე. ვისაც ტკბილეული ძალიან უყვარს.

1. –––– 2. –––– 3. –––– 4. –––– 5. ––––

6. დააკვირდი სურათებს და ჩაწერე, ვინ როგორია.

ბრაზიანი ჩუმი მხიარული ზარმაცი მსუნაგი ძილისგუდა





--- --- ---

--- --- ---

7. მოძებნე მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები და ჩაწერე.

მხიარული ავი ჩუმი გულიანი ხალისიანი
ბრაზიანი ზანტი კეთილი ზარმაცი წყნარი

1. ---
2. ---
3. ---
4. ---
5. ---

8. გადახაზე ზედმეტი სიტყვა.

წყნარი	ჩუმი	ხმაურიანი	მშვიდი
ზანტი	ზარმაცი	ზოზინა	სწრაფი

1. მოისმინე და შეავსე ცხრილი.

	ეკა	მაკა
გარეგნობა: 1. თმა 2. თვალები	1. ---------- ---------- 2. ---------- ----------	1. ---------- ---------- 2. ---------- ----------
ხასიათი	---------- ---------- ---------- ----------	---------- ---------- ---------- ----------
დამატებითი ინფორმაცია	---------- ---------- ---------- ----------	---------- ---------- ---------- ----------

2. შეასრულე შემდეგი დავალებები:

- გამოიყენე ცხრილი და მიუწერე სურათებს, რომელია ეკა და რომელი – მაკა.
- გააფერადე სურათი ცხრილში მოცემული მონაცემების მიხედვით.
- აღწერე ეკა და მაკა.





---------- ----------

3. გაიხსენე დიალოგი და შეავსე გამოტოვებული ადგილები.
☺ თავიდან მოისმინე დიალოგი და შეამოწმე შენი ნაწერი.

მხიარული	სათვალიანი	ჭკვიანია	წყნარი	ცნობისმოყვარეა	
მოკლეა	კლასში	მეზობელია	ხმაურიანია	მშვიდია	სწორი

- ესენი ჩემი მეგობრები არიან — ეკა და მაკა.
- ეკა რომელია, ----------?
- არა, უსათვალო. ეკა ჩემს ---------- სწავლობს, მაკა ჩემი ---------- ----------. ორივე ჩემი საუკეთესო მეგობარია. ეკა ძალიან ---------- --და ----------, თანაც ძალიან ----------, სულ რაღაც აინტერესებს.
- მაკაც მხიარულია?
- მაკა უფრო ---------- და ----------. იცი, რა ----------?! ბევრს კითხულობს და იმდენი რამე იცის...
- როგორ ჰგვანან ერთმანეთს, დები არიან?
- არა, ბიძაშვილები. ორივეს ---------- შავი თმა აქვს, ოღონდ ეკას თმა უფრო ----------.
- თვალის ფერიც ერთნაირი აქვთ?
- არა, მაკას ცისფერი თვალები აქვს, ეკას — მწვანე.
- იცი, ჩემს ერთ მეგობარს ერთი თვალი ცისფერი აქვს და მეორე — მწვანე. რა უცნაურია, არა?

4. გაითამაშე დიალოგი კლასელებთან ერთად.

5. დაასახელე, ვინ არის შენს კლასში ყველაზე:

- მხიარული
- წყნარი
- ხმაურიანი
- ცნობისმოყვარე

ახსენი, რატომ ფიქრობ ასე?

- იმიტომ, რომ სულ...

ეთანხმები თუ არა შენს თანაკლასელს?

- არ ვეთანხმები იმიტომ, რომ გია ლალიზე ...ია / ლალისთან შედარებით ...ია

- ვეთანხმები. ის მართლაც... ყველაზე ...

1. წაიკითხე და დააკავშირე სურათებთან. ჩაწერე შესაბამისი სურათის ნომერი.

1.



2.



ის ჩემზე მაღალია. ☐

ის ჩემსავით მაღალია. ☐

2. აირჩიე და ჩაწერე.

ჩემზე / ჩემსავით

ა. მე მაღალი ვარ, ჩემი ძმა დაბალია. ის ---------- დაბალია.

ბ. მე გრძელი თმა მაქვს, ჩემს დას მოკლე თმა აქვს. მას ---------- მოკლე თმა აქვს.

გ. ორივეს ცისფერი თვალები გვაქვს. ჩემს ძმას ---------- ცისფერი თვალები აქვს.

დ. ორივეს გვიყვარს ტკბილეული. ჩემი და ---------- მსუნაგია.

3. შეცვალე ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში: *ჩემზე მხიარულია* → *ჩემთან შედარებით უფრო მხიარულია.*

ა. ჩემზე გრძელი ცხვირი აქვს. ----------

ბ. ჩემზე მსუნაგია. ----------

გ. ჩემზე სქელი ტუჩები აქვს. ----------

დ. ჩემზე ხშირი წარბები აქვს. ----------

ე. ჩემზე ცნობისმოყვარეა. ----------

ვ. ჩემზე ჭკვიანია. ----------

4. დააკვირდი სურათებს და აღწერე:

როგორია? — მაღალი, დაბალი, გამხდარი
როგორი თმა, ცხვირი და წარბები აქვს?



მანანა მარინა ნანა ნინო

5. მოისმინე რეპლიკები და დაასახელე, <u>ვინ არის და ვისზე ამბობს.</u>

6. გააფერადე სურათები და თავიდან აღწერე ისინი. მიუთითე თვალებისა და თმის ფერი.

7. აირჩიე ორი თანაკლასელი, დაწერე მათ შესახებ და ისაუბრე.

I. სახელი ----------
გარეგნობა ----------
ხასიათი ----------

II. სახელი ----------
გარეგნობა ----------

ხასიათი ----------

მას ჰქვია ... ის არის ...თმიანი,
...თვალება / აქვს ... თმა,
.... თვალები, ... შუბლი და ა.შ.
ის არის ... იმიტომ, რომ
ის სულ ... / მას სულ ...

1. შეადარე ისინი ჯერ ერთმანეთს, შემდეგ საკუთარ თავს. დაწერე და წაიკითხე.

გამოიყენე! გია ლიაზე ...ია / გია ლიასთან შედარებით უფრო ...ია, ნაკლებად ...ია / გია ლიასავით ...ია

გამოიყენე! გია ჩემზე ...ია / გია ჩემთან შედარებით უფრო ...ია, ნაკლებად ...ია / გია ჩემსავით ...ია

---

2. სრულად უპასუხე შეკითხვებს.

1. შენი საუკეთესო მეგობარი შენზე მაღალია?
   ---
2. ის შენთან შედარებით უფრო ცნობისმოყვარეა?
   ---
3. ის შენსავით მხიარულია?
   ---

3. დაასრულე წინადადებები და წაიკითხე სწორი ინტონაციით.

1. ის ცნობისმოყვარეა. მეც ----------.
2. ის მხიარულია. შენც ----------?
3. მას ქერა თმა აქვს. მეც ----------.
4. მას ტალღოვანი თმა აქვს. შენც ----------?

4. დააკავშირე ხაზით.

წვრილი	შუბლი
დაბალი	ტუჩები
თხელი	თვალები

დიდი	შუბლი
მაღალი	ტუჩები
სქელი	თვალები

5. ამოწერე შესაფერისი სიტყვები.

ხუჭუჭთმიანი, ცნობისმოყვარე, მაღალი, მხიარული, ხმაურიანი, წყნარი

გარეგნობა:

თვისება, ხასიათი:

---

6. გამოიყენე პირველი დავალება (მოსწავლის წიგნი, გვ. 22) და შეასრულე ქვემოთ მოცემული დავალებები.

I. წაიკითხე და ჩაწერე, ვინ იგულისხმება.

ა. მის ერთ მეგობარს მომწვანო ფერის თვალები აქვს. ----------

ბ. მას და მის მეგობარს ერთნაირი ხასიათი აქვთ. ----------

გ. ის და მისი საუკეთესო მეგობარი ძალიან ჰგვანან გარეგნობით ერთმანეთს. ----------

დ. მის საუკეთესო მეგობარს დიდი ცისფერი თვალები აქვს. ----------

ე. მისი საუკეთესო მეგობარი ძალიან ხალისიანია. ----------

II. წაიკითხე და ჩაწერე: სწორია / არ არის სწორი / არ ჩანს.

ა. ნიკას ერთი მეგობარი ნიკაზე უფროსია. ----------

ბ. ნიკას კლასელს მწვანე თვალები აქვს. ----------

გ. ანა და თამთა კლასელები არიან. ----------

დ. ანას მეგობარი ძალიან მსუნაგია. ----------

ე. ბექა ძალიან ცნობისმოყვარეა. ----------

ვ. ანას მეგობარი ძალიან კეთილია. ----------

ზ. ნუცა და სოფო ერთ კლასში სწავლობენ. ----------

თ. გაგა მაღალი და გამხდარია. ----------

ი. თორნიკეს ბიძაშვილი ახალციხელია. ----------

III. უპასუხე შეკითხვებს.

ა. ვინ ცხოვრობს თბილისში? ----------

ბ. სადაურია ანა? ----------

გ. საიდან არის თორნიკე? ----------

დ. ვისი მეგობარია სოფო? ----------

ე. ვინ არის გიორგის მეგობარი? ----------

ვ. ვინ არიან ერთმანეთისთვის თორნიკე და გაგა? ----------

IV. წაიკითხე და მონიშნე სათანადო უჯრა.

	ნიკა	ანა	ბექა	ნუცა	თორნიკე
1. მიუთითებს, საიდან არის.					
2. აღწერს მეგობრის გარეგნობას.					
3. საუბრობს მეგობრის ხასიათის შესახებ.					
4. წერს, სად შეხვდა თავის საუკეთესო მეგობარს.					
5. ასახელებს მიზეზს, რატომ არის ის მისი საუკეთესო მეგობარი.					
6. არ ასახელებს თავის ვინაობას.					
7. არ ამბობს მეგობრის სახელს.					

1. დააკავშირე ერთმანეთთან.

ვინ?	ვისი?
↓	↓
მე	მათი
შენ	თქვენი
ის	ჩემი
ჩვენ	შენი
თქვენ	მისი
ისინი	ჩვენი

2. ჩასვი სათანადო ნაცვალსახელი *(ვისი?)*.

ა. ეს **მე** ვარ. ეს ---------- მეგობარია.
ბ. ეს **შენ** ხარ. ის ---------- კლასელია.
გ. **ის** ქერათმიანია. ---------- დაც ქერაა.
დ. **ჩვენ** აქ ვცხოვრობთ. იქ ---------- ბიძაშვილები ცხოვრობენ.
ე. **თქვენ** აქ ხართ. იქ ---------- ნათესავები არიან.
ვ. **ისინი** ჩემი მეზობლები არიან. გურამი ---------- ბაბუაა.

3. აირჩიე და ჩასვი კონტექსტის მიხედვით.

ჩემი შენი მისი ჩვენი თქვენი მათი

ა. გაიცანი, ეს ---------- მეგობარია. მე და დათო საუკეთესო მეგობრები ვართ.
ბ. ჩემი ძმა და გიორგი ერთ კლასში სწავლობენ. გიორგი ---------- მეგობარია.
გ. დათო, ეს ---------- ბიძაშვილია?
დ. გამარჯობა. ის არის ---------- კლასელი?
ე. მე და სოფომ ნანა ერთად გავიცანით. ნანა ---------- მეგობარია.
ვ. ეკა და მაკა მეზობლები არიან. რეზოც ---------- მეზობელია.

4. დააკვირდი ხაზგასმულ სიტყვებს და დასვი შეკითხვები ნიმუშის მიხედვით.

ვინ? ვისი? როგორი? სადაური? საიდან?

ნიმუში: *ჩემი მეგობარი ახალციხიდანაა. ვისი მეგობარია ახალციხიდან?*

ა. ისინი საუკეთესო მეგობრები არიან. ----------
ბ. გიორგი **სიღნაღიდან** არის. ----------
გ. მე **თბილისელი** ვარ. ----------
დ. ის **მხიარული** ბიჭია. ----------
ე. სალომე **მათი** მეგობარია. ----------

5. შეცვალე ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში: *ნანა ჩემი მეგობარია.* → *ჩემს მეგობარს ჰქვია ნანა.*
ია მათი მეგობარია? → *მათ მეგობარს ია ჰქვია?*

ა. თეა ჩემი დაა. ---------- ----------
ბ. ბექა შენი მეზობელია? ----------
გ. სანდრო მისი ბიძაშვილია. ----------
დ. კატო ჩვენი კლასელია. ----------
ე. გია თქვენი ნათესავია? ----------
ვ. ელენე მათი მასწავლებელია. ----------

1. გაასწორე ხაზგასმული სიტყვები და ისე გადაწერე წინადადებები.

ა. ჩემი მეგობარი აქვს დიდი ცისფერი თვალები.

ბ. ჩემი მეზობელი ჰქვია ლუკა.

გ. მისი ნათესავს არის ახალციხიდან.

დ. რა ჰქვია შენ ძმას?

ე. საიდან არის თქვენს მეგობარს?

ვ. რა ჰქვია მისი მასწავლებელი?

---

2. შეავსე ტექსტი მონაცემების მიხედვით.

სახელი: ნიკა
სადაურობა: თბილისი
გარეგნობა: შავი მოკლე თმა, ყავისფერი თვალები.
ხასიათი: მხიარული, ხალისიანი
საუკეთესო მეგობარი: ზაზა, რეზო

ნიკა არის ----------. მას აქვს ---------- თმა და ---------- თვალები. ის არის ----------და ----------. მისი საუკეთესო მეგობრები არიან ---------- და ----------.

3. შეადგინე მსგავსი ტექსტები მონაცემების მიხედვით.

სახელი: ბექა
სადაურობა: ქუთაისი
გარეგნობა: მაღალი და გამხდარი, ყავისფერი თმა, მწვანე თვალები.
ხასიათი: ცნობისმოყვარე
საუკეთესო მეგობარი: გიორგი

სახელი: ნუცა
სადაურობა: თელავი
გარეგნობა: მაღალი, გამხდარი, გრძელი სახე
შავი, გრძელი, სწორი თმა
ხასიათი: გულიანი, მეგობრული
საუკეთესო მეგობარი: სოფო

---

4. დაწერე შენი საუკეთესო მეგობრის მონაცემები. დახატე ის ან ჩააკარი მისი ფოტო და ისაუბრე წერილობით მის შესახებ.

სახელი: ----------
სადაურობა: ----------
გარეგნობა: ----------

ხასიათი: ----------

---

1. წაიკითხე, შემოხაზე სწორი რეპლიკა და ჩაწერე.

ა) - გაიცანი, ეს რეზოა, ჩემი საუკეთესო მეგობარი.

---

1. გამარჯობა, რეზო. მე დათო ვარ.
2. გამარჯობა, რეზო. მე კარგად ვარ.

ბ) - რა ჰქვია შენს მეგობარს?

---

1. მის მეგობარს ანა ჰქვია.
2. მას ანა ჰქვია.

გ) - როგორია ის გარეგნობით?

- ---

1. ის კეთილი და მხიარულია.
2. ის მაღალი და გამხდარია.

დ) - მე და ბექა ძალიან ვგავართ ხასიათით ერთმანეთს.

- ---

1. მეც ბექასავით ცნობისმოყვარე ვარ.
2. მეც ბექასავით ხუჭუჭი თმა მაქვს.

ე) - როდის გაიცანი ის?

- ---

1. ჩემი ძმის დაბადების დღეზე გავიცანი.
2. ერთი წლის წინ გავიცანი.

ვ) - სად ნახე ის პირველად?

- ---

1. პირველად ვნახე, როცა ექვსი წლის ვიყავი.
2. პირველად ვნახე ჩემი ძმის დაბადების დღეზე.

2. დააკავშირე შეკითხვა პასუხთან.

როდის?	მაღალი
სად?	წელს
როგორი?	თბილისში
რამდენი?	თელაველი
სადაური?	ბევრი

რა?	სიღნაღელი
სად?	სიღნაღიდან
სადაური?	სიღნაღში
საიდან?	სიღნაღი

3. გამოიყენე მოცემული სიტყვები და შეავსე წინადადებები.

ბათუმი	ბათუმში	ბათუმელი	ბათუმიდან

1. შარშან ---------- დავისვენე.
2. ---------- ჩემი საყვარელი ქალაქია.
3. მე ---------- მეგობარი მყავს.
4. ჩემი ძმა ---------- მიფრინავს.

4. წაიკითხე წერილი (მოსწავლის წიგნი, გვ. 23) და შეასრულე ქვემოთ მოცემული დავალებები.

I. უპასუხე შეკითხვებს.

ა. ვინ არის წერილის ავტორი? ----------

ბ. ვის სწერს დათო წერილს? ----------

გ. საიდან წერს წერილს დათო? ----------

დ. სად გაიცნო დათომ ზურა? ----------

ე. სად ცხოვრობს ზურა? ----------

ვ. რას აკეთებს დათო სოფელში? ----------

II. წაიკითხე და ჩაწერე, ვინ არის.

ა. ის სოფელში ისვენებს. ----------

ბ. ის სოფელში ცხოვრობს. ----------

გ. ის დათოს ბებიის მეზობელია. ----------

დ. ის ზურაზე ერთი წლით უმცროსია. ----------

ე. მას ერთი ძმა ჰყავს. ----------

III. ამოწერე წერილიდან ინფორმაცია ზურას შესახებ.



ა. **ვინაობა:** ----------

ბ. **საცხოვრებელი ადგილი:** ----------

გ. **ასაკი:** ----------

დ. **ინტერესები:** ----------

ე. **გარეგნობა:** ----------

ვ. **თვისებები:** ----------

1. გამოიყენე წინა დავალების ინფორმაცია და შეავსე გამოტოვებული ადგილები ტექსტში.

დათო და ზურა მეგობრები არიან. ზურა ---------- ------ მეზობელია. ის ---------- ერთი წლით უფროსია. ზურა---------- ---------- დადის.

ზურა ძალიან კარგი ბიჭია, თან ძალიან ---------- და ----------. დათოს და ზურას ერთნაირი ხასიათი აქვთ, გარეგნულად კი ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ზურა ---------- მაღალი და გამხდარია. აქვს ---------- თმა, ----------შუბლი და ---------- თვალები.

2. დააკავშირე შეკითხვა პასუხთან.

ვის?	ბებიასთან
ვისი?	მეგობარს
ვისთან?	მეზობლის

ვის?	კლასელთან
ვისი?	კლასელს
ვისთან?	კლასელის

3. წაიკითხე და ჩაწერე.

უფროსია	უმცროსია	თანატოლია

შვილი მამაზე ----------
მამა შვილზე ----------
დედა მამის ----------

4. აირჩიე და ჩასვი კონტექსტის მიხედვით.

მივდივარ / დავდივარ

I. ა. დღეს ფეხბურთია. მე დღეს ფეხბურთზე ----------.
ბ. უკვე ორი წელია, ფეხბურთზე ----------.

II. ა. ორშაბათს და ოთხშაბათს ცეკვა მაქვს. მე ცეკვაზე ----------.
ბ. დღეს ორშაბათია. ორ საათზე ცეკვაზე ----------.

III. ა. ზოოპარკში ხშირად ----------.
ბ. კვირას ზოოპარკში ----------.

IV. ა. ახლა ტყეში ----------, შემდეგ მდინარეზე წავალ.
ბ. სოფელში კარგად ვერთობი: ტყეში ----------, მდინარეში ვბანაობ.

5. მოისმინე დიალოგი და შეავსე გამოტოვებული ადგილები.

დადის	დადიხარ	მიდიხარ	დადიხარ

- სად ----------, კახა?
- ცურვაზე.
- დიდი ხანია, ----------?
- ერთი წელია. შენ არ ---------- ცურვაზე?
- მე — არა, ჩემი ძმა ----------.

6. თავიდან მოისმინე დიალოგი და შეამოწმე შენი ნაწერი. წაიკითხე დიალოგი მეწყვილესთან ერთად.

1. დაახასიათე თოვლის გუნდა პირველი ეპიზოდის მიხედვით (მოსწავლის წიგნი, გვ. 25). ამოწერე შესაბამისი ინფორმაცია ტექსტიდან.



2. გამოიყენე წინა დავალება და თოვლის გუნდას მახასიათებელი სიტყვები გადაანაწილე ცხრილში.

გარეგნობა	თვისებები
_____	_____
_____	_____

3. აწარმოე ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში: *დიდი -------- მოდიდო, უდიდესი*

მრგვალი - ----------
ცისფერი - ----------
წითელი - ----------
ყვითელი - ----------

4. ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები შეცვალე შესაბამისი ნაცვალსახელით (ის / მას) და წაიკითხე.

იყო ერთი პატარა თოვლის გუნდა. (<u>*თოვლის გუნდა*</u>) -------- მაღალ მთაზე ცხოვრობდა. გუნდა პატარა, მრგვალი, სასაცილო და ძალიან მხიარული ვინმე იყო. (<u>*თოვლის გუნდას*</u>) -------- ძალიან უყვარდა თამაში.

5. აირჩიე და ჩასვი სწორი ვარიანტი. წაიკითხე პირველი ეპიზოდი (მოსწავლის წიგნი, გვ. 25) და შეამოწმე შენი პასუხი.

<u>**თოვლის გუნდა მოწყენილი იყო იმიტომ, რომ:**</u>

ა. არავის უნდოდა მასთან თამაში.
ბ. მას არ უყვარდა თოვლიანი მთები.
გ. თოვლის გარდა იქ არავინ ცხოვრობდა.

6. დააკავშირე ერთმანეთთან.

უჩვეულო	სევდიანი
გაოცებული	გახარებული
მოწყენილი	უცნაური
მხიარული	გაკვირვებული

7. დააკავშირე ერთმანეთთან.

ღრუბლის	წვეთი
წვიმის	ბუშტი
თოვლის	ქულა
საპნის	გუნდა

თავი	ჩაიხედა
უკან	დახარა
ქვემოთ	დაიხია

8. სწორად გაანაწილე: <u>*თოვლის / თოვლიანი*</u>

---------- მთები ---------- გუნდა ---------- ფიფქი

9. დააკავშირე სიტყვა განმარტებასთან.

ა. წაბაჯბაჯდა.
ბ. გამხიარულდა.
გ. მოიწყინა.

1. კარგ ხასიათზე დადგა.
2. ხალისი დაკარგა.
3. ნელა და სასაცილოდ წავიდა.

1. –––– 2. –––– 3. .––––

10. აირჩიე და ჩასვი.

უკან დაიხია.	მოეფერა.	თავი დახარა.

ა. — ეჰ, არც ამას უნდა ჩემთან თამაში, - მოიწყინა გუნდამ და ----------
---

ბ. გოგონას შეეშინდა და ----------

გ. გოგონას შეეცოდა პატარა კაცუნა და ----------

1. შეავსე გამოტოვებული ადგილები და წაიკითხე.

პატარა	უჩვეულო	ცისფერი
ლამაზი	უცნაური	გაოცებული

ერთ დღეს თოვლის გუნდამ ---------- ხმა გაიგონა. ჩაიხედა ქვემოთ და რას ხედავს?... ასეთი ---------- ფერები გუნდამ პირველად დაინახა.

- ეს რა არის? — დაინტერესდა თოვლის გუნდა. — მოდი, ჩავალ და ვნახავ, - გაიფიქრა და დაგორდა. გუნდა პირდაპირ ---------- გოგონას ფეხებთან მიგორდა.

- ჭიტა! — გაუცინა გუნდამ გოგონას. გოგონამ ---------- დიდი ---------- თვალებით შეხედა ---------- გუნდას. გუნდა გოგონასკენ წაბაჯბაჯდა. გოგონას შეეშინდა და უკან დაიხია.

- ეჰ, არც ამას უნდა ჩემთან თამაში, - მოიწყინა გუნდამ და თავი დახარა. გოგონას შეეცოდა პატარა გუნდა და მოეფერა.

2. უპასუხე შეკითხვებს.

1. რისი ხმა გაიგონა თოვლის გუნდამ?
2. რატომ იყო ეს ხმა უჩვეულო?
3. რა ნახა თოვლის გუნდამ პირველად?
4. რატომ იყო გოგონა გაოცებული?
5. რა ქნა შეშინებულმა გოგონამ?
6. რა ქნა მოწყენილმა გუნდამ?
7. რატომ მოიწყინა თოვლის გუნდამ?

3. მოძებნე, წაიკითხე და ამოწერე წინადადება, საიდანაც ჩანს, რომ:

ა. თოვლის გუნდა ცნობისმოყვარეა.

ბ. გოგონა ძალიან კეთილია.

---

4. როგორ ერთობიან გოგონა და თოვლის გუნდა? ამოწერე შესაბამისი ინფორმაცია მესამე ეპიზოდიდან (მოსწავლის წიგნი, გვ. 25) და წაიკითხე. ყურადღება მიაქციე კითხვებს.



5 გამოიყენე წინა დავალება, შეავსე წინადადებები და წაიკითხე.

1. ისინი თამაშობენ ---------- და ----------.
2. გოგონა და გუნდა ---------- უშვებენ ----------.
3. მეგობრები ---------- და ----------
   ---------- სეირნობენ ცაში.

6. დაუსვით ერთმანეთს შეკითხვები და უპასუხეთ.



7. წაიკითხე და შემოხაზე შენთვის მისაღები ვარიანტი. სად წავიდა თოვლის გუნდა?

1. გოგონას სახლში დაიმალა.
2. წყლად გადაიქცა და ცაში ავიდა.
3. დასცხა და ხის ქვეშ დაჯდა.

1. წაიკითხე და დაალაგე ქრონოლოგიური თანამიმდევრობით.

ა. წითელ-ყვითელი ბუშტები გაბერეს და ცაში აფრინდნენ. ☐
ბ. დახუჭობანა და დაჭერობანა ითამაშეს. 1
გ. ფუმფულა ღრუბლით ისეირნეს და შემდეგ უკან დაბრუნდნენ. ☐
დ. ბუშტები გასკდა და ფუმფულა ღრუბელზე დაეცნენ. ☐
ე. საპნის ბუშტები გაუშვეს აივნიდან. ☐

2. გამოიყენე წინა დავალება და დაწერე, როდის რა მოხდა.

პირველად ----------. შემდეგ ----------. ამის შემდეგ ----------. მერე ----------. ბოლოს ----------.

3. გადმოეცი თოვლის გუნდასა და გოგონას ამბავი.

4. შეადარე ქვემოთ მოცემული ორი წინადადება ერთმანეთს.

ა. ბიჭები ეზოში თამაშობენ. **ბ. ბიჭები კალათბურთს თამაშობენ.**

1. ამოწერე, რომელი სიტყვებია ამ ორ წინადადებაში საერთო? ----------
2. ამოწერე, რომელი სიტყვებია განსხვავებული? ----------
3. რომელია ამ წინადადებებში ძირითადი ინფორმაცია?
   ა. ----------
   ბ. ----------
4. რომელი სიტყვა გადმოგვცემს დამატებით ინფორმაციას წინადადებებში?
   ა. ----------
   ბ. ----------

5. შემოხაზე, რა დამატებით ინფორმაციას ვიგებთ:

<u>პირველ წინადადებაში?</u>

ა. როგორი ბიჭები არიან.
ბ. რას თამაშობენ.
გ. სად თამაშობენ.
დ. როდის თამაშობენ.

<u>მეორე წინადადებაში?</u>

ა. როგორი ბიჭები არიან.
ბ. რას თამაშობენ.
გ. სად თამაშობენ.
დ. როდის თამაშობენ.

6. ყურადღება მიაქციე კითხვებს და შეავსე წინადადება სხვა დამატებითი ინფორმაციით. წაიკითხე და შეადარე, სხვამ რა დაამატა.

(როდის?) ---------- (როგორი?) ---------- ბიჭები ეზოში კალათბურთს თამაშობენ.

7. წაიკითხე და შეავსე დამატებითი ინფორმაციით. გამოიყენე მოცემული კითხვები და შეადგინე წინადადებები.

ა. **ბებია მიდის.** (ვისი ბებია? როდის მიდის? ვისთან ერთად მიდის? სად მიდის?)

ბ. **ბიჭი ხატავს.** (როდის ხატავს? როგორი ბიჭი? სად ხატავს? რას ხატავს?)

გ. **მამა უყურებს.** (ვისი მამა? როდის უყურებს? ვისთან ერთად უყურებს? სად უყურებს? რას უყურებს?)

---

8. წაიკითხე, შემოხაზე და შემდეგ ამოწერე ძირითადი ინფორმაცია ნიმუშის მიხედვით. უპასუხე შეკითხვებს.

ნიმუში: *<u>დღეს</u> <u>გია</u> <u>სკოლაში</u> <u>არ მოვიდა.</u> <u>გია არ მოვიდა</u>*

1. *როდის არ მოვიდა გია? - დღეს*
2. *სად არ მოვიდა გია? - სკოლაში*

ა. **გარეთ წვიმს.** ----------

1. სად წვიმს? ----------

ბ. **გუშინ შავთმიანი გოგო სოფელში წავიდა.** ----------

1. როდის წავიდა გოგო? ----------
2. სად წავიდა? ----------
3. როგორი გოგო წავიდა? ----------

1. დაუსვი ხაზგასმულ სიტყვებს შეკითხვები და უპასუხე ზეპირად.

<u>დღეს</u> <u>დიდი</u> <u>ბიჭები</u> <u>პატარა</u> <u>სტადიონზე</u> <u>ფეხბურთს</u> თამაშობენ.

1. ----------
2. ----------
3. ----------
4. ----------
5. ----------
6. ----------

2. იპოვე სიტყვის განმარტება და შემოხაზე.

<u>საუკეთესო</u>, ანუ:

ა. ყველაზე დიდი ბ. ყველაზე კარგი გ. ყველაზე ლამაზი

<u>მთავარი</u>, ანუ:

ა. დამატებითი ბ. საინტერესო გ. ძირითადი

<u>ინფორმაცია</u>, ანუ:

ა. ცნობა ბ. საქმე გ. აღწერა

3. დააკავშირე შეკითხვა პასუხთან.

1. ვინ არის შენი საუკეთესო მეგობარი?
2. როდის გაიცანი ის?
3. სად ნახე პირველად?
4. როგორია გარეგნობით?
5. როგორია ხასიათით?
6. რას აკეთებთ ერთად?
7. რატომ არის ის შენი საუკეთესო მეგობარი?

ა. ჩემზე გამხდარია, აქვს შავი გრძელი თმა.
ბ. საბავშვო ბაღში.
გ. იმიტომ, რომ ერთნაირი ხასიათი გვაქვს.
დ. სალომე.
ე. მხიარული და ცნობისმოყვარეა.
ვ. როცა ხუთი წლის ვიყავი.
ზ. დავდივართ სიმღერაზე.

1. –––– 2. –––– 3. –––– 4. –––– 5. –––– 6. –––– 7. ––––

4. გამოიყენე ეს შეკითხვები და დაწერე შენი საუკეთესო მეგობრის შესახებ. შეკითხვებს უპასუხე სრულად.

1. ----------
2. ----------
3. ----------
4. ----------
5. ----------
6. ----------
7. ----------

5. დაწერე წერილი და წაიკითხე.

---

1. გაანაწილე სწორად.

თაფლისფერი წაბლისფერი	დიდი გრძელი	ქერა წვრილი	ცისფერი მოკლე

თმა **თვალები**

---

2. "ჩაატარე გამოძიება" კლასში. მოიძიე საჭირო ინფორმაცია, მიუწერე შესაბამისი კლასელის სახელი და შემდეგ ისაუბრე მათ შესახებ ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში: →

> გიას მეგობარს აქვს ...
> ლიას მეგობარი არის / მეგობარია ...

1. ვის მეგობარს აქვს ხუჭუჭი თმა? ----------
2. ვისი მეგობარი არის ცნობისმოყვარე? ----------
3. ვის მეგობარს უყვარს ცხოველები? ----------
4. ვის მეგობარს ჰყავს სახლში პატარა ძაღლი? ----------
5. ვის მეგობარს აქვს ცისფერი თვალები? ----------
6. ვისი მეგობარია მსუნაგი? ----------
7. ვისი მეგობარია მაღალი და გამხდარი? ----------
8. ვისი მეგობარი თამაშობს ფეხბურთს? ----------
9. ვისი მეგობარი დადის ცეკვაზე? ----------
10. ვის მეგობარს აქვს წითური თმა? ----------

3. იმუშავეთ წყვილებში. გამოიყენეთ წინა დავალება, ჰკითხეთ ერთმანეთს და უპასუხეთ.

> შენს მეგობარს ... აქვს?
> შენი მეგობარი ...ა?

4. დააკვირდი სურათს (მოსწავლის წიგნი, გვ. 28), აირჩიე ერთ-ერთი და დაწერე მის შესახებ.

- ვისი მეგობარია, რა ჰქვია და რამდენი წლისაა;
- სად ცხოვრობს და რომელ კლასში სწავლობს;
- რაზე დადის და რა აინტერესებს;
- აღწერე მისი გარეგნობა და დაახასიათე, როგორია.

---

5. გახაზე შეცდომები და შემდეგ გადაწერე ტექსტი სწორად.

მე ბევრი მეგობარი მაქვს. ზოგი ჩემ კლასში სწავლობს, ზოგი ჩემსავით უფროსია. ჩემი საუკეთესო მეგობარი ჰქვია ნატო. მე და ნატო ტოლები ვართ. ის ჩემი მეზობელია. ჩემს და ნატოს სახლი ერთ ეზოში დგას, ამიტომ ჩვენ სულ ერთად ვართ. ნატო იმიტომ არის ჩემი საუკეთესო მეგობარს, რომ ჩემსავით ხასიათი აქვს. ჩვენ ძალიან ვგავართ ერთმანეთი. ისიც ჩემზე ცნობისმოყვარეა. ყველაფერი აინტერესებს. გარეგნულად მე და ნატო ერთმანეთი არ ვგავართ. მე მაქვს გრძელი სწორი თმა და ცისფერი თვალი.

---

1. მიუწერე სიტყვას განმარტება.

მელოტი: ის, ვისაც ----------
მსუნაგი: ის, ვისაც ----------
მშვიდი: ის, ვინც ----------
ცნობისმოყვარე: ის, ვისაც ----------

2. ამოიცანი სიტყვა განმარტების მიხედვით და ჩაწერე.

1. ასე უწოდებენ მოხუცი ადამიანის თმას. ----------
2. ასე უწოდებენ ძალიან ხვეულ თმას. ----------
3. ასე უწოდებენ ადამიანს, რომელიც ყოველთვის ხალისიანია. ----------
   ----
4. ასე უწოდებენ ადამიანს, რომელსაც ყველაფერი ეზარება. ----------
   ----

ეს ჩვენი სახლია!

1. დააკვირდი გლობუსს. ქვემოთ მოცემული კონტინენტები დააწერე სწორად გლობუსზე.

ამერიკა აფრიკა ავსტრალია ევრაზია ანტარქტიდა

კენგურუ

პინგვინი

აქლემი

სპილო

ჯიხვი

2. დააკვირდი ცხოველებს და დააკავშირე ისინი კონტინენტებთან. ☺ მოისმინე და შეამოწმე შენი ვერსიები.

3. გამოიყენე გლობუსი და დაასახელე, რომელი ცხოველი სად ბინადრობს.

1. წაიკითხე, დააკვირდი გლობუსს და ჩაწერე, რომელია.

1. ის დედამიწის ყველაზე დიდი კონტინენტია. ----------
2. ის დედამიწის ყველაზე ცხელი კონტინენტია. ----------
3. ის დედამიწის ყველაზე ცივი კონტინენტია. ----------

2. შეცვალე ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში: ყველაზე დიდი → უდიდესი

1. ყველაზე ცხელი → ----------
2. ყველაზე ცივი → ----------
3. ყველაზე თბილი → ----------
4. ყველაზე ღრმა → ----------
5. ყველაზე კარგი → ----------
6. ყველაზე ცუდი → ----------

3. გაასწორე ხაზგასმული შეცდომები და წაიკითხე.

1. **კენგურუ** ანტარქტიდაში ბინადრობს.

   ---

2. **პინგვინი** ჩანთოსანი ცხოველია.

   ---

3. ჯიხვი **სამხრეთ ამერიკაში** ბინადრობს.

   ---

4. **სპილო** უდაბნოს ცხოველია.

   ---

5. ა**ქლემი** გარეული თხაა.

   ---

4. უპასუხე შეკითხვებს:

ა. რა ფერისაა ოკეანე? კონტინენტი? კუნძული?
ბ. რატომ არის ანტარქტიდა თეთრი?
გ. რომელი ცხოველები ბინადრობენ ოკეანეში? ანტარქტიდაზე?
დ. სად ბინადრობენ: აქლემი, სპილო, კენგურუ და ჯიხვი?

5. მოისმინე ლექსი. დათვალე და დაასახელე, რამდენ ქვეყანაში იმოგზაურა ლიას თუთიყუშმა?

6. გადახაზე, ქვემოთ ჩამოთვლილი ქვეყნებიდან რომელში არ იყო თუთიყუში და დაასახელე.

იტალია ავსტრალია პორტუგალია იაპონია ბრაზილია

7. გაიხსენე ლექსი და შემოხაზე სწორი ვარიანტი.

1. <u>თუთიყუშმა იმოგზაურა:</u>

   ა. ფეხით ბ. მანქანით გ. გემით დ. თვითმფრინავით

2. <u>თუთიყუში ცხოვრობდა:</u>

   ბ. ყუთში ბ. კალათაში გ. აკვარიუმში დ. გალიაში

8. თავიდან მოისმინე ლექსი და შეამოწმე შენი პასუხები.

რატომ უნდა ლიას, რომ თუთიყუში იყოს?
შენ რომელ ქვეყანაში გინდა მოგზაურობა ყველაზემეტად?

9. წაიკითხე და მიუწერე <u>კი</u> ან <u>არა</u>.

1. აისბერგი მცურავი ყინულის მთაა. ---------
2. აისბერგი არის მდინარეში. ---------
3. ყველაზე დიდი უდაბნო აფრიკაშია. ---------
4. უდაბნოში დღისით ყინავს და ღამით ძალიან ცხელა. ---------
5. უდაბნოში ხშირად წვიმს. ---------

10. თავიდან მოისმინე ტექსტები და შეამოწმე შენი პასუხები. გაასწორე მცდარი წინადადებები და გადაწერე.

1. ----------
2. ----------
3. ----------

1. შეავსე ცხრილი წინა დავალების მიხედვით და შემდეგ ისაუბრე მათ შესახებ.

	უდაბნო	აისბერგი
რა არის?		
სად არის?		
როგორია?		
დამატებითი ინფორმაცია მის შესახებ.		

ნიმუში:

უდაბნო არის ცხელი და დაუსახლებელი ადგილი. ის ბევრ ქვეყანაშია, მაგალითად, ...

2. წაიკითხე განმარტება და ჩაწერე, რა არის.

ანტარქტიდა უდაბნო აისბერგი

1. აქ ძალიან ცხელა და მიწის ნაცვლად ქვიშა ყრია. ----------
2. აქ ძალიან ცივა და მიწის ნაცვლად ყველგან ყინულია. ----------
3. ამ ყინულის მთაზე არც მიწაა და არც მცენარე. ----------

3. შეცვალე ნიმუშის მიხედვით და წაიკითხე.

ნიმუში: იქნება მზე. → მოსალოდნელია მზიანი ამინდი.

1. იქნება თოვლი.

   ---

2. იქნება წვიმა.

   ---

3. იქნება ქარი.

   ---

4. იქნება ღრუბელი.

დააკვირდი!

მზ**ე** — მზიანი
ქარ**ი** — ქარიანი
წვიმ**ა** — წვიმიანი
ღრუბელ**ი** - ღრუბლიანი

4. დააკვირდი და ჩაწერე მისი საპირისპირო ცალი.

სამხრეთი - ----------

აღმოსავლეთი - ----------



5. ჩასვი ნიმუშის მიხედვით და წაიკითხე.

ნიმუში: სამხრეთ საქართველოში ⟶ მოსალოდნელია (მზე) *მზიანი* ამინდი.

1. დასავლეთში მოსალოდნელია (წვიმა) ---------- ამინდი.
2. ჩრდილოეთით მოსალოდნელია (თოვლი) ---------- ამინდი.
3. აღმოსავლეთ საქართველოში იქნება (ქარი) ---------- ამინდი.
4. სამხრეთით მოსალოდნელია (ღრუბელი) ---------- ამინდი.

6. დააკავშირე ერთმანეთთან.

რა?	დასავლეთში
როგორი?	ღრუბელი
სად?	დასავლეთით
საით?	ღრუბლიანი

7. წაიკითხე წინადადებები, დააკვირდი ხაზგასმულ სიტყვებს და დასვი შეკითხვები.

ნიმუში: სამხრეთში მოსალოდნელია **მზიანი ამინდი.**
როგორი ამინდია მოსალოდნელი სამხრეთში?

1. **დასავლეთში** იქნება წვიმა.
   ---
2. ჩრდილოეთში მოსალოდნელია **ქარიანი ამინდი**.
   ---
3. **სამხრეთით** მოსალოდნელია ღრუბელი.
   ---
4. აღმოსავლეთით იქნება **ღრუბლიანი ამინდი.**
   ---
5. დასავლეთში იქნება **თოვლი.**
   ---

1. დააკვირდი კითხვებს და შეავსე წინადადებები.

<u>დასავლეთი / ღრუბელი</u>

1. **(სად?)** ---------- მოსალოდნელია **(როგორი?)** ---------- ამინდი.

<u>სამხრეთი / მზე</u>

2. **(საით?)** ---------- მოსალოდნელია **(როგორი?)** ---------- ამინდი.

<u>აღმოსავლეთი / თოვლი</u>

3. **(საით?)** ---------- იქნება **(რა?)** ----------.

<u>ჩრდილოეთი / ქარი</u>

4. **(სად?)** ---------- მოსალოდნელია **(როგორი?)** ---------- ამინდი.

2. ჩაწერე რუკაზე, სად არის აღმოსავლეთი, სამხრეთი, დასავლეთი და ჩრდილოეთი. ☺ მოისმინე საქართველოს ამინდის პროგნოზი და ქვემოთ მოცემული სიმბოლოები ჩახატე სათანადო ადგილას.



3. შეადგინე მსგავსი პროგნოზი.

გამოიყენე! ⟶ დასავლეთში (დასავლეთით) იქნება (მოსალოდნელია)...-იანი ამინდი.

---

4. იმუშავეთ წყვილებში. მოისმინე მეწყვილის პროგნოზი და შესაბამისი სიმბოლოები ჩახატე სათანადო ადგილას. შეამოწმეთ შესრულებული დავალება.



5. გაიხსენე ბავშვების საუბრები და დაასრულე წინადადებები. აირჩიე და ჩასვი ქვემოთ მოცემული სიტყვები სათანადო ფორმით.

გაიხსენე!

ცხოვრობს თბილის**ში.**
არის თბილის**ელი.**

ახალციხე ლაგოდეხი ქუთაისი

1. ლუკა ცხოვრობს ----------
2. ბექა არის ----------
3. თორნიკე ცხოვრობს ----------

აღმოსავლეთ საქართველო სამხრეთ საქართველო დასავლეთ საქართველო

1. ქუთაისი მდებარეობს ----------.
2. ახალციხე მდებარეობს ----------.
3. ლაგოდეხი მდებარეობს ----------.

6. ☺ თავიდან მოისმინე ბავშვების საუბარი და შეამოწმე შენი ნაწერი.

7. ჩაწერე ეს ქალაქები № მე-4 დავალების რუკაზე სათანადო ადგილას.

1. წაიკითხე განმარტებები, დააკავშირე ქვემოთ მოცემულ სურათებთან და ჩაწერე.

ა. **ტბა** ჰგავს ზღვას, ოღონდ ზღვაზე პატარაა.
ბ. **მწვერვალი** მთის უმაღლეს ნაწილს ჰქვია.
გ. **კუნძული** არის მიწა, რომელსაც ოთხივე მხრიდან წყალი აკრავს.
დ. **ჩანჩქერი** სიმაღლიდან დაშვებული წყალია.

1.

2.

3.

4.



---

2. გაიხსენე ბავშვების საუბარი. დაასრულე წინადადებები და წაიკითხე. რომელი სად მდებარეობს?

1. ფარავნის ტბა მდებარეობს ----------.
2. ნინოსხევის ჩანჩქერი მდებარეობს ----------.
3. უშბა მდებარეობს ----------.

3. ჩახატე ტბა, ჩანჩქერი და მწვერვალი №მე-4 დავალების რუკაზე (გვ.101) სათანადო ადგილას და შეასრულე ქვემოთ მოცემული დავალებები:

ა. დააკვირდი რუკაზე ამინდის სიმბოლოებს და დაასახელე, სად როგორი ამინდია.
ბ. მონიშნე რუკაზე, სად არის არის შენი ქალაქი/სოფელი და ჩაწერე. თქვი, რა ჰქვია და სად არის.
გ. დაუსვით ერთმანეთს შეკითხვები რუკის ირგვლივ და უპასუხეთ.

ჩემს სოფელს/ქალაქს ჰქვია ...
ის არის ...-ის ჩრდილოეთით... / მთაში /...
-ის გვერდით ...

სად მდებარეობს ...?
როგორი ამინდია ...-ში / ...-ით?
სად არის ...-იანი ამინდი?

4. გაიხსენე და ჩაწერე ქვეყნის ოთხი მხარე:

ა. ა----------
ბ. დ----------
გ. ს----------
დ. ჩ----------

5. გაიხსენე და დააკავშირე ერთმანეთთან.

ტბა	ნინოსხევი
ჩანჩქერი	უშბა
უდაბნო	ფარავანი
მწვერვალი	საჰარა

6. აირჩიე და ჩაწერე: <u>ზე / ში.</u>

1. ლიამ ლექსიკონ–– აისბერგის განმარტება წაიკითხა.
2. ბექამ რუკა––ყველაზე დიდი ჩანჩქერი მოძებნა.

1. დააკვირდი და შეცვალე ნიმუშის მიხედვით.

შავ**ი** ზღვა ––– შა**ვ** ზღვა**ს**
პატარ**ა** სპილო ––– პატარ**ა** სპილო**ს**
მწვანე**ე** ხე ––– მწვანე**ე** ხე**ს**

როგორი ...? → **როგორ ...?**

შავი ზღვა	შავ ზღვას
მწვანე ქვეყანა	----------
ცხელი კონტინენტი	----------
ჩანთოსანი ცხოველი	----------
ღრმა ტბა	----------
დიდი ფრინველი	----------
გარეული თხა	----------

2. აირჩიე და ჩასვი სწორად.

ჩანთოსან / ჩანთოსანი

1. ეს არის (**როგორი?**) ---------- ცხოველი. (**რომელ?**) ----------ცხოველს კენგურუ ჰქვია.

შავი / შავ

2. ეს არის (**როგორი?**) ----------ზღვა. (**რომელ?**) ---------- ზღვას ზამთარში მუქი ფერი აქვს.

კუზიანი / კუზიან

3. ეს არის (**როგორი?**) ---------- ცხოველი. (**რომელ?**) ---------- ცხოველს აქლემს უწოდებენ.

3. უპასუხე შეკითხვებს.

1. რომელ ცხოველს ჰქვია კენგურუ? ----------
2. რომელ ცხოველს უწოდებენ აქლემს? ----------
3. რომელ ზღვას აქვს მუქი ფერი? ----------
4. რომელ ზღვას აქვს ყვითელი ფერი? ----------

4. მოძებნე შეცდომები და გაასწორე.

1. კუზიანი ცხოველს აქლემი ჰქვია.
2. შავი ზღვა ზამთარში მუქი ფერს იღებს.
3. ჩანთოსანი ცხოველს მუცელზე პატარა ჩანთა აქვს.

5. წაიკითხე შეკითხვები და უპასუხე ლექსის მიხედვით (შავი ზღვა, მოსწავლის წიგნი, გვ. 32).

1. რა იცოდა ზღვის შესახებ ლექსის გმირმა?

   იცოდა, რომ ზღვა არის ----------

2. საიდან ჩანს, რომ იცოდა? ამოწერე წინადადება, რომელშიც ეს ჩანს.

   ---

3. რა გაიგო ლექსის გმირმა მამისაგან?

   გაიგო, რომ მალე წავა ----------

4. შემოხაზე, რომელი სტროფიდან ვიგებთ ამ ყველაფერს?

   ა. პირველი სტროფიდან ბ. მეორე სტროფიდან

5. რას მიხვდა ლექსის გმირი მეორე სტროფში? ამოწერე შესაბამისი ინფორმაცია.

   ---

6. შემოხაზე, მისი აზრით, რატომ არის შავი ზღვა შავი ფერის?

   ა. იმიტომ, რომ ზღვაში შავი ფერის მცენარეებია.
   ბ. იმიტომ, რომ ზღვა მზეზე გაირუჯა.
   გ. იმიტომ, რომ ზღვა ზამთარში შავდება.

6. ამოწერე ინფორმაცია შავი ზღვის შესახებ ტექსტიდან და წაიკითხე (“ზღვა და მისი ფერები”, მოსწავლის წიგნი, გვ. 32).

---

1. წაიკითხე და ჩაწერე კი ან არა.

1. ზღვა ოკეანის ნაწილია. ----------
2. ყველა ზღვა სხვადასხვა ფერისაა. ----------
3. თეთრი ზღვა ზამთარში არასოდეს იყინება. ----------
4. შავი ზღვაც ლურჯი ფერისაა. ----------
5. ყვითელ ზღვაში ბევრი ოქროსფერი წყალმცენარეა. ----------

2. გაასწორე მცდარი წინადადებები და შეამოწმე შენი ნაწერი ტექსტის მიხედვით.

1. ----------
2. ----------
3. ----------

3. წაიკითხე და ჩაწერე, რომელი ზღვა იგულისხმება?

თეთრი ზღვა **შავი ზღვა** **წითელი ზღვა** **ყვითელი ზღვა**

1. ამ ზღვაში ძალიან ბევრი პაწაწინა წითელი ბინადრებია. ----------
2. ეს ზღვა ზამთარში მუქ ფერს იღებს. ----------
3. ის ზამთარში ყინულით იფარება, ამიტომ უწოდებენ ასე. ----------
4. ოქროსფერი ქვიშა ხშირად მას ასეთ ფერს აძლევს. ----------

4. აირჩიე და ჩაწერე, <u>ზღვა</u> თუ <u>ზღვები.</u>

1. ფანჯრიდან დიდი, ლურჯი და წყნარი ---------- დავინახე.
2. რუკაზე შავი, წითელი და თეთრი ---------- ვიპოვე.

5. დაალაგე სიდიდის მიხედვით: ოკეანე, ტბა, ზღვა, წყარო. **იპოვე ლექსიკონში მათი განმარტებები, ამოწერე და წაიკითხე.**

---

1. ----------
   ----
2. ----------
   ----
3. ----------
   ----
4. ----------
   ----

6. დაუსვი კითხვა ხაზგასმულ სიტყვას.

სად? საიდან? საით?

ა. დელფინი ზღვიდან ამოხტა. ----------
ბ. ვეშაპი ზღვაში ბინადრობს. ----------
გ. ბავშვი ზღვისკენ გაიქცა. ----------

7. წაიკითხე და შემოხაზე არასწორი ინფორმაცია.

1. კავკასია მდებარეობს სამ ზღვას შორის.
2. კავკასია იყოფა ორ ნაწილად — აღმოსავლეთ და დასავლეთ კავკასიად.
3. კავკასიას ორ ნაწილად ყოფს იალბუზი.
4. კავკასიონი ტყეებითა და ჩანჩქერებით დაფარული მთებია.
5. საქართველო სამხრეთ კავკასიაში მდებარეობს.
6. სამხრეთ კავკასიის უმაღლესი მწვერვალია მყინვარწვერი.
7. საქართველოს დედაქალაქი შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობს.
8. თბილისი საქართველოს დედაქალაქია.

8. გაასწორე წინადადებები ტექსტის დახმარებით (მოსწავლის წიგნი, გვ. 33) და წაიკითხე.

1. ----------
2. ----------
3. ----------
4. ----------

9. უპასუხე შეკითხვებს წინა ორი დავალების მიხედვით.

1. სად მდებარეობს კავკასია?
2. რამდენ ნაწილად იყოფა კავკასია? დაასახელე ისინი.
3. სად მდებარეობს საქართველო? დაასახელე მისი დედაქალაქი.
4. რა არის კავკასიონი? დაასახელე მისი უმაღლესი მწვერვალი.
5. რომელია იალბუზის შემდეგ ყველაზე მაღალი მწვერვალი?
6. სად მდებარეობს მყინვარწვერი?

1. წაიკითხე, გადახაზე არასწორი ფორმები და უპასუხე შეკითხვას სრულად.

ა. <u>სად მდებარეობს საქართველო?</u>

1. კავკასიაზე 2. კავკასიიდან 3. კავკასიაში.

ბ. <u>სად მდებარეობს თბილისი?</u>

1. აღმოსავლეთ საქართველოდან 2. აღმოსავლეთ საქართველოში

გ. <u>საიდან ესაზღვრება თურქეთი საქართველოს?</u>

1. სამხრეთიდან 2. სამხრეთში 3. სამხრეთის გვერდით

დ. <u>საიდან მოედინება მდინარე მტკვარი?</u>

1. თურქეთში 2. თურქეთზე 3. თურქეთიდან

2. დაასრულე სიტყვები კონტექსტის მიხედვით და წაიკითხე.

1. საქართველო სამხრეთ კავკასია––– მდებარეობს.
2. ჩრდილოეთ––– საქართველოს ესაზღვრება რუსეთი.
3. ჩვენს ქვეყანას სამხრეთ––– ესაზღვრება თურქეთი და სომხეთი.
4. სამხრეთ-აღმოსავლეთ––– საქართველოს ესაზღვრება აზერბაიჯანი.
5. საქართველოს დედაქალაქია თბილისი, რომელიც აღმოსავლეთ საქართველო––– მდებარეობს.

3. გამოიყენე კითხვითი სიტყვები (<u>სად? საიდან?</u>) და გამუქებულ სიტყვებს დაუსვი შეკითხვები.

1. საქართველო **სამხრეთ კავკასიაში** მდებარეობს.

   ---

2. საქართველოს **სამხრეთიდან** ესაზღვრება თურქეთი და სომხეთი.

   ---

3. თბილისი მდებარეობს **აღმოსავლეთ საქართველოში.**

   ---

4. გამოიყენეთ ეს შეკითხვები, დაუსვით ერთმანეთს და უპასუხეთ.

5. შეცვალე წინადადებები ნიმუშის მიხედვით.

საიდან არის? **სადაურია?**

ნიმუში: *გია არის თბილისიდან.* ⟶ *გია თბილისელია.*

1. დათო არის ბათუმიდან. ----------
2. ნინო არის თელავიდან. ----------
3. ზაზა არის ბორჯომიდან. ----------
4. გელა არის დმანისიდან. ----------

6. შეცვალე წინადადებები ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში: *გია არის თბილისიდან.* ⟶ *გია თბილისიდანაა.*

1. დათო არის ბათუმიდან. ----------
2. ნინო არის თელავიდან. ----------
3. ზაზა არის ბორჯომიდან. ----------
4. გელა არის დმანისიდან. ----------

7. წაიკითხე ქვემოთ მოცემული ტექსტი და უპასუხე შეკითხვებს.

თორნიკე, ლუკა და ბექა მეგობრები არიან. თორნიკე სამხრეთ საქართველოდანარის. ის ახალციხელია. თორნიკე ახლა ახალციხეშია. ლუკა ლაგოდეხიდან არის. ის ლაგოდეხელია. ლაგოდეხი აღმოსავლეთ საქართველოში მდებარეობს. ბექა დასავლეთ საქართველოდანაა. ის ქუთაისელია. ბექა ახლა აღმოსავლეთ საქართველოშია.

1. საიდან არის თორნიკე? ----------
2. სადაურია ის? ----------
3. სად არის თორნიკე ახლა? ----------
4. სად მდებარეობს ახალციხე? ----------

8. დასვით მსგავსი შეკითხვები ლუკასა და ბექას შესახებ და უპასუხეთ იმუშავეთ წყვილებში.

1. ტექსტის დახმარებით (მოსწავლის წიგნი, გვ. 33) შეავსე სათანადო ინფორმაციით.

საქართველო

სად მდებარეობს?

რომელია ყველაზე დიდი / მაღალი ...

ა. მწვერვალი
ბ. ტბა
გ. მდინარე ...

რა ჰქვია დედაქალაქს და სად მდებარეობს?

რომელი ქვეყნები ესაზღვრება და საიდან?

დამატებითი ინფორმაცია თბილისის შესახებ:

---

2. გამოიყენე წინა დავალება და ისაუბრე საქართველოს შესახებ.

3. ჩაწერე სწორად: ზე /ში.

მურა დათვი მოლ–– იწვა.
პინგვინი ყინულ–– გასრიალდა.
ბიჭი ტყე–– შევიდა.
ის მწვერვალ–– ავიდა.

4. დააკვირდი და შეცვალე ნიმუშის მიხედვით.

როგორი?	**როგორ?**
↓	↓
დიდ**ი** სკამ**ი** —	დიდ**ი** სკამზე
პატარ**ა** სკამი —	პატარ**ა** სკამზე
მწვანე ხე —	მწვანე ხეზე

თბილი ქვეყანა → *თბილ ქვეყანაში*
ყინულოვანი ქვეყანა ----------
ხასხასა მოლი ----------
უზარმაზარი ყინული ----------
შავი ზღვა ----------
დიდი სახლი ----------
მწვანე ტყე ----------

5. აირჩიე და ჩასვი სწორად.

ყინულოვან / ყინულოვანი

ა. ეს არის (**როგორი?**) ---------- ქვეყანა.
(**როგორ?**) ---------- ქვეყანაში თეთრი დათვი ბინადრობს.

თბილი / თბილ

ბ. ეს არის (**როგორი?**) ---------- ქვეყანა.
(**როგორ?**) ---------- ქვეყანაში მურა დათვი ბინადრობს.

დიდი / დიდ

გ. ეს არის (**როგორი?**) ---------- სახლი.
(**როგორ?**) ---------- სახლში ჩემი მეგობარი ცხოვრობს.

მაღალ / მაღალი

დ. ეს არის (**როგორი?**) ---------- მწვერვალი.
(**როგორ?**) ----------მწვერვალზე ჯიხვი ბინადრობს.

1. უპასუხე შეკითხვებს.

ა. სად ბინადრობს მურა დათვი? ----------

ბ. სად ბინადრობს თეთრი დათვი? ----------

გ. სად ცხოვრობს შენი მეგობარი? ----------

დ. სად ბინადრობს ჯიხვი? ----------

2. მოძებნე შეცდომები და გაასწორე.

ა. თეთრი დათვი უზარმაზარი ყინულზე წამოგორდა.

ბ. თეთრ დათვს მობეზრდა თავისი ქვეყანაში ცხოვრება.

გ. მურა დათვი თბილი ქვეყანაში ცხოვრობს.

დ. მურა დათვი ყინულოვანი ქვეყანაში წავიდა.

3. დააკვირდი სქემას. წაიკითხე შეკითხვები და ამოწერე ტექსტიდან სათანადო ინფორმაცია (მოსწავლის წიგნი, გვ. 34).

I ეპიზოდი

ვინ არიან პერსონაჟები?

1. ----------
2. ----------

სად ცხოვრობენ ისინი?

1. ----------
2. ----------

რითი იკვებებიან დათვები?

1. ----------
2. ----------

4. გამოიყენე სქემა, ქვემოთ მოცემულ ტექსტში შეავსე გამოტოვებული ადგილები და წაიკითხე.

I. **თეთრი დათვის ამბავი**

ერთ (**სად?**) ---------- (**როგორი?**)---------- დათვი ცხოვრობდა. ერთხელ წამოგორდა ეს ---------- უზარმაზარ ყინულზე და თქვა:

- მომბეზრდა აქ! აქეთ ყინული, იქით ყინული! აქეთ პინგვინი, იქით პინგვინი! საჭმელიც — სულ (**რა?**) ---------- და ----------. წავალ და უკეთეს ადგილს მოვძებნი.

ასეც მოიქცა (**როგორი?**) ---------- (**რა?**) ----------, ადგა და წავიდა.

II. **მურა დათვის ამბავი**

ერთ (**სად?**) ---------- (**როგორი?**) ----------
დათვი ცხოვრობდა. ერთხელ წამოგორდა ეს ----------
ხასხასა მოლზე და თქვა:

- მომბეზრდა აქ! აქეთ ტყე, იქით ტყე! აქეთ შინდი, იქით პანტა! ყოველდღე (**რა?**) ---------- და ----------. წავალ და უკეთეს ადგილს მოვძებნი.

ასეც მოიქცა (**როგორი?**) ---------- (**რა?**) ----------, ადგა და წავიდა.

5. წაიკითხე და დაალაგე თანამიმდევრულად — რა მოხდა <u>პირველად</u>, <u>შემდეგ</u> და <u>ბოლოს</u>.

ა. დათვები სხვა ქვეყანაში წავიდნენ. ----------
ბ. დათვებმა ფიქრი დაიწყეს. ----------
გ. დათვებმა წასვლა გადაწყვიტეს. ----------

6. წაიკითხე ქვემოთ მოცემული ინფორმაცია და ჩაწერე, რას გადმოგვცემს — <u>მსგავსებას</u> თუ <u>განსხვავებას</u>.

1. ორივე დათვია. ----------
2. ერთი თეთრია, მეორე — მურა. ----------
3. ერთი ყინულოვან ქვეყანაში ცხოვრობს, მეორე — თბილ ქვეყანაში.
   ----
4. ერთი ჭამს თევზს, მეორე — თაფლს. ----------
5. ორივეს მობეზრდა თავის ქვეყანაში ცხოვრება. ----------
6. ორივემ გადაწყვიტა სხვა ქვეყანაში წასვლა. ----------
7. ორივე წავიდა. ----------

7. შენი აზრით, მათ შორის მსგავსება უფრო მეტია თუ განსხვავება? გამოიყენე წინა დავალება და თქვი, რითი ჰგვანან ერთმანეთს დათვები და რითი განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან.

გამოიყენე!

ისინი ერთმანეთს ჰგვანან იმით, რომ ...
ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან იმით, რომ ...

1. გაანაწილე სწორად, წაიკითხე და დაიმახსოვრე.

<u>ერთმანეთისაგან</u> / ერთმანეთს

ჰგვანან ----------

განსხვავდებიან ----------

2. წაიკითხე ქვემოთ მოცემული წინადადება და თქვი, რომელ დათვზე და რომელ ქვეყანაზეა ლაპარაკი? ახსენი, რატომ ფიქრობ ასე?

დათვი ერთ ქვეყანაში ცხოვრობდა.

3. შემოხაზე ის სიტყვები, რომელთა დამატებაც საჭიროა ინფორმაციის დასაკონკრეტებლად. შემოხაზულ სიტყვებს დაუსვი კითხვები.

თბილ თაფლს თეთრი ადგილას მურა ყინულოვან

4. გამოიყენე ეს სიტყვები და შეავსე წინადადებები სურათების მიხედვით.



---------- დათვი ერთ ----------
ქვეყანაში ცხოვრობდა.

---------- დათვი ერთ ----------
ქვეყანაში ცხოვრობდა.

<u>**წაიკითხე, რომელი სიტყვები გადმოგვცემს:**</u>

ა. კონკრეტულ ინფორმაციას დათვზე?

ბ. კონკრეტულ ინფორმაციას ქვეყანაზე?

5. წაიკითხე და დააკავშირე ერთმანეთთან. ჩაწერე შესაბამისი ნომერი ნიმუშის მიხედვით.

1. დათვი ერთ ქვეყანაში ცხოვრობდა.
2. თეთრი დათვი ერთ ქვეყანაში ცხოვრობდა.
3. დათვი ერთ ყინულოვან ქვეყანაში ცხოვრობდა.
4. თეთრი დათვი ერთ ყინულოვან ქვეყანაში ცხოვრობდა.

ა. ვიცით დათვის შესახებ, მაგრამ არ ვიცით ქვეყნის შესახებ. ----2----
ბ. ვიცით ქვეყნის შესახებ, მაგრამ არ ვიცით დათვის შესახებ. --------
გ. არ ვიცით არაფერი. ----------
დ. ვიცით ყველაფერი. ----------

6. წაიკითხე წინადადება და ერთი სიტყვით უპასუხე შეკითხვებს.

ერთხელ თეთრი დათვი უზარმაზარ ყინულზე წამოგორდა.

1. რა წამოგორდა ყინულზე? ---*დათვი*----------
2. რა ქნა დათვმა? ----------
3. რომელი დათვი წამოგორდა? ----------
4. სად წამოგორდა დათვი? ----------
5. როგორ ყინულზე წამოგორდა? ----------
6. როდის წამოგორდა დათვი? ----------

7. დააკავშირე ერთმანეთთან.

რა?	ყინულზე
რა ქნა?	ერთხელ
რომელი ...?	დათვი
სად?	უზარმაზარ
როგორ ...?	წამოგორდა
როდის?	თეთრი

დააკვირდი!

როგორი დათვი?

თეთრი

რომელი დათვი?

თეთრი დათვი

8. გადახაზე ზედმეტი.

ა. მომწყინდა ბ. აღარ მაინტერესებს გ. მომბეზრდა დ. მომეწონა

ა. მინდა ბ. სურვილი მაქვს გ. მიყვარს დ. მსურს

1. წაიკითხე მურა დათვისა და თეთრი დათვის ამბები და შეავსე გამოტოვებული ადგილები.

I. მურა დათვის ამბავი

ა. ჯერ პინგვინთან მივიდა, შემდეგ — ზღვის ლომთან
ბ. კანკალი დაიწყო
გ. თვალებში სულ შინდი, პანტა და თაფლი ელანდებოდა
დ. ყინულოვან ქვეყანაში

იარა მურა დათვმა და ჩავიდა (1) ----------.
მიიხედა, მოიხედა, - მოეწონა.
(2) ----------,
მაგრამ ყველა გაიქცა. მურა დათვი პირველად ნახეს და შეეშინდათ.
სულ მარტო დარჩა მურა დათვი. (3) სიცივისაგან ----------.
მერე მოშივდა. (4) ----------,
მაგრამ იქ ყინულების მეტი არაფერი იყო. წამოვიდა მურა დათვი უკან, თავის მხარეში.

2. უპასუხე შეკითხვებს სრულად.

1. რა ნახა მურა დათვმა ყინულოვან ქვეყანაში? ----------
---
2. რატომ გაიქცნენ პინგვინები და ზღვის ლომები? ----------
---
3. რატომ ვერ იცნეს პინგვინებმა დათვი? ----------
---
4. რატომ დაბრუნდა უკან მურა დათვი? ----------
---

3. გამოიყენე მურა დათვის ამბავი და ქვემოთ მოცემული ძირითადი ინფორმაცია შეავსე დამატებითი ინფორმაციით.

ა. პინგვინებს (რისი?) ---------- შეეშინდათ.
ბ. დათვი (რისგან?) ---------- კანკალებდა.
გ. იქ (რის?) ---------- მეტი არაფერი იყო.

II. **თეთრი დათვის ამბავი**

ა. მაგრამ ტყეში ხეების მეტი არაფერი იყო
ბ. თეთრი დათვი პირველად ნახეს და შეეშინდათ
გ. ძალიან დასცხა. მერე მოშივდა
დ. მიიხედა, მოიხედა, - მოეწონა

იარა თეთრმა დათვმა, იარა და ერთ ტყეში მივიდა. (1) ----------. ჯერ კურდღელთან მივიდა, შემდეგ — ზღარბთან, მაგრამ ყველა გაიქცა. (2) ----------.
სულ მარტო დარჩა თეთრი დათვი. (3) ----------.
თვალებში სულ ყინულივით ცივი თევზი ელანდებოდა, (4) ----------. წამოვიდა თეთრი დათვი უკან, თავის მხარეში.

4. უპასუხე შეკითხვებს სრულად.

1. რა ნახა თეთრმა დათვმა თბილ ქვეყანაში? ----------
2. რატომ გაიქცნენ კურდღელი და ზღარბი? ----------
3. რატომ შეეშინდათ მათ თეთრი დათვის? ----------
4. რატომ ვერ იცნეს კურდღელმა და ზღარბმა დათვი? ----------
5. რატომ დაბრუნდა უკან თეთრი დათვი? ----------

5. შეადარე მურა დათვისა და თეთრი დათვის ამბები ერთმანეთს. მოძებნე მსგავსება და განსხვავება და დაასახელე. თქვი, რითი ჰგვანან და რითი განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან.

გამოიყენე!

ისინი ერთმანეთს ჰგვანან იმით, რომ ...
ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან იმით, რომ ...

1. უპასუხე შეკითხვებს.

ა. რომელ ცხოველებს შეეშინდათ თეთრი დათვის?

ბ. რომელ ცხოველებს შეეშინდათ მურა დათვის?

გ. საიდან სად წავიდა მურა დათვი?

დ. საიდან სად წავიდა თეთრი დათვი?

---

2. გადახაზე ზედმეტი სიტყვა.

ა. უთხრა ბ. უპასუხა გ. შეხვდა დ. მიუგო

3. დააკავშირე ერთმანეთთან.

1. მოენატრა.	ა. სირბილით წავიდა.
2. საუბრობენ.	ბ. მისი ნახვა მოუნდა.
3. გაიქცა.	გ. ერთმანეთს ელაპარაკებიან.

4. შეარჩიე სწორი ფორმა, ჩაწერე და წაიკითხე: გაიქცა / გაიქცნენ

1. კურდღელი და ზღარბი ----------.
2. კურდღელი ----------.
3. ზღვის ლომი ----------.
4. ზღვის ლომი და პინგვინი ----------.
5. თეთრი და მურა დათვები ----------.
6. მურა დათვი ----------.

5. ☺ მოისმინე დიალოგი და წინადადებების ბოლოს დასვი სასვენი ნიშნები ინტონაციის მიხედვით. წაიკითხე დიალოგი მეწყვილესთან ერთად სათანადო ინტონაციით.

- ჰეი, ძმობილო, საით გაგიწევია
- მომწყინდა ერთ ადგილას ყოფნა, სხვა ადგილი უნდა ვნახო
  შენ საით მიდიხარ, ძმობილო
- მეც მომწყინდა ერთ ადგილას ყოფნა, მეც სხვა ქვეყანაში მივდივარ

6. გაიხსენე ზღაპარი თავიდან ბოლომდე და ქვემოთ მოცემული ინფორმაცია დაალაგე თანამიმდევრულად — <u>როდის რა მოხდა</u>.

1. დათვები ისევ ხვდებიან ერთმანეთს. ----------
2. თეთრი დათვი თბილ ქვეყანაშია. ----------
3. დათვები უკან ბრუნდებიან. ----------
4. დათვები თავიანთი ქვეყნებიდან მიდიან. -----1----
5. დათვები ხვდებიან ერთმანეთს და საუბრობენ. ----------
6. მურა დათვი ყინულოვან ქვეყანაშია. ----------

7. გამოიყენე ეს გეგმა და გადმოეცი ზღაპრის მოკლე შინაარსი ჯერ თხრობით, შემდეგ წერილობით.

---

8. წაიკითხე შენი ნაწერი და შეასწორე.

9. წაიკითხე ტექსტები და შეასრულე ქვემოთ მოცემული დავალებები.

I. ----------

იყო ერთი ყინულოვანი ქვეყანა. ამ ქვეყანაში მარტო პინგვინები, თეთრი დათვები და ზღვის ლომები ცხოვრობდნენ. ჰოდა, ამ ყინულოვან ქვეყანაში ერთი ძალიან უცნაური და სასაცილო თეთრი დათვი ცხოვრობდა.

ერთხელაც ამ თეთრ დათვს მობეზრდა თავის ქვეყანაში ცხოვრება და გადაწყვიტა სხვა ქვეყანაში წასვლა.

- მომბეზრდა აქ! აქეთ ყინული, იქით ყინული! აქეთ პინგვინი, იქით პინგვინი! საჭმელიც — სულ თევზი და თევზი. წავალ, უკეთეს ადგილს მოვძებნი.

დედამიწა დიდია, ადგილების მეტი რა არის?! — უთხრა თეთრმა დათვმა ზღვის ლომს და წავიდა.

II. ----------

თეთრი დათვი გავრცელებულია ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანის კუნძულებსა და სანაპიროებზე. ის ხშირად მცურავ ყინულებზეც გვხვდება. თეთრი დათვი ერთ-ერთი უდიდესი ცხოველია. მისი მაქსიმალური სიმაღლე 3 მეტრია, იწონის 400-დან 700-მდე კილოგრამს.

მისი სხეული დაფარულია თეთრი ან მოყვითალო ხშირი და გრძელი ბალნით.

თეთრი დათვის ძირითადი საკვებია სელაპი. იგი ჭამს აგრეთვე თევზს, ფრინველებსა და მათ კვერცხებს.

III. ----------

გამარჯობა, ნინო!

როგორ ხარ? როგორ არის შენი პატარა და? მომიკითხე და აკოცე. მე კარგად ვარ.

მივიღე შენი საჩუქარი. ძალიან გამიხარდა. ძალიან საინტერესო წიგნია! ბევრი უცნაური ამბავი წავიკითხე თეთრ დათვებზე. ისინი თურმე სელაპებსაც ჭამენ და ფრინველებსაც. მე მეგონა, მარტო თევზები იყო მათი საკვები.

გუშინ დოკუმენტური ფილმი ვნახე ტელევიზორში თეთრ და მურა დათვებზე. ძალიან მომეწონა. ხვალ კინოში მივდივარ. ახალი ფილმი გამოვიდა — “თეთრი დათვის მხიარული თავგადასავალი”. ძალიან მაინტერესებს.

კიდევ ერთხელ გიხდი მადლობას ასეთი კარგი საჩუქრისათვის.

არდადეგებზე გელოდები. აუცილებლად ჩამოდი.

გკოცნი, ლელა

- რაზეა ამ ტექსტებში საუბარი? ----------
- დააკონკრეტე თითოეული ტექსტის თემა. მოცემული ინფორმაცია დააკავშირე ტექსტებთან და მიუწერე შესაბამისი ტექსტის ნომერი:

  ა. საინტერესო საჩუქარი. ----------
  ბ. ერთი თეთრი დათვის ამბავი. ----------
  გ. ინფორმაცია თეთრი დათვების შესახებ. ---------

- დაასახელე, რომელ ტექსტშია საუბარი თეთრი დათვების საკვებზე? ჩაწერე, ვინ საუბრობს ამის შესახებ:

  ა. პირველ ტექსტში? ----------
  ბ. მეორე ტექსტში? ----------
  გ. მესამე ტექსტში? ----------

- რომელ ტექსტში (ან ტექსტებში) ჩანს ავტორის დამოკიდებულება და ემოციები? ----------

ამოწერე ის სიტყვები, რომლებიც ემოციას გამოხატავს:

ა. ----------

ბ. ----------

- რომელი ტექსტი გადმოგვცემს მხოლოდ <u>ინფორმაციას</u>? ----------
- რომელ ტექსტშია (ან ტექსტებშია) <u>ამბავი</u> გადმოცემული? ----------
- შეადარე პირველი და მესამე ტექსტები ერთმანეთს და შეავსე ცხრილი. წაიკითხე და მონიშნე შესაბამისი უჯრა.

	პირველი ტექსტი	**მესამე ტექსტი**
1. გადმოცემულია ერთი თეთრი დათვის მხიარული ამბავი.		
2. გადმოცემულია ერთი პატარა გოგონას ემოცია.		
3. არის პერსონაჟი.		
4. არის მისალმება, მოკითხვა და დამშვიდობება.		
5. არის დიალოგი.		

- წაიკითხე და დააკავშირე ტექსტებთან. დააწერე შესაბამის ტექსტს, რა ტიპის ტექსტია.

  ა. პირადი წერილი ----------
  ბ. მხატვრული ტექსტი ---------
  გ. საინფორმაციო/შემეცნებითი ტექსტი ---------

1. გაუსვი ხაზი მხატვრულ ტექსტებს.

წერილი, ზღაპარი, განცხადება, მოთხრობა, ლექსი, მისალოცი ბარათი

2. შემოხაზე, სად წაიკითხავ საინფორმაციო/შემეცნებით ტექსტებს?

ა. მოთხრობების კრებულში
ბ. ლექსების კრებულში
გ. ლექსიკონში
დ. ენციკლოპედიაში

3. დაწერე საინფორმაციო ტექსტი და წაიკითხე.

სათვალიანი დათვი

---

4. წაიკითხე და შეავსე გამოტოვებული ადგილები.

ჩემოდანში	თბილისში	ანტარქტიდის	საქართველოში

ტურისტი

აერია პინგვინს გზები,
მოდის ----------,
---------- ყინული
წამოიღო თერმოსით.
- თერმოსით რას გეყოფა,
---------- ხომ იწვიან?
- ნუ იდარდებთ, ----------
ლოლუები მიწყვია.

5. დააკავშირე ერთმანეთთან.

1. ტურისტი	ა. ყინულის მოგრძო წვეტიანი ნაჭერი
2. თერმოსი	ბ. ადამიანი, რომელიც მოგზაურობს უცხო ქვეყანაში.
3. ლოლუა	გ. ჭურჭელი, რომელიც ინახავს ტემპერატურას.

1. ---- 2. ---- 3. ----

6. მოძებნე შეცდომები და შემოხაზე.

საქართველო სამხრეთ კავკასიაზე მდებარეობს. საქართველოს დედაქალაქია თბილისი. თბილისი აღმოსავლეთ საქართველოდანაა. თბილისზე მოედინება მდინარე მტკვარი.

საქართველოს დასავლეთში აკრავს შავი ზღვა, აღმოსავლეთში კი — კავკასიონის ულამაზესი მწვერვალები.

შავ ზღვას ზამთარში მუქი ფერი იღებს, ამიტომაც მას შავი ზღვა ჰქვია.

7. სწორად გადაწერე ტექსტი და წაიკითხე.

---

8. დააკავშირე ერთმანეთთან.

საიდან?	საქართველოში
სად?	საქართველოსკენ
საით?	საქართველოდან

საიდან?	ანტარქტიდისკენ
სად?	ანტარქტიდიდან
საით?	ანტარქტიდაში

ლაბირინთში

1. მოძებნე საპირისპირო წყვილები და შეაერთე.

მიდის	ჩადის
ადის	გადის
შედის	მოდის

2. დააკვირდი სურათებს და ჩაწერე, რას აკეთებს.

--- ---

დააკვირდი!





--- --- --- ---

3. წაიკითხე და დააკავშირე.

მიდის	მაღლა
მოდის	შიგნით
ადის	გარეთ
ჩადის	იქით
შედის	აქეთ
გადის	დაბლა

4. წაიკითხე და გადახაზე არასწორი ფორმა.

1. **მოდის:**	ა. სახლში	ბ. გზაზე	გ. კიბეზე
2. **ადის:**	ა. დაბლა	ბ. კიბეზე	გ. სახლში
3. **ჩადის:**	ა. ეზოში	ბ. მაღლა	გ. ხიდან
4. **შედის:**	ა. სახლში	ბ. ზღვაში	გ. ხეზე
5. **გადის:**	ა. ქუჩაში	ბ. შიგნით	გ. ოთახიდან

5. შეაერთე ნიმუშის მიხედვით.

ა.

ადის	შემოდის
ჩადის	გამოდის
შედის	ამოდის
გადის	გადმოდის
გადადის	ჩამოდის

ბ.

მაღლა	ჩადის
დაბლა	გადის
გარეთ	შედის
შიგნით	ადის

6. გაასწორე ხაზგასმული სიტყვები და წაიკითხე წინადადებები.

1. ბიჭი ადის **ხეში.** ----------
2. ბავშვები ჩადიან **ეზოზე.** ----------
3. მასწავლებელი შედის **კლასზე.** ----------
4. მოსწავლეები გადიან **კლასში.** ----------
5. გიორგი **ადის** ზღვაში. ----------
6. მაიმუნი **შედის** ხეზე. ----------
7. დათვი **გადის** ბუნაგში. ----------
8. გოგონა **ადის** დაბლა. ----------

დააკვირდი!

ა(მო)დის კიბე**ზე** / ხე**ზე.**
ჩა(მო)დის კიბი**დან**/ხი**დან**.
შე(მო)დის ოთახ**ში**.
გა(მო)დის ოთახი**დან**.

7. აირჩიე და ჩაწერე.

ოთახიდან / ოთახში

შედის ----------. გადის ----------.

ხიდან / ხეზე

ჩადის ----------. ადის ----------.

გარეთ / შიგნით

შემოდის ----------. გამოდის ----------.

აქეთ / იქით

გადადის ----------. გადმოდის ----------.

1. მოისმინე და ჩაწერე სათანადო ადგილას შესაბამისი რიცხვი.



2. შეადარე წიგნში მოცემულ ლაბირინთს და შეამოწმე შენი დავალება.

3. წაიკითხე, მოძებნე ლაბირინთში და ჩაწერე შესაბამისი რიცხვი.

ის შემოდის ლაბირინთში. --------

ის გადმოდის ხიდზე. --------

ის მიდის ტბისკენ. --------

ის ადის გორაკზე. ---------

ის მიდის პირველი ნომრისაკენ. --------

ის ჩადის გორაკიდან. ---------

ის მიდის სკამისკენ. --------

ის გადადის ხიდზე. ---------

ის გადის ლაბირინთიდან. ---------

4. აირჩიე და ჩაწერე.

ში / იდან

შედის ოთახ––––
გადის ოთახ––––
შედის ლაბირინთ––––
გადის ლაბირინთ––––

ზე / იდან

ადის გორაკ––––
ჩადის გორაკ––––
ადის მწვერვალ––––
ჩადის მწვერვალ––––

5. დააკვირდი სურათებს. წაიკითხე რეპლიკები და უპასუხე. აირჩიე შესაბამისი ფორმა და ჩაწერე.



ეს მე ვარ. რას აკეთებს კარლსონი?

კარლსონი ---------- (ჩადის/ჩამოდის).



მე აქ ვარ. რას აკეთებს კარლსონი?

კარლსონი ---------- (ადის/ამოდის).



მე ოთახში ვარ. რას აკეთებს კარლსონი?

კარლსონი ოთახში ----------(შედის/შემოდის).



მე გარეთ ვარ. რას აკეთებს კარლსონი?

კარლსონი ოთახიდან ---------- (გადის/გამოდის).



რას აკეთებს კარლსონი?

კარლსონი ხიდზე ---------- (გადადის/გადმოდის).

1. აირჩიე და ჩასვი კონტექსტის მიხედვით.

ა. მე სახლში ვარ. ის ჩემთან ---------- (ადის/ამოდის)
ბ. შენ ეზოში ხარ. ის შენთან ---------- (ჩადის/ჩამოდის)
გ. მე და გია ოთახში ვართ. ის გიასთან ---------- (შედის/შემოდის)
დ. შენ და ანა გარეთ ხართ. ის შენთან ---------- (გადის/გამოდის)
ე. ია და გია სოფელში არიან. ის იასთან ---------- (ჩადის/ჩამოდის)

2. წაიკითხე შეკითხვები და შემოხაზე სწორი ვარიანტი.

1. <u>სად მიდის ნანა?</u>	ა. ტყიდან	ბ. ტყეში	გ. ტყეზე
2. <u>ვინ მოდის აქეთ?</u>	ა. მანქანა	ბ. დათვი	გ. ბიჭი
3. <u>საიდან ჩამოდის გია?</u>	ა. სოფლიდან	ბ. სოფელში	გ. სოფელზე

3. გამუქებულ სიტყვებს დაუსვი შეკითხვები ნიმუშის მიხედვით.

<u>**ნიმუში:**</u> გელა **სკოლაში** მიდის. <u>**სად** მიდის გელა?</u>

ვინ?	რა?	ვისი?	ვისთან?	სად?	საიდან?

ა. ის **ოთახში** შედის. ----------
ბ. ბიჭი **ოთახიდან** გადის. ----------
გ. **დედა** მაღაზიაში მიდის. ----------
დ. **ჩემი** ძმა ხეზე ადის. ----------
ე. ის **ჩემთან** შემოდის. ----------
ვ. **თაგვი** სოროში შედის. ----------

4. დაასრულე წინადადებები ნიმუშის მიხედვით და წაიკითხე.

1. ბიჭი მიდის (**სად?**) --------*გზაზე*----------. (გზა)
2. ბავშვები შედიან (**სად?**) ----------. (ზღვა)
3. ის ამოდის (**საიდან?**) ----------. (ზღვა)
4. დედა ადის (**სად?**) ----------. (სახლი)
5. დათვი გამოდის (**საიდან?**) ---------- ---. (ტყე)
6. ის შედის (**სად?**) ---------- ---. (ტყე)
7. ჩემი ძმა მოდის (**საიდან?**) ---------- ------. (სკოლა)
8. ბიძაჩემი ჩამოდის (**საიდან?**) ----------. (სოფელი)
9. მამაჩემი მიდის (**სად?**) ----------. (სოფელი)

დააკვირდი!

სოფ**ე**ლში — სოფ~~ე~~ლ-იდან
ზღვ**ა**ში — ზღვ~~ა~~-იდან
ტყ**ე**ში - ტყ~~ე~~-იდან

5. შეცვალე ნიმუშის მიხედვით.

<u>ნიმუში:</u> *ის შედის ოთახში.* ⟶ *ის გადის ოთახიდან.*

1. მასწავლებელი შემოდის კლასში. ----------
2. ჩემი ძმა შემოდის სახლში. ----------
3. დათვი შედის ბუნაგში. ----------
4. ბიჭი ჩადის ზღვაში. ----------

6. მიუწერე შესაბამისი ფორმა.

მიდის	მიდიხარ	მიდიან	მივდივართ	მივდივარ	მიდიხართ

მე ----------	ჩვენ ----------
შენ ----------	თქვენ ----------
ის ----------	ისინი ----------

7. წაიკითხე და შეცვალე ნიმუშის მიხედვით. ყურადღება მიაქციე ხაზგასმულ სიტყვებს.

<u>ისინი</u> სკოლაში მიდიან. **<u>ჩვენ</u>** *სკოლაში მივდივართ.*

1. **<u>ჩვენ</u>** ტყეში შევდივართ. ⟶ **<u>მე</u>** ----------
2. **<u>ისინი</u>** მწვერვალზე ადიან. ⟶ **<u>თქვენ</u>** ----------
3. **<u>ის</u>** ზღვაში ჩადის. ⟶ **<u>ჩვენ</u>** ----------
4. **<u>მე</u>** ოთახიდან გავდივარ. ⟶ **<u>ისინი</u>** ----------
5. **<u>თქვენ</u>** ჩვენთან მოდიხართ. ⟶ **<u>ის</u>** ----------

8. გაანაწილე ცხრილში სწორად.

მიდის / მოდის, მორბის / მირბის, მოცურავს / მიცურავს, მოფრინავს / მიფრინავს, მიბაჯბაჯებს / მობაჯბაჯებს

აქეთ	იქით
1. ----------	----------
2. ----------	----------
3. ----------	----------
4. ----------	----------
5. ----------	----------

1. ჩასვი სათანადო ფორმა.

ადის	ჩადის	~~მიდის~~	გადადის	მოდის	შედის	გადის

წასვლა - ----*მიდის*------

მოსვლა - ---------- გასვლა - ----------

ასვლა - ---------- შესვლა - ----------

გადასვლა - ---------- ჩასვლა - ----------

2. მოძებნე საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები და შეაერთე.

ასვლა	შესვლა
გასვლა	ჩასვლა
წასვლა	მოსვლა

3. დააკავშირე ერთმანეთთან ნიმუშის მიხედვით.

ასვლა	გამოსვლა
ჩასვლა	შემოსვლა
გასვლა	ამოსვლა
გადასვლა	წამოსვლა
წასვლა	ჩამოსვლა
შესვლა	გადმოსვლა

4. მოცემული საწყისები ჩასვი სათანადო პირსა და რიცხვში. <u>რა ხდება ახლა?</u>

1. ბიჭები მწვერვალზე ---------- (ასვლა)
2. თქვენ სოფელში ---------- (წასვლა)
3. მე ოთახიდან ---------- (გამოსვლა)
4. ის ტყეში ---------- (შესვლა)
5. ჩვენ ეზოდან ---------- (ამოსვლა)
6. ისინი ჩემთან ---------- (მოსვლა)
7. შენ კლასში ---------- (შემოსვლა)
8. ჩვენ ხიდზე ---------- (გადასვლა)

5. გამოიყენე <u>თბილისი - ლაგოდეხი - თბილისის</u> **ექსკურსიის განრიგი და ქვემოთ მოცემულ წინადადებებს მიუწერე** კი **ან** არა.

თბილისი — ლაგოდეხი — თბილისი

პირველი დღე: გასვლა დილის 9 საათზე სკოლის ეზოდან და წასვლა ავტობუსით თელავის მიმართულებით. თელავში ჩასვლა საღამოს 7 საათზე.

მეორე დღე: გასვლა დილის 10 საათზე თელავიდან ლაგოდეხისაკენ. 1 საათზე ფეხით წასვლა ნინოსხევის ხეობაში და ნინოსხევის ჩანჩქერთან მისვლა.

მესამე დღე: გამოსვლა ლაგოდეხიდან 12 საათზე და თბილისში ჩამოსვლა საღამოს 8 საათზე.

ა. ავტობუსი გამოდის სკოლის ეზოდან. ----------
ბ. მოსწავლეები თელავიდან ჩადიან თბილისში. ----------
გ. დილის 10 საათზე ისინი თელავის მიმართულებით მიდიან. ----------
დ. ლაგოდეხში იქნებიან შუადღისას. ---------
ე. ფეხით მიდიან ნინოსხევის ჩანჩქერთან. ---------
ვ. 12 საათზე მიდიან ლაგოდეხის მიმართულებით. ---------
ზ. საღამოს ჩამოდიან თბილისში. ---------

6. გაასწორე წინა დავალების მცდარი წინადადებები და ისე გადაწერე.

ა. ----------

ბ. ----------

გ. ----------

7. წაიკითხე და დაასახელე სწორი პასუხი.

<u>სადაურები არიან სკოლის მოსწავლეები?</u>

ა. თელაველები ბ. თბილისელები გ. ლაგოდეხელები

<u>სად მდებარეობს ნინოსხევის ჩანჩქერი?</u>

ა. თელავში ბ. თბილისში გ. ლაგოდეხში

1. მოძებნე შეცდომა და გაასწორე.

ა. გადიან თელავში და მიდიან ლაგოდეხის მიმართულებით.

ბ. საღამოს ჩამოდიან თბილისისკენ.

გ. ფეხით მიდიან ნინოსხევის ჩანჩქერში.

---

2. მოძებნე სამეული და გადაწერე ნიმუშის მიხედვით. დაასახელე, რომელი პირია.





დღეს	**გუშინ**	**ხვალ**
ახლა	უკვე	მერე

1. მივდივარ –– წავედი –– წავალ
2. ----------
3. ----------
4. ----------
5. ----------
6. ----------



3. გამოიყენე წინა დავალება და შეავსე ცხრილი.

დღეს/ახლა	**გუშინ/უკვე**	**ხვალ/მერე**
1. ჩავდივარ	----------	ჩავალ
2. ----------	შევედი	შევალ
3. მივდივარ	წავედი	----------
4. მოვდივარ	----------	მოვალ
5. ----------	ავედი	ავალ
6. გავდივარ	გავედი	----------

4. შეავსე ცხრილი ნიმუშის მიხედვით. დაასახელე, რომელი პირია — პირველი, მეორე თუ მესამე?

ახლანდელი დრო (დღეს/ახლა)	**წარსული დრო** (გუშინ / უკვე)	**მომავალი დრო** (ხვალ / მერე)
1. *ის მი-დის*	*ის წა-ვიდა*	*ის წა-ვა*
2. ის მო-დის	----------	----------
3. ის ა-დის	----------	----------
4. ის ჩა-დის	----------	----------
5. ის შე-დის	----------	----------
6. ის გა-დის	----------	----------

5. დააკავშირე შესაბამის პირთან და გადაწერე.

მე	წავიდა	1. მე წავედი
შენ	წახვედით	2. ----------
ის	წავიდნენ	3. ----------
ჩვენ	წავედი	4. ----------
თქვენ	წახვედი	5. ----------
ისინი	წავედით	6. ----------

6. წაიკითხე და დააკავშირე.

1. შენ უკვე	ა. მთაზე ადიან.
2. ჩვენ გუშინ	ბ. სოფელში მივდივარ.
3. ისინი ახლა	გ. მთიდან ჩამოხვედი.
4. მე დღეს	დ. სოფელში წავედით.

1. –––– 2. –––– 3. –––– 4.––––

7. გამოიყენე ფრჩხილებში მოცემული საწყისის ფორმები და ჩასვი სათანადო ზმნა შესაბამის დროში, პირსა და რიცხვში.

1. მე ახლა ---------- (წასვლა), ისინი გუშინ ---------- (წასვლა).
2. ჩვენ უკვე ---------- (ჩასვლა), ის მერე ---------- (ჩამოსვლა).
3. ის გუშინ ---------- (ასვლა), მე ახლა ---------- (ასვლა).
4. შენ გუშინ ---------- (წასვლა), მე ხვალ ---------- (წასვლა)

1. შეავსე სათანადო პირის ნაცვალსახელებით და წაიკითხე.

შენ	ისინი	თქვენ	მე	ის	ჩვენ

1. ---------- წავალ ---------- წავალთ
2. ---------- წახვალ ---------- წახვალთ
3. ---------- წავა ---------- წავლენ

2. წაიკითხე წინადადებები და მიუწერე, რომელი დროა: <u>ახლანდელი, წარსული, მომავალი</u>.

ა. დღეს ზოოპარკში მივდივარ. ----------
ბ. მე და მამაჩემი მალე მაღაზიაში წავალთ. ----------
გ. ჩემი ძმა და ბაბუა სოფელში ჩავიდნენ. ----------
დ. ავტობუსი 4 საათზე გავა. ----------
ე. ჩემი და ორ დღეში ჩამოვა სოფელში. ----------
ვ. ბიძაჩემი მოდის თელავიდან. ----------
ზ. ავტობუსი ორი საათის წინ შევიდა სადგურში. ----------
თ. ის და დედაჩემი ერთად ჩამოვლენ სოფელში. ----------

3. გადაიყვანე წინადადებები სათანადო დროში.

ა. **დღეს** მე და მამაჩემი სოფელში მივდივართ.
გუშინ ----------
ხვალ ----------

ბ. **გუშინ** ისინი მთაზე ავიდნენ.
დღეს ----------
ხვალ ----------

4. ფრჩხილებში მოცემული საწყისები ჩასვი შესაბამის დროში, პირსა და რიცხვში. უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს.

მე ნიკა მქვია. ვცხოვრობ თბილისში. ჩემი სოფელი მთაშია. იქ ჩემი ბიძაშვილები ცხოვრობენ.

<u>**დღეს**</u> მე და მამაჩემი სოფელში ––<u>**მივდივართ**</u>–– (**წასვლა**). ახლა 10 საათია. მალე მაღაზიაში ---------- (**წასვლა**) და საჩუქრებს ვიყიდით. მერე სადგურში ---------- (**მისვლა**) და იქიდან ავტობუსით ---------- (**წასვლა**). ავტობუსი 4 საათზე ---------- (**გასვლა**) სადგურიდან. ჩემი ძმა უკვე სოფელშია. ის და ბაბუა ორი დღის წინ ---------- (**ჩასვლა**) იქ.

ჩემი და ახლა ვერ ---------- (**მოსვლა**). ის დღეს დილით ექსკურსიაზე ---------- (**წასვლა**) მეგობრებთან ერთად. ისინი ლაგოდეხში ---------- (**წასვლა**) ნინოსხევის ჩანჩქერის სანახავად.

ჩემი და ლაგოდეხიდან ორ დღეში ----------(**ჩამოსვლა**) და მერე ის და დედაჩემი ერთად ---------- (**ჩამოსვლა**) სოფელში.

ა. სად მდებარეობს ნიკას სოფელი? ----------
ბ. რომელ საათზე მიდიან ნიკა და მამამისი სოფელში? ----------
გ. საიდან გადის სოფლის ავტობუსი? ----------
დ. როდის ჩავიდნენ ნიკას ძმა და ბაბუა სოფელში? ----------
ე. როდის წავიდა ნიკას და ექსკურსიაზე? ----------
ვ. სად მდებარეობს ნინოსხევის ჩანჩქერი? ----------
ზ. რამდენ დღეში ჩამოვა ნიკას და თბილისში? ----------
თ. ვისთან ერთად ჩავა ნიკას და სოფელში? ----------

5. წაიკითხე და გადახაზე არასწორი ვარიანტი.

<u>**სად მიდის ნიკა?**</u>

1. მთაში 2. სოფელში 3. ბიძაშვილებთან 4. ლაგოდეხში

<u>**როდის მიდის ნიკა სოფელში?**</u>

1. დღეს 2. ათ საათზე 3. შუადღისას 4. ოთხ საათზე

<u>**სად ჩამოვა ნიკას და ორ დღეში?**</u>

1. თბილისში 2. თავის სახლში 3. სოფელში 4. შინ

6. ყურადღება მიაქციე გამუქებულ სიტყვებს და დასვი შეკითხვები ნიმუშის მიხედვით. გამოიყენე კითხვითი სიტყვები:

ვინ? რა? როდის? სად? საიდან?

ნიმუში: მას **ნიკა** ჰქვია. <u>*რა ჰქვია მას?*</u>

1. ისინი **სოფელში** მიდიან. ----------
2. ავტობუსი გადის **სადგურიდან**. ----------
3. **ჩემი ძმა** უკვე სოფელში ჩავიდა. ----------
4. ის **ორი დღის წინ** ჩავიდა იქ. ----------
5. **სოფელი** მთაში მდებარეობს. ----------

1. ამოწერე ტექსტიდან (დავალება №8 , გვ.133) სიტყვები, რომლებიც პასუხობენ კითხვებზე:

როდის? ----------

სად? ----------

საიდან? ----------
---

2. გაეცანი სიტუაციას:

ნიკა დღეს სოფელში მიდის. ნიკას ძმა უკვე იქ არის. ის ორი დღის წინ ჩავიდა სოფელში.

ახლა წაიკითხე ქვემოთ მოცემული წინადადებები. კარგად დააკვირდი ზმნებს და მიუწერე, ვინ ამბობს: *ნიკა* **თუ** *ნიკას ძმა?*

1. მე დღეს სოფელში მივდივარ. ჩემი ძმა გუშინწინ წავიდა. ----------
2. მე ორი დღეა, სოფელში ვარ. ხვალ ჩემი ძმა ჩამოვა. ----------
3. ჩემი ძმა გუშინ წავიდა სოფელში, მე ხვალ წავალ. ----------
4. მე დღეს სოფელში მივდივარ. ჩემი ძმა ორი დღის შემდეგ ჩამოვა. ----------

3. პირველი აბზაცის მიხედვით, ამოწერე ინფორმაცია გვრიტის შესახებ და წაიკითხე.



4. გაიხსენე ტექსტი და დაუკავშირე ერთმანეთს.

გაფრინდა	ხეზე
მოვიდა	შინ
ავიდა	შორს
ამოიყვანა	ამ დროს
წაიყვანა	ბუდიდან

5. ქვემოთ მოცემული ძირითადი ინფორმაცია შეავსე დამატებითი ინფორმაციით. უპასუხე კითხვებს. შეამოწმე შენი პასუხები წიგნში (გვ. 44, პირველი დავალების ტექსტი).

1. **<u>გვრიტი გაფრინდა.</u>**
   რომელი გვრიტი? ----------
   სად გაფრინდა? ----------
   როდის გაფრინდა? ----------

2. **<u>კაცი მოვიდა, ავიდა, ამოიყვანა და წაიყვანა.</u>**
   როგორი კაცი? ----------
   როდის მოვიდა? ----------
   სად ავიდა? ----------
   რა ამოიყვანა? ----------
   საიდან ამოიყვანა? ----------
   სად წაიყვანა? ----------

6. გამოიყენე წინა დავალება, დაწერე, რა მოხდა ერთხელ და წაიკითხე.

ერთხელ ----------

---

7. წაიკითხე და დაალაგე თანამიმდევრულად: რა მოხდა ჯერ და რა — შემდეგ.

ა. გვრიტი ბარტყების მოსაძებნად წავიდა.--------
ბ. გვრიტი ძალიან დაღონდა. ----------
გ. გვრიტს ბარტყები ბუდეში არ დახვდა.----------
დ. გვრიტი ბარტყებთან ერთად დაბრუნდა.-------

1. წაიკითხე განმარტება და დააკავშირე სურათთან. მიუწერე შესაბამის სურათს.

ა. მახათი არის დიდი, მსხვილი ნემსი. ---------

ბ. გვრიტი არის პატარა, ლამაზი ჩიტი. ---------

გ. ფილთაქვა არის მოგრძო და მრგვალი ქვა. ---------

1.

2.

3.

---

2. მოძებნე შეცდომა და შემოხაზე. დაასახელე სწორი სიტყვა და ჩაწერე.

გვრიტი ბარტყების საპოვნელად წავიდა. გვრიტს უკან გაჰყვნენ მამალი, მახათი, ცხენი და ფილთაქვა. ----------

3. შეავსე გამოტოვებული ადგილები და წაიკითხე.

უთხრა მამალმა. | უპასუხა გვრიტმა მამალს.

გაუხარდა გვრიტს. | ჰკითხა მამალმა გვრიტს.

გვრიტს მამალი შემოხვდა.

– გვრიტო, გვრიტო, სად მიფრინავ? — ----------

– შვილების საპოვნელად, - ----------

– მეც შენი მშველელი ვიქნები, - ----------

– ძალიან კარგი, - ----------

4. დაწერე ფილთაქვისა და ვირის საუბარი გვრიტთან და წაიკითხე მეწყვილესთან ერთად სათანადო ინტონაციით.

I. იარეს, იარეს და ახლა ფილთაქვა შეხვდათ.

II. ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, შეხვდათ ვირი.

---

5. გახაზე წინადადებები, რომლებიც არ არის სწორი.

ერთი სახლიდან პატარა გვრიტების საცოდავი ხმა შემოესმათ. ყველანი იმ სახლთან შეგროვდნენ. ვირმა კარზე დააკაკუნა. სახლიდან ბოროტი კაცი გამოვიდა.

6. დააკავშირე ერთმანეთთან. გაიხსენე და თქვი, როგორ შევიდნენ გვრიტი და ფილთაქვა სახლში?

ვირი	კარიდან შეძვრა
მახათი	სხვენიდან ჩაძვრა
მამალი	კართან დადგა

1. წაიკითხე განმარტება. მოძებნე სურათებზე და ჩაწერე.

ა. ბუხარი არის ადგილი, სადაც ანთებენ ცეცხლს.
ბ. ბარძაყი არის ფეხის ზედა ნაწილი.
გ. ნაღვერდალი არის დამწვარი შეშის ნაწილი. ცხელია და ანათებს.

2. წაიკითხე და დააკავშირე: შეძვრნენ, შეგროვდნენ

ერთად დადგნენ, ანუ ----------

ვიწრო ადგილიდან შევიდნენ, ანუ ----------

3. მოისმინე და შეავსე გამოტოვებული ადგილები. რა გააკეთეს მამალმა, ფილთაქვამ, მახათმა და გვრიტმა?

---------- ბუხრის თავზე აფრინდა, ---------- ნაღვერდალში შეძვრა,

---------- ბუხრის პირას დაერჭო, ---------- გალიასთან მიფრინდა.

4. დააკავშირე ერთმანეთთან.

ოთახში	აფრინდა
ბუხრის თავზე	მიფრინდა
გალიასთან	შეფრინდა

გარეთ	შევარდა
მაღლა	დავარდა
შიგნით	გავარდა
დაბლა	ავარდა

5. სწორად გაანაწილე ცხრილში.

წავიდა / მიდის, მიფრინდა / მიფრინავს, ძვრება / შეძვრა,
გაიქცა / მირბის, ზის / დაჯდა, დადგა / დგას

რას აკეთებს?	**რა გააკეთა?**
ახლანდელი დრო	წარსული დრო
1. **ის** ----------	**ის** ----------
2. ----------	----------
3. ----------	----------
4. ----------	----------
5. ----------	----------
6. ---------- ----------	----------

6. გადაიყვანე წინადადებები წარსულში და წაიკითხე.

	რას აკეთებს?	**რა გააკეთა?**
ნიმუში:	*<u>მამალი</u> ძვრება სხვენიდან.*	*<u>მამალი</u> ჩაძვრა სხვენიდან.*

ა. კაცი მიდის შინ. ----------
ბ. გვრიტი მიფრინავს ბუდისაკენ. ----------
გ. მახათი ძვრება კარიდან. ----------
დ. ვირი დგას კართან. ----------
ე. ბიჭი ზის სკამზე. ----------
ვ. მგელი მირბის ტყეში. ----------

7. დააკვირდი ნახატს და აღწერე. გაიხსენე ტექსტი და დაასახელე, რა შეეშალა მხატვარს.

1. დააკავშირე და წაიკითხე.

1. ვირმა	ა. ბუხარში გასკდა.
2. კაცი	ბ. ბარძაყში შეერჭო.
3. ფილთაქვა	გ. ზევიდან იყივლა.
4. მტრედმა	დ. გარეთ გავარდა.
5. მახათი	ე. წიხლი ჰკრა.
6. მამალმა	ვ. გალიის კარი გააღო.

1. –––– 2. –––– 3. –––– 4. –––– 5.–––– 6. ––––

2. გამოიყენე წინა დავალება და უპასუხე შეკითხვებს სრულად.

ა. რა გააკეთა ვირმა? ----------

ბ. რა გააკეთა მტრედმა? ----------

გ. რა გა-აკეთა მამალმა? ----------

3. გაიხსენე ზღაპრის დასაწყისი, შეავსე გამოტოვებული ადგილები და წაიკითხე. რა გააკეთა ბოროტმა კაცმა? უპასუხე შეკითხვებს.

ბოროტმა კაცმა ბარტყები ბუდიდან ---------- *და შინ* ----------.

ა. როგორმა კაცმა ამოიყვანა ბარტყები ბუდიდან? ----------

ბ. ვინ ამოიყვანა ბარტყები ბუდიდან? ----------

გ. საიდან ამოიყვანა კაცმა ბარტყები? ----------

დ. სად წაიყვანა კაცმა ისინი? ----------

ე. რა ამოიყვანა ბოროტმა კაცმა ბუდიდან? ----------

4. დაუსვი კითხვა ხაზგასმულ სიტყვებს და უპასუხე.

1. <u>სახლიდან</u> ბარტყების საცოდავი ხმა შემოესმათ.
   ---
2. სახლის პატრონი <u>ბუხართან</u> მივიდა.
   ---
3. გვრიტი <u>გალიასთან</u> მიფრინდა.
   ---
4. ფილთაქვა <u>ნაღვერდალში</u> შეძვრა.
   ---
5. მახათი <u>კარიდან</u> შეძვრა.
   ---

6. მამალმა ზევიდან იყივლა.

---

7. მახათი ბუხრის პირას დაერჭო.

---

8. მამალი სხვენიდან ჩაძვრა.

---

9. კაცი გარეთ გავარდა.

---

10. მახათი ბარძაყში შეერჭო.

---

5. დააკავშირე შეკითხვა პასუხთან.

1. სად მივიდნენ?	ა. სახლიდან
2. როდის მივიდნენ?	ბ. საცოდავი
3. ვინ მივიდნენ?	გ. სოფელში
4. საიდან შემოესმათ?	დ. ღამით
5. როგორი ხმა?	ე. მეგობრები

1. –––– 2. –––– 3. –––– 4. –––– 5. ––––

6. გაიხსენე ზღაპარი თავიდან ბოლომდე და ქვემოთ მოცემული ინფორმაცია დაალაგე თანამიმდევრულად - <u>როდის რა მოხდა.</u>

ა. დედა გვრიტი და ბარტყები	----1---
ბ. მშველელებთან შეხვედრა	---------
გ. ბოროტი კაცის გაღვიძება	---------
დ. ბარტყების წაყვანა	---------
ე. ბოროტი კაცის სახლში შესვლა	---------
ვ. დედა გვრიტის წასვლა შვილების მოსაძებნად	---------
ზ. ბარტყების განთავისუფლება	---------
თ. სოფელში მისვლა	---------

1. გამოიყენე ეს გეგმა და გადმოეცი ზღაპრის მოკლე შინაარსი. აირჩიე ერთ-ერთი ეპიზოდი და დაწერე.

I. პატარა გვრიტების წაყვანის ამბავი
II. დედა გვრიტის მშველელებთან შეხვედრა
III. ბარტყების განთავისუფლება

---

2. დააკვირდი ექსკურსიის მარშრუტს და უპასუხე შეკითხვებს.

თელავი — ბათუმი — თელავი

პირველი დღე: გამოსვლა თელავიდან დილის 9 საათზე და ავტობუსით წასვლა ქუთაისის მიმართულებით. ქუთაისში ჩასვლა 4 საათზე. ასვლა გეგუთის ციხეზე, ფეხით გადასვლა თეთრ ხიდზე.

მეორე დღე: გასვლა დილის 10 საათზე ქუთაისიდან ბათუმისაკენ. 2 საათზე ფეხით მისვლა დელფინარიუმში, ავტობუსით ასვლა მწვანე კონცხზე და იქიდან ფეხით ჩასვლა ზღვაზე.

მესამე დღე: გამოსვლა ბათუმიდან 10 საათზე და თელავში ჩამოსვლა საღამოს 8 საათზე.

1. რამდენდღიანია ექსკურსია? ----------
2. სად მიდიან პირველ დღეს? ----------
3. რომელ საათზე გამოდიან თელავიდან? ----------
4. სად მდებარეობს გეგუთის ციხე? ----------
5. სად მიდიან ქუთაისში ფეხით? ----------
   ---
6. რას აკეთებენ ბათუმში? ----------
7. საიდან ჩადიან ფეხით ზღვაზე? ----------
8. როდის ჩამოდიან თელავში? ----------

3. წაიკითხე და ფრჩხილებში მოცემული საწყისები ჩასვი სათანადო დროში, პირსა და რიცხვში.

1. ახლა ორი საათია. ჩვენ პირველ საათზე ---------- (წასვლა) მაღაზიაში.
2. დღეს სოფელში მივდივართ. ხვალ ---------- (წასვლა) ზღვაზე.
3. ხვალ წავალთ კინოში. დღეს ზოოპარკში ---------- (წასვლა).
4. ახლა 10 საათია. მე რვა საათზე ---------- (მოსვლა) შენთან.
5. ჯერ ხუთი საათია. ჩვენ შვიდ საათზე ---------- (მოსვლა).

4. გაეცანი სიტუაციებს და შეასრულე ქვემოთ მოცემული დავალებები.

I. **შეავსე ტექსტი. ფრჩხილებში მოცემული საწყისები ჩასვი კონტექსტის მიხედვით**

<u>სიტუაცია:</u> *ექსკურსიის პირველი დღეა. მოსწავლეები უკვე ქუთაისში არიან. <u>5 საათია.</u>*

ისინი თელავიდან ---------- (გამოსვლა) დილის ცხრა საათზედა ავტობუსით ---------- (წასვლა) ქუთაისისკენ. ქუთაისში ---------- (ჩამოსვლა) ოთხ საათზე. ახლა ---------- (ასვლა) გეგუთის ციხეზე. ამის შემდეგ ფეხით ---------- (გადასვლა) თეთრ ხიდზე.

II. **გამოიყენე მომავალი დრო და შეავსე ტექსტი.**

<u>სიტუაცია:</u> *ექსკურსიის მესამე დღეა. დილის <u>9 საათია</u>.*

ისინი ბათუმიდან ----------(გასვლა) ათ საათზე და თელავში ---------- ---------- (ჩასვლა) საღამოს რვა საათზე.

III. **დააკვირდი მეორე დღის განრიგს (დავალება № 21, გვ. 142) და დაწერე ტექსტი: რა მოხდა უკვე, რა ხდება მოცემულ მომენტში და რა მოხდება შემდეგ.**
სიტუაცია: *ექსკურსიის მეორე დღეა. 2 საათია.*

დილის 10 საათზე ----------
----------ახლა ----------
----------ამის შემდეგ ----------

---

1. გეგმის მიხედვით მისწერე წერილი მეგობარს: *ექსკურსია საღამოს ტბაზე.*

წერილის შინაარსი დაყავი აბზაცებად:

ა. პირველი აბზაცის თემა — სად წახვედი, ვისთან ერთად და როდის? რამდენდღიანი იყო ექსკურსია?

ბ. მეორე აბზაცის თემა — ინფორმაცია საღამოს ტბის შესახებ.

გ. მესამე აბზაცის თემა — დაწვრილებით აღწერე ექსკურსიის მარშრუტი.

გაითვალისწინე! წერილს წერ ექსკურსიის მეორე დღეს. **4 საათია. ხარ საღამოს ტბაზე.**

ყურადღება მიაქციე წერილის ფორმალურ მხარეს.

---

2. გაასწორე ტექსტი და ისე გადაწერე.

მე ლაშა ვარ. ზღვაში ოთხი დღის წინ ჩამოვედი. თბილისიდან მატარებლით ჩავედი ჯერ ქუთაისისაკენ. ქუთაისიდან ტაქსით ჩავედი მაღლა სოფელში და იქ ორი დღე ვიყავი დეიდაჩემთან. ორი დღის შემდეგ ბიძაჩემის მანქანით ამოვედი ბათუმში. ხვალ ლევანი მიდის ჩემთან. ჩემი მეგობარი ავტობუსით მიდის. ავტობუსი სადგურიდან დილით ათ საათზე შევა და ხუთ საათზე ბათუმში იქნება.

---

3. წარმოიდგინე, რომ მთხრობელი არის ლევანი. როგორ მოყვება ის ამ ამბავს? წაიკითხე პირველი წინადადება და დაასრულე ტექსტი.

ჩემი მეგობარი თბილისიდან ექვსი დღის წინ წავიდა. ის ჯერ ----------
---

---

4. დაასრულე წინადადებები.

ა. გუშინ დათო თელავში ჩავიდა. ხვალ მასთან მეც ----------.
ბ. მე თელავში გუშინ ჩამოვედი. ხვალ ჩემთან ლია ----------.

იყო და არა იყო რა...

1. გაანაწილე ქვემოთ მოცემული სიტყვები.

ხშირად იშვიათად ხანდახან

არასოდეს ყოველთვის

2. გამოიყენე წინა დავალება და უპასუხე შეკითხვებს შენ შესახებ. ჩაწერე პასუხები სათანადო სვეტში. დაუსვი ეს შეკითხვები შენს მეწყვილესაც და შეავსე შესაბამისი სვეტი.

რა სიხშირით (რამდენად ხშირად):	**მე**	**ჩემი მეწყვილე**
უყურებ ტელევიზორს?		
თამაშობ ეზოში / სახლში...?		
კითხულობ წიგნს?		
უსმენ მუსიკას?		
სეირნობ ცხენით?		
ზიხარ კომპიუტერთან?		
ვახშმობ გვიან?		
იძინებ ადრე?		
აგვიანებ გაკვეთილზე?		
სადილობ კაფეში?		
დადიხარ ზოოპარკში?		

3. შეადარე შენი და შენი მეწყვილის პასუხები ერთმანეთს და წარადგინე კლასში ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში:

მე და დათო ხშირად ვუყურებთ...
მე იშვიათად ვუყურებ..., დათო კი ხშირად უყურებს.

4. დააკავშირე ერთმანეთთან მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები.

იშვიათად	მუდამ
ხანდახან	ზოგჯერ
ყოველთვის	დროდადრო

5. შეცვალე წინადადებები ნიმუშის მიხედვით და წაიკითხე.

ნიმუში: *ხანდახან ვაგვიანებ სკოლაში.* ⟶ *დროდადრო ვაგვიანებ სკოლაში.*

1. იშვიათად ვიღვიძებ გვიან. ----------
2. ყოველთვის ვიძინებ ადრე. ----------
3. ზოგჯერ ვვახშმობ გვიან. ----------
4. მუდამ ვიბან ხელს ჭამის წინ. ----------
5. ხანდახან ვუსმენ მუსიკას. ----------

6. გაიხსენე, <u>რას აკეთებდი, როცა 6 წლის იყავი</u>. გამოიყენე მოცემული სიტყვები, უპასუხე შეკითხვებს და ჩაწერე.

არასოდეს **ხანდახან** **იშვიათად** **ხშირად** **ყოველთვის**

რა სიხშირით:	**მე**	**ჩემი მეწყვილე**
უყურებდი მულტფილმებს?		
თამაშობდი ბურთით / თოჯინით?		
კითხულობდი წიგნებს?		
უსმენდი ზღაპრებს?		
სეირნობდი ველოსიპედით?		
იჯექი კომპიუტერთან?		
ხატავდი?		
იძინებდი გვიან, 11 საათზე?		
სადილობდი სკოლაში?		
დადიოდი ზოოპარკში?		

1. გამოიყენე ცხრილი, შეავსე ქვემოთ მოცემული წინადადებები და წაიკითხე.

როცა 6 წლის ვიყავი, მე:

1. ---------- ვუყურებდი მულტფილმებს.
2. ---------- ვთამაშობდი ----------.
3. ---------- ვკითხულობდი წიგნებს.
4. ---------- ვუსმენდი ზღაპრებს.
5. ---------- ვსეირნობდი ველოსიპედით.
6. ---------- ვიჯექი კომპიუტერთან.
7. ---------- ვხატავდი.
8. ---------- ვიძინებდი გვიან, 11 საათზე.
9. ---------- ვსადილობდი სკოლაში.
10. ---------- დავდიოდი ზოოპარკში.

2. დაუსვი ეს შეკითხვები შენს მეწყვილესაც და შეავსე ზემოთ მოცემული ცხრილი (გვ. 149). გამოიყენე შენი მეწყვილის მონაცემები, შეავსე წინადადებები და წაიკითხე.

როცა ---------- 6 წლის იყო, ის:

1. ---------- უყურებდა მულტფილმებს.
2. ---------- თამაშობდა ----------.
3. ---------- კითხულობდა წიგნებს.
4. ---------- უსმენდა ზღაპრებს.
5. ---------- სეირნობდა ველოსიპედით.
6. ---------- იჯდა კომპიუტერთან.
7. ---------- ხატავდა.
8. ---------- იძინებდა გვიან, 11 საათზე.
9. ---------- სადილობდა სკოლაში.
10. ---------- დადიოდა ზოოპარკში.

3. შეადარე შენი და შენი მეწყვილის პასუხები ერთმანეთთან და თქვი, რას აკეთებდი შენ და რას აკეთებდა შენი მეწყვილე.

ნიმუში: 1. *მე ხშირად ვუყურებდი მულტფილმებს, დათო იშვიათად უყურებდა.*
2. *მე და დათო ხშირად ვუყურებდით მულტფილმებს.*

4. ჩაწერე სათანადო ფორმა.

ვიჯექი	**ვისხედით**	**იჯდა**	**ისხდნენ**	**იჯექი**	**ისხედით**

მე	----------	ჩვენ	----------
შენ	----------	თქვენ	----------
ის	----------	ისინი	----------

5. გაიხსენე დიალოგი, შეავსე გამოტოვებული ადგილები და წაიკითხე მეწყვილესთან ერთად.

ვკითხულობდი დავდივარ ისვენებდი ვბანაობდით
ვკითხულობ დავდიოდი კითხულობ დადიხარ
ერთობოდი ვთამაშობდით დავდიოდით

- შენ თვითონ კითხულობდი ზღაპრებს?
- კი, შვიდი წლიდან მე თვითონ ----------.
- ახლა აღარ ----------?
- ზღაპრებს? როგორ არა, ახლაც ----------.
- რაზე დადიოდი პატარაობისას?
- ჯერ ცურვაზე ----------, შემდეგ - მხოლოდ ფეხბურთზე.
- ახლა აღარ ---------- ფეხბურთზე?
- ფეხბურთზე — არა. ახლა ხატვასა და სიმღერაზე ----------.
- ზაფხულობით სად ---------- ხოლმე?
- ბებიასთან და ბაბუასთან, სოფელში.
- რითი ---------- იქ?
- ----------, ტყეში ---------- და მდინარეში ----------.

6. გამოიყენე დიალოგი და თქვი, რას აკეთებდა ბექა წინათ და რას აკეთებს ახლა?გამოიყენე შენი ჩანიშვნები, დაწერე ბექას შესახებ და წაიკითხე:

როგორი ბავშვი იყო? რა უყვარდა და რა აინტერესებდა ყველაზე მეტად? რაზე დადიოდა პატარაობისას? სად ისვენებდა ზაფხულობით? რითი ერთობოდა იქ?

ბექა იყო ----------

---

1. იპოვე და დააკავშირე მსგავსი სიტყვები ერთმანეთთან.

ბავშვობაში	წინათ
ძველად	მომავალ წელს
შარშან	პატარაობისას
გაისად	გასულ წელს

2. დააკავშირე ერთმანეთთან, გადაწერე და წაიკითხე.

1. წინათ ყოველთვის	ა. ვაგვიანებდი.
2. წინათ დავდიოდი ცეკვაზე,	ბ. ადრე ვდგებოდი.
3. ახლა იშვიათად	გ. ახლა დავდივარ სპორტზე.
4. პატარაობისას დილით ხშირად	დ. ვკითხულობდი ამ წიგნს
5. წინათ სკოლაში არასოდეს	ე. ვსვამ რძეს.

1. –––– 2. –––– 3. –––– 4. –––– 5. ––––

1. ----------
2. ----------
3. ----------
4. ----------
5. ----------

3. წაიკითხე და შემოხაზე სწორი პასუხი.

<u>როცა წარსულზე ვლაპარაკობთ</u>, სიხშირის გამომხატველ სიტყვებთან ვიყენებთ:

ა. წყვეტილს (რა გავაკეთე?)
ბ. უწყვეტელს (რას ვაკეთებდი?)

4. აირჩიე და ჩასვი.

ა. პატარაობისას **იშვიათად** ---------- კომპიუტერთან. (დავჯექი/ვიჯექი)
ბ. შარშან **ხშირად** ---------- ფეხით. (ვსეირნობდი/ვისეირნე)
გ. როცა 5 წლის ვიყავი, **ყოველთვის** ---------- ადრე (დავიძინე/ვიძინებდი)
დ. წინა კვირას **ხშირად** ---------- ამ მუსიკას. (მოვუსმინე/ვუსმენდი)
ე. როცა პატარა ვიყავი, **იშვიათად** ---------- ტელევიზორს. (ვუყურებდი/ვუყურე)

5. ☺ თავიდან მოისმინე და მონიშნე ცხრილში: რა სიხშირით აკეთებდა ან არ აკეთებდა ადრე/წინათ.

	არასოდეს	იშვიათად	ხანდახან	ხშირად	ყოველთვის
თამაშობდა.					
კითხულობდა.					
უსმენდა.					
ხატავდა.					
უყურებდა.					

6. გაიხსენე ტექსტი. წაიკითხე წინადადებები და მიუწერე: კი **ან** არა.

ა. ის დადიოდა ფეხბურთზე, ცურვასა და კალათბურთზე. ----------

ბ. ფეხბურთს თამაშობდა ეზოში. ----------

გ. უყვარდა კითხვა, მაგრამ არასოდეს კითხულობდა. ----------

დ. იშვიათად უსმენდა რადიოს. ----------

ე. ხანდახან ხატავდა. ----------

ვ. უყვარდა დოკუმენტური ფილმების ყურება. ----------

ზ. ყოველთვის უყურებდა საინტერესო ფილმებს. ---------

თ. ახლაც ძალიან უყვარს ზღაპრები და მულტფილმები. ---------

7. გაასწორე მცდარი წინადადებები. ☺ თავიდან მოისმინე ტექსტი და შეამოწმე შენი დავალება.

1. ----------
2. ----------
3. ----------
4. ----------
5. ----------

8. აღადგინე ტექსტი. ჩაწერე გამოტოვებული ზმნები სათანადო ფორმით და წაიკითხე. შეადარეთ ერთმანეთის ნაწერები კლასში.
☺ კიდევ ერთხელ მოისმინე და შეამოწმე.

მე ძალიან ---------- სპორტი. ---------- ფეხბურთზე, ცურვაზე და კალათბურთზე. ადრე მხოლოდ ფეხბურთზე----------. ეზოშიც ხშირად---------- ფეხბურთს. ადრე არ ---------- კითხვა და არასოდეს ----------. ახლა ძალიან ---------- და ბევრს ----------. იშვიათად ---------- მუსიკას. ----------ხატვაც, ხანდახან ---------- ხოლმე. წინათ ყველაზე მეტად ზღაპრებისა და მულტფილმების ყურება ----------და ყოველთვის ---------- ---------. ახლაც ----------, როცა დრო მაქვს.

1. ტექსტის მიხედვით უპასუხე შეკითხვებს სრულად.

1. რა უყვარდა ადრე? ----------
---
2. რა არ უყვარდა? ----------
3. რა უყვარს ახლა? ----------
---
4. რაზე დადიოდა ადრე? ----------
---
5. რაზე დადის ახლა? ----------
6. რას აკეთებდა ადრე? ----------

---
7. რას აკეთებს ახლა? ----------
---

2. დაუსვით ერთმანეთს ეს შეკითხვები და უპასუხეთ. შეკითხვასა და პასუხში მიუთითეთ მოქმედების სიხშირე.

ნიმუში: *რას აკეთებდა ის ხშირად? / ხშირად უსმენდა ის მუსიკას?*

3. შეცვალე ნიმუშის მიხედვით.

რას აკეთებს? → **რას აკეთებდა?**

დარბ**ი**ს → დარბ-**ოდ**-ა	თამაშობ-ს → თამაშობ-**დ**-ა
დახტ**ი**ს ----------	კითხულობ-ს ----------
მღერ**ი**ს ----------	ცეკვავ-ს ----------
ტირ**ი**ს ----------	ხატავ-ს ----------
იცინ**ი**ს ----------	უყურებ-ს ----------
დად**ი**ს დადი-ოდ-ა	წერ-ს ----------

4. გადაიყვანე წინადადებები წარსულში (უწყვეტელში) და წაიკითხე.

<u>*რას აკეთებდა ის გუშინ?*</u>

ა. ის მღერის და ცეკვავს. ის ----------.
ბ. ის წერს და კითხულობს. ის ----------.
გ. ის დარბის და თამაშობს. ის ----------.
დ. ის უყურებს და იცინის. ის ----------.

5. გამოიყენეთ წინა დავალება, ჰკითხეთ ერთმანეთს და უპასუხეთ.

> რას აკეთებს ის ახლა?
> რას აკეთებდა ის გუშინ/წინათ?

6. წაიკითხე და დააკავშირე წინადადებები სურათებთან. შემოხაზე შესაბამისი წინადადება და წაიკითხე.

ა. გუშინ ბიჭი წიგნს კითხულობდა.
ბ. გუშინ ბიჭმა წიგნი წაიკითხა.



ა. ბიჭი მდინარეში ბანაობდა.
ბ. ბიჭმა მდინარეში იბანავა.

ა. დილით ბიჭები ხეზე ადიოდნენ.
ბ. დილით ბიჭები ხეზე ავიდნენ.

ა. გუშინ კაცი სურათს ხატავდა.
ბ. გუშინ კაცმა სურათი დახატა.

7. წაიკითხე და ჩაწერე, როდის ვიყენებთ:

ა. **წყვეტილს** (რა გავაკეთე?) ბ. **უწყვეტელს** (რას ვაკეთებდი?)

1. როცა ვლაპარაკობთ წარსულში დასრულებულ მოქმედებაზე, ვიყენებთ
   ---
2. როცა ვლაპარაკობთ წარსულში დაუსრულებელ მოქმედებაზე, ვიყენებთ
   ---

1. გაანაწილე მოცემული ზმნები ცხრილში ნიმუშის მიხედვით.

წერდა/ დაწერა; კითხულობდა/წაიკითხა; შეჭამა/ჭამდა; იძინებდა/დაიძინა; მოუსმინა/უსმენდა; ბანაობდა/იბანავა; სეირნობდა/ისეირნა; სვამდა/დალია; დახატა/ხატავდა; ისადილა/სადილობდა; ითამაშა/თამაშობდა.

რას აკეთებ**დ**ა გუშინ?	რა გააკეთა გუშინ?
1. *წერ-დ-ა*	*დაწერა*
2. ----------	----------
3. ----------	----------
4. ----------	----------
5. ----------	----------
6. ----------	----------
7. ----------	----------
8. ----------	----------
9. ----------	----------
10. ----------	----------
11. ----------	----------

2. შეცვალე წინადადებები ნიმუშის მიხედვით. <u>რა გააკეთა მან?</u>

ა. ის მღეროდა და ცეკვავდა. *<u>მან იმღერა და იცეკვა.</u>*
ბ. ის წერდა და კითხულობდა. ----------.
გ. ის დარბის და თამაშობს. ----------.
დ. ის უყურებს და იცინის. ----------.
ე. ის ჭამდა და სვამდა. ----------.
ვ. ის უსმენდა და ხატავდა. ----------.

3. გამოიყენეთ წინა დავალება, ჰკითხეთ ერთმანეთს და უპასუხეთ.

რას **აკეთებდა ის** გუშინ?
რა **გააკეთა მან** გუშინ?

4. ჩაწერე სათანადო ფორმა.

ვწერდით	ვწერდი	წერდნენ	წერდა	წერდი	წერდით

მე ---------- ჩვენ ----------
შენ ---------- თქვენ ----------
ის ---------- ისინი ----------

5. შეავსე ცხრილში გამოტოვებული ადგილები.

მე	შენ	ის	ჩვენ	თქვენ	ისინი
ვამზადებდი					
			ვანთებდით		
	ატარებდი				
				უკრავდით	
		იცვამდა			
					დარბოდნენ

6. ყურადღება მიაქციე ნაცვალსახელებს და მოცემული ზმნები გადაიყვანე შესაბამის პირსა და რიცხვში.

1. ა. წინათ **მე** ცუდად ვხატავდი, ვწერდი და ვკითხულობდი.
   ბ. წინათ **ჩვენ** ცუდად ----------.
2. ა. გუშინ **ის** მთელი დღე დარბოდა, დახტოდა და თამაშობდა.
   ბ. გუშინ **ისინი** მთელი დღე ----------.
3. ა. ადრე **მე** ბევრს ვუკრავდი, ვცეკვავდი და ვმღეროდი.
   ბ. ადრე **ჩვენ** ბევრს ----------.
4. ა. **ის** ბევრს ჭამდა და სვამდა.
   ბ. **ისინი** ბევრს ----------.

7. დასვი სათანადო სასვენი ნიშნები და წაიკითხე შესაბამისი ინტონაციით.

- რას აკეთებდი გუშინ საღამოს––
- ჯერ ვწერდი და ვკითხულობდი–– შემდეგ ვუყურებდი ტელევიზორს––
- მუსიკას არ უსმენდი––
- არა–– მუსიკას არ ვუსმენდი––

8. აირჩიე და ჩასვი.

ბინადრობენ / ცხოვრობენ

ადამიანები ----------, ცხოველები ----------.

1. გაიხსენე ტექსტები და შეავსე გამოტოვებული ადგილები. წაიკითხეთ და შეამოწმეთ ნაწერები.

ა. დინოზავრები **დიდი ხნის წინათ** ---------- დედამიწაზე.
ბ. ქაღალდს ძველად ---------- **ხისგან და ქსოვილისაგან**.
გ. ქაღალდის გამოგონებამდე ადამიანები ---------- **ცხოველის** ტყავზე.
დ. ადრე ---------- ფრინველის ფრთისგან დამზადებული **კალმით**.
ე. პირველად **ჯინსებს** მეზღვაურები ----------.
ვ. **მეზღვაურები** ჯინსებს გემებზე ----------.
ზ. ადამიანები დიდი ხნის წინათ **მთის წვერზე** ---------- ცეცხლს, ---------- დოლზე და ისე გადასცემდნენ ინფორმაციას ერთმანეთს.

2. დაუსვი წინა დავალებაში ხაზგასმულ სიტყვებს შეკითხვები.

1. ----------
2. ----------
3. ----------
4. ----------
5. ----------
6. ----------
7. ----------

3. გადაიყვანე მრავლობით რიცხვში.

დინოზავრი ----------
ქაღალდი ----------
ჯინსი ----------
მეზღვაური ----------
ფრთა ----------
კალამი ----------
ცხოველი ----------
ფრინველი ----------

4. გაანაწილე ცხრილში სწორად.

დინოზავრი,	ფირფიტა,	ფრთა,	მეზღვაური,
გამომგონებელი,	შიკრიკი,	ფუნჯი,	ადამიანი

ვინ?	რა?
1. ----------	1. ----------
2. ----------	2. ----------
3. ----------	3. ----------
4. ----------	4. ----------

5. წაიკითხე და ჩაწერე, ვინ არის: *გამომგონებელი, შიკრიკი*

1. ის, ვისაც ინფორმაცია მიაქვს, არის ----------
2. ის, ვინც იგონებს, არის ----------

6. გაიხსენე და შეავსე.

1. "საშინელი ხვლიკი" ანუ ----------
2. პირველი ავტომობილი იყო ----------
3. მას "მოლაპარაკე ტელეგრაფს" უწოდებდნენ. ----------
4. ის მეზღვაურებისთვის გამოიგონეს. ----------
5. ძველად მის ნაცვლად წვეტიან ჯოხებს იყენებდნენ. ----------
6. წინათ მის ნაცვლად ხის, ქვის ან თიხის ფირფიტას იყენებდნენ. ----------







1. მოიფიქრე და დაწერე თითო წინადადება მათ შესახებ და წაიკითხე.

ნიმუში: *პირველი ავტომობილი შეიქმნა 1886 წლის 4 აპრილს.*

1. ----------
2. ----------
3. ----------
4. ----------
5. ----------

2. აირჩიე და ჩაწერე.

მცენარეებით / მცენარეებს

ჭამს ----------

იკვებება ----------

3. ფრჩხილებში მოცემული საწყისებით შეავსე გამოტოვებული ადგილები და წაიკითხე.

დინოზავრები დედამიწაზე დიდი ხნის წინათ ---------- (ბინადრობა). ზოგი დინოზავრი მცენარეებით ---------- (კვება), ზოგი კი — ხორცით. მცენარეჭამია დინოზავრები საჭმლის მოსაპოვებლად ერთად ----------(სიარული). ისინი დღეში ერთ ტონა ფოთოლს ---------- (ჭამა). ზოგი დინოზავრი ძალიან სწრაფად ---------- (სირბილი), ზოგი კი ნელა ---------- (მოძრაობა). ისინი ---------- (აშენება) ბუდეებს და შიგ კვერცხებს ---------- (დადება).

4. წინა დავალების მიხედვით უპასუხე შეკითხვებს.

1. სად ბინადრობდნენ დინოზავრები?
2. რითი იკვებებოდნენ ისინი?
3. რამდენ ტონა ფოთოლს ჭამდა დინოზავრი დღეში?
4. როგორ მოძრაობდნენ ისინი?

5. სწორად გაანაწილე წინადადებებში ზმნები.

გამოიგონა/გამოიგონეს; აღმოაჩინა/აღმოაჩინეს

1. დიდი ხნის წინათ ადამიანებმა ველოსიპედი ----------.
2. ბავშვებმა დინოზავრის ნაკვალევი ----------.
3. პირველი ტელეფონი ალექსანდრე ბელმა ----------.
4. მოსწავლემ თავის ნაწერში შეცდომა ----------.

6. იპოვე მსგავსი სიტყვა და შემოხაზე.

ნაკვალევი

ა. ნაწერი ბ. ნათქვამი გ. ნაფეხური

7. მოძებნე ტექსტებში (მოსწავლის წიგნი, გვ. 53) ინფორმაცია და შეავსე ცხრილი.

	დაბადების ადგილი	დაბადების დრო	ინტერესები და გატაცებები
 ასტრიდ ლინდგრენი	----------	----------	----------
 ჰანს ქრისტიან ანდერსენი	----------	----------	----------

8. გამოიყენე წიგნში მოცემული ტექსტები (გვ. 53) და უპასუხე შეკითხვებს.

1. ვისი დაბადების ადგილია ქალაქი კოპენჰაგენი? ----------
2. ვინ დაიბადა ქალაქ ვიმერბიუში? ----------
3. სად მდებარეობს ქალაქი ვიმერბიუ? ----------
4. სად მდებარეობს ქალაქი კოპენჰაგენი? ----------
5. რომელ ქალაქში ცხოვრობდა და წერდა ასტრიდ ლინდგრენი?
   ---
6. რომელმა მწერალმა შექმნა მარიონეტების თეატრი?
   ---
7. რა ერქვა ლინდგრენის ქალიშვილს? ----------

1. დაუსვით ერთმანეთს შეკითხვები და უპასუხეთ.

როდის დაიბადა ...?	სად დაიბადა ...?	ვინ დაიბადა 4 აგვისტოს?
ვინ დაიბადა ...-ში?	ვინ იყო შვედი?	ბავშვობაში ვის აინტერესებდა ზღაპრები?
	რა უყვარდა ანდერსენს?	

2. გაიხსენე ტექსტები. წაიკითხე ცხრილში მოცემული ინფორმაცია და მონიშნე სათანადო უჯრა. გამოიყენე წიგნი და შეამოწმე შენი ნაწერი.

	ასტრიდ ლინდგრენი	ჰანს ქრისტიან ანდერსენი
1. ის შვედი საბავშვო მწერალი იყო.		
2. ის დანიელი მეზღაპრე იყო.		
3. მის შვილს კატრინი ერქვა.		
4. ის საუკეთესო მოსწავლე იყო.		
5. ის ძალიან კარგად მღეროდა.		
6. მას არ ჰქონდა სკოლა დამთავრებული.		
7. მან შვილს დაბადების დღეზე თავისი წიგნი აჩუქა.		
8. ბავშვობაში ის თოჯინებისთვის ტანსაცმელს კერავდა.		

3. წაიკითხე და გახაზე არასწორი ინფორმაცია. გაიხსენე და თქვი, რა უთხრა სინამდვილეში კატრინმა დედას.

ერთხელ კატრინმა დედას უთხრა, იცი, ფანჯრიდან პატარა კაცი შემოფრინდა, კიკინებიანი გოგონა კი კარადის უკან დაიმალაო. ეს პატარა კაცი სახურავის ბინადარი კარლსონი იყო, კიკინებიანი გოგონა კი — პეპი.

4. უპასუხე შეკითხვებს.

ა. ვინ იყო კატრინი?
ბ. საიდან შემოფრინდა კარლსონი?
გ. სად ცხოვრობდა კარლსონი?
დ. რა ჰქვია წიგნს პეპის შესახებ?
ე. გაიხსენე, როგორ დაიწერა წიგნი პეპის შესახებ. წაიკითხე მოსწავლის წიგნში მოცემული ტექსტი (გვ. 53) და შეამოწმე შენი პასუხი.

5. ჩაწერე ზმნა ახლანდელი დროის (*<u>რას ვაკეთებ?)</u>* შესაბამის პირსა და რიცხვში.

მე *<u>მივდივარ</u>* (წასვლა)	მე ---------- (ხატვა)
შენ ----------(სიარული)	შენ ---------- (წერა)
ის ----------(თამაში)	ის ----------(ჭამა)
ჩვენ ----------(დასვენება)	ჩვენ ---------- (სეირნობა)
თქვენ ----------(კითხვა)	თქვენ ----------(ყურება)
ისინი ----------(სიმღერა)	ისინი ----------(ცეკვა)

6. დაასრულე წინადადებები და წაიკითხე. ჩაწერე ზმნა წარსული დროის შესაბამის ფორმაში: *<u>რას აკეთებდა?</u>*

1. დილაობით სკოლაში ---------- (სიარული)
2. ზაფხულობით ზღვაზე ---------- (დასვენება)
3. ყოველ დილით ტყეში ---------- (სეირნობა)
4. ყოველ საღამოს ჭადრაკს ---------- (თამაში)
5. პატარაობისას ხშირად ---------- (ხატვა)
6. ბავშვობაში იშვიათად ---------- (სიმღერა)

7. შეცვალე ნიმუშის მიხედვით.

საღამოობით	⟶	*ყოველ საღამოს*
ზაფხულობით		----------
დილაობით		----------
კვირაობით		----------
ორშაბათობით		----------

8. წაიკითხე წინადადებები და დააკავშირე მოცემულ ინფორმაციასთან.

1. ზაფხულში მეგობრის წერილი წაიკითხა. (რა გააკეთა?)
2. ზაფხულობით წიგნებს კითხულობდა. (რას აკეთებდა?)

ა. მოქმედება **ერთხელ** <u>შესრულდა</u>.

ბ. მოქმედება **არაერთხელ** შესრულდა ანუ <u>სრულდებოდა</u> ხშირად, იშვიათად...

1.–––– 2. ––––

1. <u>გამოიყვანე წესი და წაიკითხე.</u>

დააკვირდი!

წყვეტილი: რა გააკეთა?

უწყვეტელი: რას აკეთებდა?

1. თუ რაიმე **მოხდა** ერთხელ, ზმნას ვსვამთ ----------ში.
2. თუ რაიმე **ხდებოდა**, ზმნას ვსვამთ ----------ში.

2. მოიფიქრე და დაწერე ორ-ორი წინადადება წარსულის ორივე ფორმისათვის და წაიკითხე.

<u>ა. ერთხელ მოხდა:</u>

1. ----------
2. ----------

<u>ბ. არაერთხელ მოხდა:</u>

1. ----------
2. ----------

3. წაიკითხე ქვემოთ მოცემული ტექსტი და მოკლედ უპასუხე შეკითხვებს.

<u>ასტრიდ ლინდგრენი</u> დაიბადა ქალაქ ვიმერბიუში. ის სკოლაში კარგად სწავლობდა. უყვარდა <u>ლიტერატურა</u>. ბავშვობაში ბევრს კითხულობდა.

ყოველ საღამოს ასტრიდი თავის ქალიშვილს <u>ზღაპრებს</u> უყვებოდა.

ერთხელ სტოკჰოლმში <u>დიდი</u> თოვლი მოვიდა და ასტრიდ ლინდგრენი <u>ქუჩაში</u> წაიქცა. სწორედ ამ პერიოდში დაწერა მან პეპის მხიარული ისტორიები.

ა. სად დაიბადა ასტრიდ ლინდგრენი? ----------

ბ. როდის კითხულობდა ასტრიდი ბევრს? ----------

გ. ვის უყვებოდა ზღაპრებს ასტრიდი? ----------

დ. სად მოვიდა დიდი თოვლი? ----------

ე. რა დაწერა ლინდგრენმა ამ პერიოდში? ----------

4. ტექსტში ხაზგასმულ სიტყვებს დაუსვი შეკითხვები.

ა. *ვინ* ----------

ბ. ----------

გ. ----------

დ. ----------

ე. ----------

5. გადაანაწილე ტექსტში (დავალება № 3, გვ. 164) მოცემული ინფორმაცია ცხრილში და წაიკითხე.

ეს მოხდა ერთხელ	ეს მოხდა არაერთხელ

6. გაანაწილე ცხრილში ზმნები.

კითხულობდა, წაიქცა, დაწერა, უყვებოდა, სწავლობდა, მღეროდა, ცეკვავდა, მოაწყო, კერავდა

ეს მოხდა ერთხელ:	
ეს ხდებოდა ხშირად:	

7. ისაუბრე ასტრიდ ლინდგრენის შესახებ.

1. შეავსე ცხრილი წიგნში არსებული მონაცემების მიხედვით.

	დაბადების ადგილი	დაბადების დრო
	----------	----------
	----------	----------

2. დაუსვით ერთმანეთს შეკითხვები და უპასუხეთ.

ვინ დაიბადა ...-ში?
ვინ დაიბადა ... წლის ...-ს?

სად დაიბადა ...?
როდის დაიბადა ...?

ვინ დაიბადა ზამთარში?
ზაფხულში?

3. მოძებნე საქართველოს რუკაზე, სად მდებარეობს საგარეჯო და წყალტუბო. შეავსე წინადადებები და წაიკითხე.

რევაზ ინანიშვილი ოტია იოსელიანი ~~საგარეჯო~~ წყალტუბო
აღმოსავლეთ დასავლეთ

1. ––*საგარეჯო*–– მდებარეობს ---------- საქართველოში.
---------- არის ---------- საქართველოდან.

2. ---------- მდებარეობს ---------- საქართველოში.
---------- არის ---------- საქართველოდან.

4. დააკავშირე სიტყვა "ჟინჟღლავდა" განმარტებასთან.

ა. წვრილად თოვდა. ბ. წვრილად წვიმდა. გ. ქარი ქროდა.

5. შემოხაზე სწორი ინფორმაცია რევაზ ინანიშვილისა და ოტია იოსელიანის შესახებ.

1. ორივე მწერალი საგარეჯოში დაიბადა.
2. ორივე მწერალი სოფელში დაიბადა.
3. ორივე მწერალს წერა-კითხვა ბებიამ ასწავლა.
4. ორივე მწერალს განსაკუთრებულად უყვარდა ბებია.
5. ბავშვობაში ორივე მწერალს ხატვა უყვარდა.
6. ბავშვობაში ორივე მწერალს სიმღერა უყვარდა.

6. უპასუხე შეკითხვებს.

1. რომელი მწერალი დადიოდა ფეხით სკოლაში 5-6კილომეტრიან გზაზე?
   ---
2. რომელი მწერალი ხატავდა პეიზაჟებსა და თავისი მოთხრობების გმირებს?
   ---
3. ვინ დაწერა "დაჩის ზღაპრები"?
   ---

7. გამოიყენე წიგნში მოცემული ინფორმაცია და შეავსე ცხრილი.

რა აქვთ საერთო რევაზ ინანიშვილსა და ოტია იოსელიანს?	**დამატებითი ინფორმაცია მათ შესახებ.**
---	**რევაზ ინანიშვილი:**
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	**ოტია იოსელიანი:**
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---

1. გამოიყენე წინა დავალებები და ისაუბრე რევაზ ინანიშვილისა და ოტია იოსელიანის შესახებ.

2. მოძებნე საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვები და დააკავშირე.

შრომისმოყვარე	მოხუცი
ცნობისმოყვარე	გაბრაზებული
ახალგაზრდა	ზარმაცი
მხიარული	უინტერესო
მშვიდი	მოწყენილი

3. წაიკითხე განმარტება და ჩაწერე, როგორია.

1. ის, ვისაც ყველაფერი აინტერესებს, არის ----------
2. ის, ვისაც არაფერი აინტერესებს, არის ----------
3. ის, ვისაც შრომა არ უყვარს, არის ----------
4. ის, ვისაც შრომა უყვარს, არის ----------

4. წაიკითხე პირველი ეპიზოდი და შემოხაზე ყველა სწორი ინფორმაცია.

ა. ადამიანებმა არ იცოდნენ მუშაობა.
ბ. ადამიანები ყველაფერს აკეთებდნენ.
გ. ადამიანებს ბევრი საჭმელი ჰქონდათ.
ე. მშიერი ადამიანები მიწაზე ბრაზობდნენ.

5. წაიკითხე და შემოხაზე პირველი ეპიზოდის მიხედვით.

რა იყო ადამიანების შიმშილის მიზეზი?
ა. მათ არაფრის გაკეთება არ იცოდნენ.
ბ. მათ სულ ეძინათ.
ს. ისინი სულ ჩხუბობდნენ.

რა ეწყინა მიწას ადამიანებისაგან?
ის, რომ:
ა. ადამიანები მის ზურგზე დადიოდნენ.
ბ. ადამიანები მის ნაყოფს ჭამდნენ.
გ. ადამიანები მას სცემდნენ.

როგორია ამ ეპიზოდში მიწა?
(შემოხაზე ყველა შესაძლო ვარიანტი)
ა. გაბრაზებული
ბ. მხიარული
გ. ცნობისმოყვარე
დ. ნაწყენი
ე. მოწყენილი

როგორები არიან ამ ეპიზოდში ადამიანები?
(შემოხაზე ყველა შესაძლო ვარიანტი)
ა. გაბრაზებულები
ბ. მხიარულები
გ. ცნობისმოყვარეები
დ. ზარმაცები
ე. მოწყენილები

6. პირველი ეპიზოდიდან ამოწერე შესაბამისი წინადადებები და წაიკითხე.

ა. საიდან ჩანს, რომ ადამიანები გაბრაზდნენ?

ბ. საიდან ჩანს, რომ მიწას ეწყინა?

---

7. იპოვე მსგავსი სიტყვა.

<u>ნაწყენი,</u> ანუ

ა. გახარებული ბ. მოწყენილი გ. გულნატკენი

8. რას ნიშნავს, შენი აზრით, <u>ხელი გაანძრია?</u> შემოხაზე სწორი ვარიანტი.

ა. ხელი გააჩერა.
ბ. ხელი შეუშალა.
გ. მუშაობა დაიწყო.

წაიკითხე <u>მეორე აბზაცი</u> და შეამოწმე შენი პასუხი.

9. ამ ეპიზოდის მიხედვით, რა ასწავლა დედამიწამ ადამიანებს? შემოხაზე სწორი ვარიანტი.

ა. ჭამა.
ბ. გართობა.
გ. შრომა.

10. ქვემოთ მოცემული ანდაზებიდან რომელი გამოხატავს პირველი-მეორე ეპიზოდების შინაარსს?

1. ბოროტ კაცს ენაც ბოროტი აქვსო.
2. ვინც არ მუშაობს, ის არ ჭამსო.

11. გაიხსენე თოვლის გუნდასა და გოგონას ამბავი და უპასუხე შეკითხვებს.

ა. რად გადაიქცა თოვლის გუნდა ზღაპრის ბოლოს?
ბ. გაიხსენე, როგორ ჩნდება წვიმა? თავიდან წაიკითხე და შეამოწმე შენი პასუხი (დამატებითი საკითხავი, გვ. 77, როგორ გაჩნდა წვიმა?).
გ. შენი აზრით, სად და როგორ ჩნდება თოვლი? წაიკითხე და შეამოწმე შენი ვარიანტი (დამატებითი საკითხავი, გვ.77 , როგორ გაჩნდა თოვლი?).

1. წვიმისა და თოვლის გაჩენის ამბავი დააკავშირე ქვემოთ მოცემულ ინფორმაციასთან.

"მწვერვალებს დედამიწის ცრემლი თავზე გაეყინათ — ჩამოათოვათ".

ა. რა არის დედამიწის ცრემლი? ----------

ბ. რად იქცა გაყინული "ცრემლი"? ----------

2. როგორ გესმის ხაზგასმული სიტყვები - *"მწვერვალები გაჭაღარავდნენ"?* **წაიკითხე მესამე ეპიზოდი და შეამოწმე შენი პასუხი. რას ამბობს ავტორი ამ ეპიზოდით? შემოხაზე შენთვის მისაღები ვარიანტი.**

ა. ასე გაჩნდა დედამიწაზე წვიმა და თოვლი.
ბ. ადამიანებს ყველაზე მეტად ჭამა უყვართ.
გ. ადამიანების ცუდმა საქციელმა დედამიწა დააბერა.

3. რას ნიშნავს სიტყვა *"დასცინეს"***? შემოხაზე სწორი ვარიანტი.**

ა. ბევრი იცინეს.
ბ. სხვაზე გაიცინეს.
გ. სიცილი დაიწყეს.

4. წაიკითხე და დააკავშირე ერთმანეთთან.

1. დააყარეს სიცილი.	ა. ბევრი კითხვა დაუსვეს.
2. დააყარეს კითხვები.	ბ. იჩხუბეს.
3. დააყარეს ერთმანეთს.	გ. დასცინეს.

1. –––– 2. –––– 3. ––––

5. რას ნიშნავს, შენი აზრით, ქვემოთ მოცემული ფრაზები? აირჩიე პასუხები და ჩაწერე სათანადო ადგილას.

ა. ერთმანეთს დასცხეს. ----------

ბ. სიმღერა დასცხეს. ----------

გ. თითის წვერებზე ჩამოუარეს. ----------

იცეკვეს
იჩხუბეს
იმღერეს

წაიკითხე ბოლო ეპიზოდი და შეამოწმე შენი პასუხები.

6. გადახაზე ზედმეტი.

ა. დასცხეს ერთმანეთს.
ბ. დააყარეს ერთმანეთს.
გ. იცეკვეს.
დ. იჩხუბეს.

7. გამოიყენე ტექსტი (“დედამიწის ზღაპარი”) და ჩაწერე შესაბამისი ეპიზოდების ნომრები.

რომელ ეპიზოდებში არიან ადამიანები:	**რომელ ეპიზოდებშია დედამიწა:**
ა. გაბრაზებულები? ----------	ა. გახარებული ----------
ბ. მხიარულები? ----------	ბ. გაბრაზებული ----------
გ. ცნობისმოყვარეები? ----------	გ. გულნატკენი ----------

8. დაახასიათე ადამიანები.

I. როდის იქცევიან ისინი ცუდად? სად ჩანს ეს?
II. როდის იქცევიან ისინი კარგად? სად ჩანს ეს?

9. გამოიყენე შენი მეწყვილის შესახებ ჩანიშნული ინფორმაცია, დაასრულე ტექსტი და წაიკითხე (იხილე დავალება № 2, მოსწავლის წიგნი, გვ. 57).

მას ---------- ჰქვია. მე და ---------- ერთ კლასში ვსწავლობთ და ერთ მერხთან ვსხედვართ.

---

10. სწორად გადაწერე ტექსტი და წაიკითხე.

დღევანდელი სპილოს წინაპარს მამონტი ერქვა. მამონტები აფრიკის ჭაობებში ბინადრობენ და რბილი მცენარეებით იკვებებიან. მამონტები დროის დიდ ნაწილს წყალში ატარებენ.

მამონტებს პატარა ყურები, გრძელი ხორთუმი, დიდი და მრგვალი ეშვები აქვთ. სპილოებს კი გრძელი ხორთუმი, უზარმაზარი ყურები და სწორი ეშვები ჰქონდათ.